

ISSN 1512 - 4649

# ეკონომისტი

სამართლებრივი რეკონსტრუქციები და რეფორმები  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№1-2 2019 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,  
ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

ბაზისაზიზი, ბუღალტრული აღრიცხვა,  
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო სექტორი (ბანკირი, ბიზნესმენი,  
მეანაბრე)

საბანკო სექტორი სიზღვენი (სამეწარმეო  
სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა პითხვები და პროფესიონალთა  
პასუხები



ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”  
რევიზირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ  
გამოცემებში “ქართულ რევერატულ ჟურნალში”.

რევიზირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და სავაჭრო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა).

მისამართი: საქართველო,  
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5  
ტელ.: +995 (32) 2 990 576;  
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;  
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com  
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine “Akhali Ekonomisti” (New  
Economist) HAS BEEN REVIEWED:

In “Georgian Reviewed Magazine” –  
P.L.L.E. Institute of Techninform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia  
Tel.: +995 (32) 2 990 576;  
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;  
E-mail: loidk@yahoo.com  
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი ეკონომისტი

ქოველკვარტალური სამართაშორისო რეჟირირბაჲი და რცენზირბაჲი  
სამცენიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1-2(52-53), 2019

**ლოიდ ქარჩაპა** - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;  
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;  
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;  
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

## სარედაქციო კოლეგია:

### მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბუსაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბუსაძე; ანზორ აბრალაშვილი; იური ანანიშვილი; როსიტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; ბივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); ხათუნა ბერიშვილი; თამარ ბამსახურდია; თინა ბელაშვილი; სიმონ ბელაშვილი; რამაზ ბერლიანი; რევაზ ბველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ ბობოხია; ვლადიმერ ბრიბოლანია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლგბანბ ვენი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუზურ თოღუა; ბოჩა თუთუბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი); სერბი იაკუბოვიჩი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); მირაბ კაკუშია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); ალექსანდრე კვაშილაშვილი; ბია კვაშილაშვილი; შურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუშაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ენვერ ლაბიძე; ლორდი სტივენ ლორდ-გაბრატონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ეკატერინე ლომია (საერთაშორისო

ურთიერთობების სამსახურის უფროსი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელბუჯა მამუაშვილი; ნუზურ ნადარაია (ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია; თეოდორ ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ვახტანგ სარტანიანი; ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავაძე; ბელა სვირაძა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამიტან ტურმულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესტეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა შატელაშვილი; ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან შუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელიანი; ბიორბი შიხაშვილი; ომარ შუღრა; ვაია შულენბაშვილი (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მინილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთელაშვილი; ნოდარ ხაღური (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარბაძე; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაბოღანიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინერო ეკონომიკის, მედიატეხნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი) ჯამლუტ ჯანჯღაძა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); მამარ ჯემინია; მინილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარბაძა.

შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



# The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,

PRECISED AND REVIEWED № 1-2(52-53), 2019

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;  
Doctor of Business Administration, Professor;  
Head of the Council of Scientists of Georgia;  
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;  
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

## EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (President of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European University's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); KHATUNA BERISHVILI; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Germany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELДАР ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus); MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Germany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE;

EKATERINE LOMIA (Head of Department of International Relations); SHALVA MACHAVARIANI (Vice-President of Caucasus University in sciences field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGEBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (President of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rector of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELASVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University); MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Head of the Georgian Competition Agency); ELENE KHARABADZE; ETER KHARASHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAI; MICHAEL JIBUTI (President of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

სახელი მკითხველისათვის THE NEW ECONOMIST

მთავარი გვერდი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საადღმომო ეპისტოლე ..... 7

მეცნიერება

ქეთევან ჭიაბრიშვილი, ბაქარ ბუნტური - Homo Economicus-ი, როგორც ნეოლიბერალური სამყაროს პირმშო და სუბიექტურობის წარმოება ..... 12

ავთანდილ ოქროცვარიძე, ლაშა დემურაშვილი - აგროტურიზმის მენეჯმენტი (თელავის აგროსამრეწველო ფირმის „კახური ღვინის“ მაგალითზე) ..... 18

რევაზ ლორთქიფანიძე - ეკონომიკურად არგუმენტირებული პოლიტიკის შესახებ ..... 26

კობა სოხაძე - გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის თავისებურებანი ..... 29

რევაზ კვატაშიძე, იური ნოზაძე, ირაკლი კვატაშიძე, გოგა გამყრელიძე - წიაღი და მინერალური რესურსები ..... 38

გიორგი ავალიანი - მომხმარებელთა ფინანსური განათლების როლი და მათი უფლებების დაცვა საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობისას ..... 45

ქეთევან ბოხუა - საინფორმაციო სააგენტოსა და სპეცსამსახურების მუშაობის საერთო თავისებურებანი ..... 50

ნატო ჩიკვილაძე, ნინო ანანიაშვილი - უმუშევრობა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ..... 52

თამარ გოდერძიშვილი - კომპანიების ანგარიშვალდებულება - ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი ..... 56

ქეთევან ბოხუა - ორიგინალური ისტორიით გამორჩეული ქართული საინფორმაციო სააგენტოები ..... 61

ნათია სურმანიძე - DCFTA-ს ეფექტები - ანალიზი და პერსპექტივები ..... 64

სალომე სილაგაძე - ქალთა მიგრაციის ასპექტები და გენდერული უთანასწორობა ..... 68

ეკატერინე გიგოლაშვილი - საწარმოთა ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტები საქართველოში ..... 72

თამარა მალიარჩუკი, გიორგი კობრეიძე - ელექტრონული სწავლებისას თვითშემეცნების კომპეტენციის შემუშავების კრიტერიუმები, ინდიკატორები და დონეები ..... 81

რეცენზია ..... 88

ახალი წიგნი ..... 89

ბამოსათხოვარი ..... 90



MANE PAGE

Easter Epistle ..... 7

SCIENCE

Ketevan Chiabrishvili, Bakar Bunturi - Homo Economicus as a Result of Neoliberal World and Production of Subjectivism ..... 12
Avtandil Okrotsvaridze, Lasha Demurashvili - Agrotourism Management (on the example of "Kakhetian wine" Telavi Agro Industry Industrial Company) ..... 18
Revaz Lordkipanidze - About Economically Reasoned Policy ..... 26
Koba Sokhadze - Peculiarities of the transition period economics ..... 29
Revaz Kvatashidze, Iuri Nozadze, Irakli Kvatashidze, Goga Gamkrelidze - Minerals and mineral resources ..... 38
Giorgi Avaliani - Meaning of financial education for protecting consumers' rights in relation with Financial Institutes ..... 39
Ketevan Bokhua - Peculiarities characteristics of special forces and informational agencies ..... 50
Nato Chikviladze, Nino Ananiashvili - Unemployment as a main barrier for economic development of the country ..... 52
Tamar Goderdzishvili - Accountability of Companies - a Factor Contributing to The Development of Securities Market ..... 56
Ketevan Bokhua - Georgian informational agencies well known with it's smart history ..... 61
Natia Surmanidze - The Effects of DCFTA: Analysis and Perspectives ..... 64
Salome Silagadze - Aspects of Women's Migration and Gender Inequality. .... 68
Ekaterine Gigolashvili - Economic Growth Priorities of Enterprises in Georgia ..... 72
Tamara Maliarchuk, Giorgi Kokhreidze - Criteria, Indicators and Levels of Self-Directed E-Learning Competency Development ..... 81

საქართველოს აკადემიური ცენტრი THE NEW ECONOMIST

REVIEW ..... 88

NEW BOOK ..... 89

THE EULOGY ..... 90



სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
ილია II-ის სააღმკვიდრო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, ქრისტე აღდგა!

“მოდით და ნახეთ გოლგოთა, სადაც ეშმაკი სასიკვდილოდ დაიჭრა და სიკვდილი განქარდა, მოდით და ნახეთ აკლდამა, სადაც დადგინდა ჩვენი აღდგომის წესი; ადგილი, რომელიც უხრწნელების დასაბამად იქცა და სიხარულით აღმოთქვით: “სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი; სადა არს, ჯოჯოხეთო, ძღვევაი შენი?!”

ქრისტე აღდგა! “დასჯილი ევა განღმრთობილია, გაძევებული ადამი, მოწოდებული, წყევლა გაუქმებული, სიკვდილი, დაძლეული, ეშმაკი განგმირული, მისი მსახურნი კი, სირცხვილეულნი და ძლეულნი” (წმ.იოანე ოქროპირი).

იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომით ყველა ადამიანში დაძლია სიკვდილი, რაც ორ ეტაპად განხორციელდა:

განკაცებისას მან ცოდვის არმქონე სრული ადამიანური ბუნება მიიღო, გაამდიდრა იგი საღმრთო ღირსებებით (კაცობრივი ბუნების თვისებების სრული დაცულობით) და ამ გზით განღმრთობის საშუალება მისცა ყველა ადამიანს.

მეორე საფეხურზე კი აღდგომილმა მაცხოვარმა მოკვდავი სხეულის ნაცვლად ახალი, უხრწნელი, არსობრივად შეცვლილი, დაცემამდელი ადამის

მსგავსი, სულიერი სხეული შეიმოსა; მისმა ადამიანურმა ბუნებამ სხვა თვისებები შეიძინა და გახდა დასაბამი კაცობრიობის მკვდრეთით აღდგომისა; იგია პირმშო შესვენებულთა, რადგან მიიღო ის სახე, რომელიც ექნებათ მართალთ მეორედ მოსვლის შემდეგ, როცა სიკვდილი უკვე აღარ იარსებებს და იქნება ახალი ცა და ახალი ქვეყანა.

რა ვიციტ ცათა შინა მყოფ მართალთა შესახებ, როგორი სახით არიან ისინი ზეცად?

მართალნი არიან უკვდავნი, უხრწნელნი, უვნებელნი და ჩვენთვის მიუწვდომელ სხვა მრავალ სიკეთეთა მქონენი, ოღონდ ნეტარების ხარისხით განსხვავებულნი; თუმცა შევნიშნავთ იმასაც, რომ დიდი წმინდანებიც ჯერ არ არიან სრულნეტარებაში, რადგან მათ სულეებს, მაცხოვრის აღდგომილი სხეულის მსგავსი, თავისი უკვდავი და უხრწნელი სხეული არ შეუმოსავთ.

“ღმერთმა ჩვენთვის უმჯობესი წინასწარ გაითვალისწინა, რათა ისინი (მართალნი) უჩვენოდ არ გამბდარიყვნენ სრულქმნილნი (ებრ. 11, 40)”, — წერს პავლე მოციქული.

რატომ არის სულით და ხორციტ განღმრთობა აუცილებელი?

ასეთად შევიქმენით! მაგალითად, ანგელოზები მხოლოდ სულნი არიან. ადამიანი კი თავის თავში აერთიანებს სულსა და ხორცს, ანუ ხილულ და უხილავ სამყაროს. სხეულით იგი მატერიას (ნივთიერ, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს) მოიცავს, სულით კი, — ანგელოზთა თანაზიარია. ბუნებითად ყოვლისშემომკრები, ყოვლისმომცველი მხოლოდ უფალია. მან ინება, რომ ჩვენც მსგავსი პატივი გვქონოდა და ამიტომაცაა ადამიანის დანიშნულება განსაკუთრებული.

როგორ აღდგება, მაგალითად, ათასი წლის წინ გარდაცვლილის სხეული, როდესაც მისი ძვლებიც





კი შეიძლება აღარ არსებობდეს?

მიწაში დაფლული ხრწნადი სხეული სტიქიონებად იშლება, მაგრამ ღმერთი მას კვლავ შემოკრებს და განსხვავებული სახით ადადგენს; როგორც მაგნიტი ქვიშის გორაში გაბნეულ რკინის ნამცეცებს ადვილად გამოარჩევს, ასევე ჩვენი სულიც, უფლის ყოვლისშემძლეობით, თავის უხრწნელ სხეულს შეიმოსავს, როცა ეს ჟამი დადგება.

როდის მოხდება ეს?

წმინდა ეკლესიის სწავლებით, ეს მოხდება მაშინ, როდესაც ადამიანთა შორის უკიდურესი სიმპაფრით გამოვლინდება ცოდვა და მათი უდიდესი ნაწილისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება სიწმინდეს, ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ღვთის სათნო წეს-ჩვეულებებს..., როდესაც ღვთისა და მოყვასის წმინდა სიყვარულს შეენაცვლება ვნებებისადმი თავაშვებული ლტოლვა და ადამიანები იქნებიან გამორჩეულად ამპარტავანი, თავისმოყვარენი, ამასთან მგმობელნი, მშობლების ურჩნი, ერთმანეთის მოძულენი, ცილისმწამებელნი, შეურიგებელნი, სასტიკნი, თავხედნი, კეთილის მოძულენი... (2 ტიმ. 3, 2-4).

თუმცა ქრისტეს წმინდა ეკლესიას ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ მოერევია. დიდი განსაცდელების მიუხედავად, იგი ბოლომდე უბიწოდ და შეურყვნელად დაიცავს მაცხოვრის მცნებებს, წმინდა გარდამოცემას, წმინდა მამების სწავლებას, შვიდი მსოფლიო კრებისა და ათი ადგილობრივი კრების განჩინებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს კვლავ ექნება შესაძლებლობა განწმენდისა და გადარჩენისა; ანუ იმედი არასოდეს ჩაქრება, რასაც თავისი უდიდესი ბრწყინვალეობით აღდგომის დღესასწაული გვიცხადებს.

რაც შეეხება ქვეყნიერების აღსასრულის ზუსტ დროს, იგი დაფარულია თვით ანგელოზთათვისაც, თუმცა ცალკეული წინასწარი ნიშნები ამ დღის დადგომისა განკაცებულმა უფალმა გვაუწყა.

ბოლო ჟამის შესახებ საგულისხმოა აგრეთვე წმინდა წერილში გადმოცემული ისტორიაც სოდომისა და გომორის შესახებ, სადაც გაბატონებულმა უკიდურესმა გარყვნილებამ და ზნედაცემულობამ ღმერთი იმდენად განარისხა, რომ მათი განადგურება გადაწყვიტა. აბრაამ მამათმთავარი უფალს ევედრებოდა, რომ ამ ქალაქებში თუ ორმოცდაათი, ან თუნდაც უფრო მცირე რაოდენობით იქნებოდნენ მართალნი, არ აღეგავა ისინი პირისაგან მიწისა. უფალმა დაუთმო და ბოლოს ათზე დათანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლოთის ოჯახის გარდა, მართალი არავინ იყო.

ასე რომ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე,

როგორ ვცხოვრობთ, როგორი იქნება ჩვენი რწმენა და სიყვარული; ეს განსაზღვრავს არა მარტო პირადად ჩვენს მომავალს, არამედ, ქვეყნის და მსოფლიოს ხვედრსაც.

რა მოხდება მეორედ მოსვლის შემდეგ?

მეორედ მოსვლისას საბოლოოდ განისჯებიან ყოველნი, ცოდვილნიც და მართალნიც, რათა არცერთ ადამიანს თავისი სიკეთის ამქვეყნად გამოვლენილი მისხალიც არ დაეკარგოს, მის სახელზე ახლობელთა და სხვათაგან აღსრულებული ქველი საქმენი მიეთვალოს და უკანასკნელი მსჯავრი უკეთესი მიეგოს.

ნეტარების ღირსნი ხდებიან როგორც მართალნი, ასევე ის ქრისტიანები, რომლებიც სინანულით აღესრულნენ, მაგრამ სიცოცხლეში ვერ მოასწრეს ეჩვენებინათ ამის სათანადო ნაყოფი. ისინი, ღვთის გულმონყალებითა და ეკლესიის შუამდგომლობით, მიიღებენ ცოდვათა შენდობას.

ხოლო შემდეგ, უხრწნელისხეულით შემოსილნი, ხატნი და მსგავსნი უფლისა, კვლავ გააგრძელებენ ღვთისკენ დაუსრულებელ სწრაფვას, რა თქმა უნდა, სხვა სახით და სხვა მდგომარეობით, დანარჩენნი კი მარადიულ სატანჯველს დაიმკვიდრებენ.

სწავლების მიხედვით, თავის გარდაქმნილ, უკვდავ და უხრწნელი თვისებების მქონე სხეულებს, მართალთა მსგავსად, ღვთისაგან განდგომილი ცოდვილნიც შეიმოსავენ, მაგრამ მოუნანიებელ დანაშაულთა და ვნებათა სიმძიმე მათ დაუსრულებელ ტანჯვას განაპირობებს, როგორც მათი ნებაყოფლობითი არასწორი არჩევანისა და მოქმედების შედეგს.

ეკლესიაში მაცხოვრისა და მისი მოწაფეებისაგან დადგენილი ნათლობის წესის აღსრულებით ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება და სულიწმინდის ნიჭის თანაზიარი ამ ქვეყნად ყველა მართლმორწმუნე ხდება; ამასთან ადამზე აღმატებულის, რადგან ეს მაღლი ჩვენს პირველმშობლებს საჩუქრად, დამსახურების გარეშე, ჰქონდათ დედამიწაზე, ედემში;

ქრისტიანებს კი იგი ეძლევათ მაცხოვრის უდიდესი გამომსყიდველი მსხვერპლისა და პირადი სულიერი ღვაწლის შედეგად და ამასთან, მარადიული ნეტარების დასამკვიდრებლად; მაგრამ მის შენარჩუნებას ბოროტის მიერ დაგებული ათასგვარი განსაცდელის გამო, მცირედნი თუ აღწევენ.

ამიტომაც ნათლობა არ არის საკმარისი ჩვენს გადასარჩენად და შემოქმედთან აღდგენილი კავშირის შესანარჩუნებლად. მითუმეტეს დღეს,





როდესაც განსაკუთრებით დამძიმდა დრო და ჩვენი ცოდვებიც, მხოლოდ აუცილებელია მაცხოვრის მიერ ბოძებული ასევე უდიდესი საიდუმლოც სინანულისა, რომლის მადლითაც უფალი შეიწირავს რა ჩვენს გულწრფელ აღსარებას, ღირსგვყოფს დაუსჯელად მივიღოთ წმინდა ზიარება და ცოდვებიც აღგვეხოცოს.

სამწუხაროდ, ყოველთვის იყვნენ და ახლა, მითუმეტეს, მრავლად არიან კადნიერნი, რომელნიც უარყოფენ ღვთის არსებობას, ან შემოქმედს სამართალს უწუნებენ და მიაჩნიათ, რომ თვითონ უნდა შექმნან ახალი რეალობა, ახალი სამყარო.

ათეისტური სულისკვეთების მქონენი ეყრდნობიან თავის გონებას და იმ მოწინააღმდეგეებს, რისი შეცნობის საშუალებასაც ჩვენი გრძნობის ხუთი ორგანო იძლევა; მათ არ იციან და არც სურთ იცოდნენ რაიმე ადამიანის ბუნების საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე, სულიერ ცხოვრებაზე. მათთვის სიტყვა “ცოდვა”, “განწმენდა-კათარზისი”, ისეთივე გაუგებარია, როგორც “თავმდაბლობა” ან “სინანულის განცდა”. ასეთთა შორის, როგორც წესი, სხეული და მიწა ბატონობს და არა ზეცა და სული.

ჯერ კიდევ ბრძენი სოკრატე ამგვარ კითხვას სვამდა ურწმუნოთა მიმართ: “თუ გონება და გრძნობა ტვინის თვისებად მიგაჩნიათ, მაშ რატომ აღარ მოქმედებს ეს უნარი სიკვდილის შემდეგ, ტვინი ხომ ისევ ადგილზე აქვს გარდაცვლილს?” და დასძენდა: “როგორც სულს ვერ ვხედავთ და არსებობს, ასევე ღმერთს ვერ ვხედავთ და არსებობს. როგორც უსულოდ არ არსებობს სხეულის სიცოცხლე, ასევე უღმერთოდ, საერთოდ ცხოვრება”.

რა თქმა უნდა, შეიძლება იცხოვრო ქრისტეს გარეშე, მისი სწავლების გარეშე, აქციო შენი თავი ვნებების სათარეშოდ, მაგრამ სიკვდილს ვერ დაემალები და ვერც საშინელ სამსჯავროს გადურჩები.

გარდაცვალება წერტილს უსვამს ჩვენს ყველა მიწიერ ოცნებასა და წარმავალ სურვილს; სიკვდილით აზრს კარგავს ყველაფერი, რაც ასე გვიყვარდა და შევნატროდით, ან რაც გვბუღდა და სასიკვდილოდაც გვემეტებოდა. სამარესთან ამსოფლოურ საცდურთა ნიღბები ცვივა და მწარე რეალობა დგება.

დღეს, როდესაც მსოფლიოში ათეისტური ტალღა გაძლიერდა და მისი გავლენა ჩვენს ქვეყანაშიც იგრძნობა, თვალნათელი გახდა, როგორ დეგრადირდება ადამიანი უფლის გარეშე, როგორ ადვილად გადაგვარებადია იგი, როგორი უგუნური და თვითგანადგურებისაკენ მიდრეკილი ხდება ის.

ბოროტი ძალა, შეფარვით თუ აშკარად, ყოველთვის ებრძოდა ჭეშმარიტებას, მაგრამ XX საუკუნიდან ამან განსაკუთრებული სახე მიიღო: ჯერ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის სახით გაბატონდა ათეიზმი, რომელიც კატეგორიულად და ძალმომრეობითად უარყოფდა ღმერთს და, ამასთან, სიცრუეზე დაყრდნობით, ქმნიდა თავისთვის სასურველი “სანიმუშო, ზნეობრივი ადამიანების” სახეებს; მათი საშუალებით კი გარკვეულ ორიენტირს უსახავდა ცალკეულ პიროვნებებსაც და საზოგადოებასაც.

ახლა კი, შეიძლება ითქვას, გამოცხადებულია სრული თავისუფლება როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა მიმართ, მაგრამ ამ სიცრუეში მკვეთრად იგრძნობა ღვთის უარყოფელთა სითამამე; ისინი სრული თავაშვებულების პროპაგანდას აქტიურად ეწევიან ყველა საშუალებით და ცდილობენ, ეს ქმედება სიმართლისა და სიკეთის სახელს დაუკავშირონ, რათა თავისი გაუკუღმართებული შემოთავაზებანი ხალხისთვის მისაღები გახადონ.

საერთოდ, ცოდვა როგორც მადლი, გადამდებია და ამის ნაყოფს უკვე ვიძიებთ საზოგადოების ყველა ფენაში.

თუმცა სიმართლეს სიცრუის მანქანა რეალურად ვერასდროს გაუსწორებს თვალს, მოტყუებით კი, მრავალთ აცდუნებს. ამიტომაც აუცილებელია საღვთო ჭეშმარიტების ცოდნა, თანაც ღრმა ცოდნა, რადგან ბოროტი ძალა ამ მხრივაც ფრიად მანიპულირებს.

დღეს მორწმუნე ადამიანს დიდი მოთმინება მართებს, რომ ამდენ ტყუილს, ცილისწამებასა და ღვარძლს გაუძლოს და თვითონაც არ გადაგვარდეს. ჩვენი შესაძლებლობებით ეს მიუღწეველია, ღვთის დახმარებით კი, შესაძლებელი. აუცილებელია, უფალთან სულიერი, ლოცვითი ურთიერთობა, ბიბლიისა და წმინდა მამების დარიგებების კითხვა, რომ განვმტკიცდეთ და შეწევნაც ღვთისა მივიღოთ.

აღდგომა გამაერთიანებელია კაცობრიობის წარსულის, აწმყოსი და მომავლისა. ჩვენს წინაშე ძველი აღთქმა წარმოჩინდება, როგორც დაფარული ახალი აღთქმა, ახალი აღთქმა კი — როგორც განცხადებული, აღსრულებული ძველი აღთქმა.

ბიბლია იწერებოდა დაახლოებით 1 400 წლის მანძილზე სხვადასხვა ავტორისაგან: ნასწავლთა და უსწავლელთა, მეფეთა და მიწათმოქმედთა, სახელმწიფო მოხელეთა, მწყემსთა და მეთევზეთა მიერ. იგი შედგება ისტორიის, წინასწარმეტყველებების, ეპისტოლეების, კანონებისა და რელიგიურ-ზნეობრივი დარიგებებისაგან. მაგრამ თავიდან ბოლომდე

ამ შეუდარებელ წიგნს გასდევს ერთი და იგივე ღვთივგანბრძობილი სულიერი სწავლება, ერთი და იგივე აზრი და დანიშნულება.

ნათქვამის ნათელსაყოფად მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიტანთ:

წმინდა ილია, ისაია და დანიელი, იონა, დავით მეფესალმუნე და სხვა წინასწარმეტყველნი პირდაპირ წერდნენ მაცხოვარზე, ახალ სჯულზე და მის მეუფებაზე.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დასაწყისში ნაუწყებია ერთარსება სამპიროვანი ღმერთის შესახებ, რომელიც ახალ აღთქმაშია განცხადებული.

იესო ქრისტე იწოდება ძედ დავითისა და აბრაამისა, რითაც საღვთო საკვრელით იკვრება ეს წმინდა წიგნი.

ამასთან, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში ერთი და იგივე მცნებებია უმთავრესად მიჩნეული:

“შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა, ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორეა: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი”. (მარკ. 12, 30-31; მდრ. II სჯ. 6,5. ლევიტ. 19,18). შევნიშნავთ, რომ ქრისტიანისთვის მოყვასი არის ყველა ადამიანი, მათ შორის პირადი მტერიც.

სიყვარული ეს არის ყველაზე ამაღლებული გრძნობა, სხვისადმი ერთგულად მსახურების თავისუფალი არჩევანი. თუ ჩვენს ქმედებაში ადგილი აქვს შიშს, ან სხვა რაიმე ზეწოლას, ანგარებას, პირფერობას ან ეგოისტურ გამოვლინებებს, ეს სიყვარული აღარ იქნება ღვთისსათნო, გულწრფელი, მართალი და თავისუფალი. მაგალითად: ვერასოდეს ვერ ვუწოდებთ სიყვარულს იმ ურთიერთობას, სადაც ადგილი აქვს ამპარტავნებას, შურს, ავხორცობას, ხელმრუდობას, ლოთობას, ნარკომანიას, ამ და სხვა მავნე მიდრეკილებით გაერთიანებულ ადამიანთა კავშირს, რადგან სინამდვილეში ეს ყოველივე არის ვნებების მონობა და ჭაობივით ჩამთრევი მანკიერებების ტყვეობა.

სიყვარული და თავისუფლება აუცილებელი პირობაა შენში ღმერთის სისავსის გამოვლენისთვის.

გვიყვარდეს ღმერთი ნიშნავს, მთელი არსებით, გაცნობიერებულად და გულწრფელად გვიყვარდეს ყველაფერი მის მიერ ქმნილიც; ეს კი აუცილებელ პირობად, ასევე, გულისხმობს ჩვენი “მეს” ბატონობისაგან გათავისუფლებას, საკუთარ თავზე ორიენტირებულობის რადიკალურად შეცვლას და

ამაში სიხარულისა და ბედნიერების პოვნას.

ეგოიზმისაგან თავის დაღწევა ადვილი არ არის. ბრძენი ადამიანები გვიჩვენებენ, რომ ჯერ უნდა შევიყვაროთ ზოგადი ღირებულებები და ვიღვაწოთ ცხოვრებაში მათი დამკვიდრებისთვის; მაგალითად, როგორცაა: სიმართლე, თავისუფლება, მშვიდობა, სოციალური სამართლიანობისთვის ზრუნვა, სამშობლოს კეთილდღეობა... და ა.შ.

ავიღოთ თუნდაც თაობათა შორის ურთიერთობა; იგი ყოველთვის გარკვეულ სირთულეებს შეიცავდა, რადგან უფროსებს ჰგონიათ, რომ მათ აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და უკეთესად იციან, რა უნდა აკეთონ შვილებმა. შვილებს მიაჩნიათ, რომ მათ თვითონ უნდა განსაზღვრონ თავისი ყოფა და პირიქით, ბევრ რამეს უწუნებენ მშობლებს.

თაობათა ურთიერთობა მანამდე იქნება პრობლემური, ვიდრე ორივე მხარე ერთმანეთში არ დაინახავს იმ უმნიშვნელოვანესს, რაც პირადად მათ აკლიათ და რაც შეიძლება და აუცილებელიცაა, ისწავლონ ერთმანეთისაგან. ის, რომ მშობლებს და ასაკოვან ადამიანებს ბევრი რამ უნახავთ და ადამიანური ურთიერთობების მხრივ მეტი ცოდნა აქვთ, ბუნებრივია, მაგრამ ახალგაზრდები, რომ უფრო გაბედულნი, ზოგჯერ რადიკალურნიც არიან, ამასთან, აქვთ ახალი იდეები, ახალი ხედვა, ახალი მისწრაფებები, ესეც ფაქტია. უფროსების ვალია, მათი შემოთავაზებებიდან სწორი არჩევანი გააკეთონ, დაინახონ მათში რეალური სასიკეთო შედეგები და მომავალ თაობას დაეხმარონ გზის გაკაფვაში. თანამშრომლობა და ურთიერთშევესების საჭიროება უნდა იგრძნოს ორივე მხარემ. ეს ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა.

შემდეგ ეტაპზე კი უფრო ადვილია შევიყვაროთ სხვა პიროვნება; ეს კი ნიშნავს დავინახოთ მასში განუმეორებელი, განსაკუთრებული ღირებულებები და ეს დავაფასოთ. ადვილი არ არის შური, თავდაჯერებულობა, სხვისი დამცირებით თავის უპირატესად წარმოჩენის სურვილი, ამპარტავნება, და სხვა ამგვარი თვისებანი დამაბრკოლებელ გარემოებად არ გვექცეს; ამიტომაც სიკეთის ქმნასთან ერთად, აუცილებლად, უნდა ვიმუშაოთ ჩვენს თავზეც.

ეგოიზმის დაძლევის და სწორი სულიერი განვითარების მაჩვენებელია ისიც, თუ როგორია სამშობლოსადმი ჩვენი დამოკიდებულება.

დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით რამდენიმე სახის შეტევა ხორციელდება: ერთნი, გარეშე ძალებისაგან



ხელშეწყობილი, აღვივებენ სეპარატისტულ სულს და ქვეყნის დანაწილების თეორიებს ქმნიან; მეორენი პატრიოტიზმის სახელით არასწორ მიმართულებებს ანვითარებენ და ამ გრძნობას დამახინჯებულ სახეს აძლევენ; სხვანი კი ზოგადადამიანური ღირებულებებით გვესაუბრებიან და პატრიოტიზმს ჩამორჩენილობად თვლიან.

არ არსებობს აწმყო წარსულის გარეშე. ნებისმიერი ღირსეული პიროვნებისთვის სამშობლოს ისტორიის ცოდნა აუცილებელი პირობაა; სახელმწიფოსთვის კი, სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი გარანტი, რადგან ეს ცოდნა, სწორ აზროვნებასთან შეერთებული, აღძრავს ისეთ გრძნობებს, როგორცაა იდეისთვის უანგარო მსახურება, ერთგულება, ვაჟკაცობა, გონიერება, თავდადება... რაც ბოროტის მცდელობას, თავისთავად, წარუმატებელს ხდის; ამასთან, საზოგადოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ “ვისაც თავისი ქვეყანა არ უყვარს, მას არავისი სიყვარული არ ძალუძს” (ჯ. ბაირონი), “სამშობლოს ნამდვილი სიყვარულის გარეშე კი კაცობრიობის ნამდვილი სიყვარული არ არსებობს” (ა. ფრანსი).

ცხოვრების გზა ვიწროა და ძნელად სავალი, მაგრამ მეტად საინტერესო და მიმზიდველი. ეს არის მუდმივი გამოცდა და ბრძოლა ბოროტი ძალის სხვადასხვა გამოვლინებასთან: იგი შენს შესაძლებლობებს სულ სხვა კუთხით დაგანახებს და, სწორად მოქმედების შემთხვევაში, ღვთის მაღლი იმდენად აღგავსებს, რომ მას ვეღარ განემორები. ამასთან ისე შეიცვლება, რომ ყოველგვარი გაჭირვება შიშით კი არა, სულიერი სიმშვიდითა და სიძლიერით განგმსჭვალავს და ვეღარაფერი დაგამარცხებს. მაშინ შენი ღვაწლი, მაცხოვრის მაცხოვრებელ მაღლს შეერთებული, ღვთის ნეტარებას დედამიწაზევე გაგრძნობინებს და შენს უდიდეს მიზანსაც აღგასრულებინებს.

და რაში მდოგმარეობს იგი?

განმღრთობაში, ძალისამებრ ჩვენისა, ღვთის მიბაძვაში!

ეს არის ნებისმიერი ადამიანის მთავარი დანიშნულება, ეს არის მოწოდება, რომლის წინაშე ყველა სხვა მიწიერი ზრუნვა, სურვილი და განსაცდელი უნდა გაუფერულდეს.

ღმერთი სრულყოფილია, ჩვენც გვმართებს, მუდამ ვისწრაფვოდეთ სრულყოფილებისაკენ და ვცდილობდეთ იმ ნიჭის სრულად გამოვლენას, რაც უფლისაგან მოგვეცა; იქნება ეს: მიწათმოქმედება, სხვა ფიზიკური შრომის უნარი, სწავლა, მეცნიერული აზროვნება, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მუშაკობა, პედაგოგობა, ექიმობა, მშენებლობა, ქვეყნის მსახურება, ღვთის

მსახურება... მოციქული ამიტომაც გვარიგებს: ყველაფერი რასაც გააკეთებთ, გააკეთეთ როგორც ღვთისთვის, მთელი სულითა და გულით (კოლ.3,23).

რაოდენ მაღლიერნი უნდა ვიყოთ უფლისა, რომელმაც საოცარი, ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი, წყალობა მოგვცა, თავისი უნაპირო სიყვარულის გამო ჩვენთვის დაითმინა ტანჯვა, წამება, შეურაცხყოფა, დამცირება, ჯვარცმით სიკვდილი და აღდგომითა და ამაღლებით მოგვანიჭა სრულქმნის შესაძლებლობა. და რაოდენ უგუნურნი და უმადურნი ვიქნებით, თუ ეს ვერ გავაცნობიერეთ და ამაოებაში დავინთქით?!

პასეკამდე, სვიმონ კეთროვნის სახლში ყოფნისას, იესო ქრისტეს ერთი ცოდვილი ქალი მორიდებით მიუახლოვდა, ცრემლით დაალტო მისი ფერხნი, დაასხა ძვირფასი ნელსაცხებელი და თავისი თმით დაუწყო შემშრალება.

ამის მხილველმა მოციქულებმა გულისწყრომა გამოხატეს, რადგან ფიქრობდნენ, უმჯობესი იყო ეს სურნელოვანი ზეთი გაეყიდათ და საფასური გლახაკთათვის დაერიგებინათ.

ქალის გულწრფელი ქმედება კი მაცხოვარმა ასე შეაფასა: “მთელ ქვეყანაზე, სადაც იქადაგება ეს სახარება, ყველგან ითქვას... რაც მან გააკეთა, მის მოსახსენიებლად” (მათე 26,13).

ინებოს ღმერთმა, ცოდვაში მყოფმა ყველა ადამიანმა, ამ ქალის მსგავსად, ადრე თუ გვიან, შეიცნოს ღმერთი, თავისი ნელსაცხებელი მართვას მას და, მამასთან დაბრუნებული უძღვები შვილივით, შეიმოსოს სამოსელი პირველი.

ქართველნი, აფხაზნი, ოსნი, ბერძენნი, უკრაინელები, რუსნი, სომეხნი, ებრაელები, აზერბაიჯანელები, უდინნი, იეზიდნი, ქურთნი, ინგუშნი, ქისტნი, ჩერქეზნი, ჩეჩენნი, ლეკნი, ყოველნი მკვიდრნი საქართველოსა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულელები, ადიდეთ და “უგალობეთ ღმერთს თქვენს გულებში მაღლიერებით”. (კოლას. 3,16); და სასოებით “ჰმადლობდეთ მამას, რომელმაც გვიხსნა ბნელის ხელმწიფებისგან და შეგვიყვანა თავისი სიყვარულის სამეფოში, რომელშიც გვაქვს გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება” (კოლას. 1, 12-14).

მამ, “შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯარი და ხსნის იმედის მუზარადი”. (თესალ. 1,58), რადგან

ქრისტე აღდგა!

გიხაროდეთ!



# Homo Economicus-ი, როგორც ნეოლიბერალური სამყაროს პირმშო და სუბიექტურობის წარმოება

ქეთევან ჭიაბრიშვილი  
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
თავდაცვის აკადემიის მენეჯმენტის მიმართულების  
ასოცირებული პროფესორი;  
chiaberi25@gmail.com ;  
5(55)367757

ბაქარ ბუნტური  
ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისი“; ლეიტენანტი;  
Baqari.bunturi@gmail.com ;  
5(99)408362

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე საქონელწარმოებისა და საქონელგაცვლის საფუძველზე განვითარებული ეკონომიკური ურთიერთობები ადამიანის კეთილდღეობისა და კომფორტული ცხოვრებისათვის დაუცხრომელი სწრაფვის მიზეზი გახდა და დიდი ხანია უწყვეტ და შეუქცევად პროცესად იქცა. სწორედ ამიტომაც, ათასწლეულების მანძილზე ადამიანი ყოველთვის ეძებდა ახალ გზებსა და საშუალებებს, მუდამ ხორცს ასხამდა ახალ იდეებს ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. მიღწეული მიზანი კი გარანტი უნდა ყოფილიყო მის გარშემო კომფორტული და სტაბილური გარემოს შექმნისა. მაგრამ ჰომოსაპიენსის ეგოცენტრული ხასიათი - მიზნის მიღწევის ლოგიკური და სრულიად ჯანსაღი პროცესის ირგვლივ აჩენს კითხვას, რომელიც დღეს უკვე მწვავე ფორმით დგას კაცობრიობის წინაშე - „რამდენად ზნეობრივი და მოწესრიგებულია ადამიანის ეკონომიკური ქცევა ამგვარი მიზნის მიღწევის გზაზე“?

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ადამიანი; გონივრული მოთხოვნილებები; ეკონომიკის ზნეობრიობა; ეკონომიკის ჰუმანიზაცია; ეკონომიკური ქცევა.

„მთავარი ნაკლოვანება ეკონომიკური საზოგადოებისა, რომელშიც ვცხოვრობთ, არის მისი უუნარობა უზრუნველყოს სრული დასაქმება, აღმოგვხვრას ის თვითნებობა და უთანაბრობა სიმდიდრისა და შემოსავლების განაწილებაში, რაც მას ახასიათებს“  
ჯ. მ. კეინსი

„არ არსებობს მხეცი უარესი, უფრო მეტად საშინელი, ვიდრე საშოვარზე გამოსული ბიზნესმენი“  
თ. დრაიზერი

„ეკონომიკაში არ არის უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე კაპიტალიზმის მომავალი“  
რ. ჰეილბრონერი, ლ. ტუროუ

მე-XX საუკუნის გამოჩენილმა ფსიქოანალიტიკოსმა ე. ფრომმა შეკითხვაზე: - ხომ არ გეჩვენებათ, რომ შეიმჩნევა ნეკროფილიის, როგორც მოვლენის ზრდის ამკარა ტენდენცია? - უპასუხა: ვშიშობ, რომ სწორედ ასეა, და რომ ამ ზრდას იწვევს ყველა სახის მექანიზმების ჭარბწარმოება. ჩვენ გავურბივართ



სიცოცხლეს - მექანიკური ავიწროებს ცოცხალს, ხოლო ნივთები ცვლიან ადამიანებს. დღეს, ადამიანები თავის ყოფას გამოხატავენ არსებითი სახელით - „მე“, რომელიც შემდეგ უერთდება ზმნას, - „მაქვს“! ე.ი. ფილოსოფიური დილემა უფრო მწვავედება: „მქონდეს“? თუ „ვიყო“? [11]

ნეოლიბერალური, ინდივიდუალისტური და კაპიტალისტური კონცეფციების ანალიზმა დაადასტურა, რომ სოციალური სახელმწიფოს მწყობრიდან გამოსვლის ფონზე, - მარგარეტ ტეტჩერის, ფრიდმანის და რეიგანის ეკონომიკის ნეოლიბერალური ელემენტების რეალიზაციის (გადასახადების დაბალი განაკვეთები; უფრო დაბალი სახელმწიფო ქვოტა; თავისუფალი ბაზარი, ნაცვლად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინდუსტრიალიზაციისა; ფულის მასის სტაბილური და დამუხრუჭებული გაზრდა) პარალელურად გაჩნდა კითხვები? - ხომ არ სჭირდება კაპიტალიზმს კაპიტალისტებისაგან დაცვა? რა როლს თამაშობს კაპიტალისტური ეკონომიკის სისტემაში ზნეობრივი პრინციპები? როდესაც ფრიდმანი ნებისმიერი ეკონომიკური პრობლემისათვის - შრომის ნაყოფიერება, განაწილება, გაცვლა, ენერჯია, ინფლაცია და უმუშევრობა - ერთადერთ რეცეპტს გვთავაზობს - თავისუფალ ბაზარსა და უფლებაშეზღუდულ სახელმწიფოს, ხომ არ კნინდება მთელი ეკონომიკის ზნეობა, როცა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდთა თავისუფლების გარანტიის მოთხოვნა რჩება? არსებობს თუ არა ეკონომიკის სპეციფიკური პასუხისმგებლობა, ან მოვალეობა სახელმწიფოს იმართ?

ამ კითხვებზე პასუხი ფრიდმანმა 1970 წელს „ნიუ იორკ ტაიმს“-ში გამოქვეყნებული სტატიით გასცა: „ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას საკუთარი მოგების გაზრდისკენ სწრაფვა წარმოადგენს“ [14]. აშკარაა: ეკონომიკის ზნეობა მხოლოდ მოგების გაზრდის „ზნეობრივი ვალდებულებით“ შემოიფარგლება. ე.ი. მორალი მხოლოდ ბიზნესით განისაზღვრება და ეს უკანასკნელი ასეა განმარტებული: The business of business is business (ბიზნესის საქმეს მხოლოდ ბიზნესი წარმოადგენს) ამ შემთხვევაში მხოლოდ ბიზნესში არსებული კანონების დაცვაა საჭირო, მაგრამ არავინ ახსენებს ე.წ. სოციალურ პასუხისმგებლობას ისეთი ბუნდოვანი კოლექტიური მიზნებისთვის როგორცაა: საყოველთაო კეთილდღეობა და სოციალური სამართლიანობა. ფრიდმანის ეკონომიკური თეორიაციონობს მხოლოდ ატომისტურად გაგებულ კრებულს რაციონალურ წესზე მოქმედი ინდივიდებისა, რომელთაც სინამდვილეში მხოლოდ თავისუფლების იდეა აერთიანებს და აღარ რჩება ადგილი საყოველთაო

კეთილდღეობისა და საერთო ინტერესებისათვის... და რამდენმა ფინანსისტ - ჟონგლიორმა, ფირმათა შემსყიდველმა და ბირჟის სპეკულანტმა იხელმძღვანელა თავის პრაქტიკაში ამ მორალით?

ფრიდმანის წიგნის მკითხველს გაუკვირდება: ზნეობა=მეტ მოგებას? მაშასადამე აღარ არსებობს პრინციპული დაპირისპირება მოგებასა და ზნეობას, პირად სარგებელსა და მორალს შორის? ფრიდმანის აზრით არ არსებობს, რამდენადაც მისეულ ულტრალიბერალურ ეკონომიკაში მორალი მთლიანად და სავსებითაა ინსტრუმენტალიზებული: - საჭიროა ხელშეკრულების პირობების დაცვა, ზრუნვა საუკეთესო ხარისხისთვის რასაც შედეგად მოსდევს მოგება. მზარდი მოგების მიღებისა და ინდივიდუალური კეთილდღეობის მისაღწევად ზნეობა წარმოადგენს ინსტრუმენტს გონიერი ინდივიდის ხელში, საკუთარ ინტერესთა გრძელვადიანი პერსპექტივით რეალიზაციისთვის, შრომის დანაწილების მქონე საზოგადოებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეთიკა გადაქცეულია მორალის ეკონომიკურ თეორიად, ბაზრის მსახურად. ამგვარი ლიბერალური ეკონომიკა მიზნად ისახავს ზნეობის მოთვინიერებას მის (ეკონომიკის) მიერ. მომთვინიერებლის როლში კი ნეოლიბერალური ეკონომიკის პირშო - Homo economicus-ი გვევლინება. სანამ ამ უკანასკნელის ფენომენს განვიხილავთ, გავიხსენოთ ნეოლიბერალიზმის არსი და თავისებურებები.

დევიდ ჰარვის „ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორიის“ შესავალ ნაწილში შემდეგ განაცხადს ვხვდებით: „ნეოლიბერალიზმს ყველგან შედევადი გავლენა აქვს აზროვნების წესზე, მის არსზე, სადაც ის ინკორპორირდება სად აზრად, წესად რომლის მეშვეობითაც სამყაროს ვიგებთ, ვხსნით და მასშივე ვცხოვრობთ“ [12]. მაგრამ მიუხედავად მისი საზოგადოებრივ აზრზე მბრძანებლობისა - მისი არსი მრავალთათვის მაინც ბუნდოვანია და ადამიანები ხშირად გაუცნობიერებლად ემორჩილებიან მას. ეს ბუნდოვანება კი მისი ძალაუფლების მიზეზი ხდება. ნეოლიბერალიზმი ყოვლისმომცველი და ფართოდ განტოტილი გახდა საზოგადოებაში. მას იშვიათად აღიარებენ, როგორც იდეოლოგიას - შექმნილს ადამიანის მიერ. მას განიხილავენ, როგორც უტოპიურ, სრულყოფილ მრწამსს - ნეიტრალურ ძალას, რომელიც გასაღებია ყველა პრობლემის მოგვარებისა. მაგრამ რეალობაში ის არ წარმოადგენს ფუნდამენტურ ბიოლოგიურ კანონს, იგი ფილოსოფიაა, რომელიც ტრანსფორმირდა იდეოლოგიაში, რათა მისი საშუალებით შეგნებულად გარდაქმნილიყო ადამიანის ცხოვრება - ძალაუფლების პოლუსების

გადანაცვლების მიზნით.

1938 წელს, ლუდვიგ ფონ მიხესის და ფრიდრიხ ჰაიეკის მიერ შექმნილი ნეოლიბერალიზმის მოძღვრება არ ყოფილა სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასის მიერ ინიცირებული, არამედ დამყარებული იყო ბაზარზე საქონლის ყიდვა-გაყიდვის ყოველდღიური გამოცდილების საფუძველზე. ბაზრიდან, რომელიც შემდგომში მეტად რთული და კომპლექსური სისტემა გახდა. მოძღვრების მიზანი არა მხოლოდ პოლიტიკური ბატონობა ანდა სახელმწიფო იდეალად აღიარებაა, არამედ მთელი ადამიანური ეგზისტენციის დაუფლებაცაა. მას აქვს პრეტენზია, წარმოადგინოს არა იდეალური, არამედ რეალური, ადამიანური ბუნება მატერიალურ პროექციაში.

შედეგი ნეოლიბერალიზმის მომძლავრების არის ადამიანური ბუნებისა და მისი სოციალური არსებობის განსხვავებული გაგება საზოგადოებაში, ამიტომაც ნეოლიბერალიზმის განმარტებისა და გამოკვლევისთვის საჭიროა ხელახლა გადაისინჯოს ფუნდამენტური იდეოლოგიისა და ძალაუფლების ცნებები, არსებობის წესები და სუბიექტურობის გაგება. რამდენადაც თანამედროვე სამყარო ადამიანის განსხვავებულ მოდელზეა დაფუძნებული, იგი თავის არსით მიჯაჭვულია ბაზარზე და თავადაც ამ ბაზრის შემადგენელ აქტივს წარმოადგენს.

როგორც ფრედერიკ ჯეიმსონი, მის მიერ წამოყენებული კავშირების და გამოწვევების შეჯამებაში წერს: „წამოყენებული თეზისი, რომ „ბაზარი ადამიანის ბუნებაა“ შეუძლებელია შეუცვლელად დავტოვოთ. ჩვენი აზრით, ეს ჩვენი დროის იდეოლოგიათა შორის გადამწყვეტი ბრძოლის ველია“ [13].

ბრძოლა კი იმართება მეტად ადამიანურად დარჩენისთვის, რაც ნეოლიბერალურ სამყაროში ძალზედ რთულია. საკითხის სიმწვავე გამომდინარეა - კლასიკურ ლიბერალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის არსებული ფუნდამენტური სახესხვაობიდან.

კლასიკური ლიბერალიზმი გაცვლაზეა ორიენტირებული, რასაც ადამ სმიტმა კაცობრიობის „საქონლის გაცვლა-გამოცვლის, სავაჭრო გარიგების და გადაცვლის“ ტენდენცია უწოდა. ეს ტენდენცია ბაზრის, როგორც სისტემის ნატურალიზებას ახდენს რაციონალობასთან, ინტერესებთან და მისთვის დამახასიათებელ ეფექტურობასთან ერთად. საბოლოოდ კი, როგორც საქონლისა და მომსახურების გამანაწილებელი, თავის აღმატებულ უპირატესობას ამტკიცებს. ბაზარი გახდა ავტონომიური სივრცე, რომელიც ამ

მდგომარეობიდან, კერძო საკუთრების უპირობო უფლების მემკვიდრით გამოიკვეთა [22].

განსხვავებით მისგან ნეოლიბერალიზმი ეკონომიკური აქტივობის სოციალ-პოლიტიკური აქტივობის ზოგად მატრიცად გადაქცევის პროცესს უფრო ფართოდ შლის და აქცენტს არა გაცვლაზე, არამედ კონკურენციაზე აკეთებს. ის, რაც ფუკოს მიხედვით, „კლასიკურ“ და „ნეო-ლიბერალიზმს“ აერთიანებს, არის Homo Economicus-ის ზოგადი იდეა, რა გზითაც ისინი ადამიანის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, კერძო „ანთროპოლოგიას“ პოლიტიკის ბაზისშიათავსებენ. შედეგი კი ადამიანის გაცვლის ანთროპოლოგიიდან კონკურენციის ანთროპოლოგიაზე გადასვლაა [10].

ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის გზა, რისი საშუალებითაც ხდება „ანთროპოლოგიაში“ Homo Economicus-ის, კონკურენტუნარიან ქმნილებად ჩამოყალიბება. ამ გარდასახვის თანმდევი პროცესია იმ საშუალებების ცვლილება, რომლითაც ადამიანები ქმნიდნენ საკუთარ თავს და სუბიექტებად ყალიბდებოდნენ.

ტრანსფორმაციის ამ ეტაპზე ნეოლიბერალიზმი, ეკონომიკის ველისა და ფარგლების ფართომასშტაბიან ექსპანსიას ეწევა და ამის შედეგად ყველაფერს და ყველას კაპიტალის ნაწილად აქცევს. ამას თავისთავად შრომის და მშრომელის ხელახალი გააზრება სდევს თან. ნეოლიბერალურ წესრიგში მშრომელი ადამიანური კაპიტალია. ანაზღაურება კი მის უნარებში ჩადებული პირველადი ინვესტიცია. ნებისმიერი მისაღები და ეკონომიკურად გამართლებული მოქმედება, რომელიც პროდუქტიულობის შესაძლო ზრდას იწვევს: მიგრაცია, განათლება, გადამზადება - ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციაა. მაგრამ მიუხედავად იმისა რომ, „ადამიანური კაპიტალის“ ორგანული ნაწილი, ტვინი, სხეული, გენეტიკური მასალა არ ექვემდებარება გაუმჯობესებას, თანამედროვე ტექნოლოგიები გვამღვებს საშუალებას გადავლახოთ ბუნებრივი ლიმიტები პლასტიკური ქირურგიის თუ გენეტიკური ინჟინერიის საშუალებით, რაც ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციის გაფართოებას და ტრანსფორმაციას ხდის შესაძლებელს. მიშელ ფუკო ეკონომიკურ ურთიერთობათა ამ ფორმას შემდეგნაირად განმარტავს: „Homo Economicus-ი არის მწარმოებელი, - საკუთარი თავი მწარმოებელი არსება“.

ეს არის მტკიცედ დანერგილი ცნება, რომელიც მისი სარგებლიანობის გამო „გაბატონებული კლასის“ იდეადაა ქცეული. იდეად, რომელიც



ადამიანის აზროვნებას ცვლის იმდენად რომ, მინიმალურ ხელფასზე მომუშავედან აღმასრულებელ დირექტორამდე თავს ყველა მწარმოებლად მიიჩნევს. მსგავს იდეათა გამრავლება და განმტკიცება კი საზოგადოების „დამსახურებაა“. მდიდრები თავიანთ თავს არწმუნებენ, რომ სიმდიდრე საკუთარი დამსახურებითა და სიქველით მოიპოვეს, მაგრამ ივიწყებენ ისეთ უპირატესობებს, როგორცაა განათლება, მემკვიდრეობა და კლასი, რომლებიც შესაძლოა მათ გამდიდრებაში დაეხმარა. ხოლო ღარიბები იწყებენ წარუმატებლობის საკუთარი თავისათვის დაბრალებას, მაშინაც კი, როდესაც მათ მხოლოდ მცირედით შეუძლიათ საკუთარი გარემო ვითარების შეცვლა. მიზეზი გარემოს ასე არარეალურად აღქმისა მეტისმეტი რაციონალობა და შესაბამისად გრძნობების უგულვებელყოფაა.

მიშელ ფუკოს აზრით ნეოლიბერალური იდეალი „ჭეშმარიტების“ ახალ რეჟიმს წარმოადგენს, რომელიც ადამიანს სუბიექტად აყალიბებს: ამ იდეით მართული Homo Economicus-ი, რადიკალურად განსხვავებულია მისი წინაპრისგან, რომელიც სახელმწიფოებრივად, კოლექტიურად მომართული პიროვნება გახლდათ. მისგან განსხვავებით ნეოლიბერალიზმი ურთიერთქმედების ახალ მოდელს, და სტილს ქმნის და აყალიბებს განსხვავებულ მენტალობას, რომელშიც ადამიანები ერთმანეთს მართავენ და თავადაც ზედა რგოლების მიერ იმართებიან. ამგვარი ურთიერთქმედება ხელმძღვანელობს, არა უფლებებითა და კანონებით, არამედ ინვესტიციებითა და კონკურენციით. თომას ლემკის მტკიცებით, ნეოლიბერალიზმი არის პოლიტიკური პროექტი, რომელიც ცდილობს შექმნას ისეთი სოციალური სინამდვილე, რომელსაც უკვე არსებულად მიიჩნევს და კონკურენციას სოციალური ურთიერთობების ბაზისად აცხადებს და ამავე ურთიერთობებსვე კვებავს [15]. ნეოლიბერალიზმი ერთმანეთს აჯახებს და ურევს „მუშას“ და „კაპიტალისტს“ შორის მოქცეულ ოპოზიციურ ტერმინებს. ეტიენ ბალიბარის ციტირება რომ მოვახდინოთ: „კაპიტალიზმი განისაზღვრება როგორც მუშა, მეწარმე, რომელიც თავის თავში რაღაც პოტენციალს, ადამიანურ კაპიტალს ატარებს [9]. “შრომა მეტად აღარ იზღუდება ქარხნებითა და სამუშაო ადგილებით, ნებისმიერი მოქმედება შრომად ითვლება, თუ ის სასურველი მიმართულებით სრულდება. „შრომა“ და „ადამიანური კაპიტალი“ ერთმანეთს გადაკვეთს და ტერმინოლოგიის დონეზე, მათ შორის არსებულ მყარ წინააღმდეგობას გადალახავს. შრომა (როგორც ყოფილი და მოძველებული ტერმინი)

იქცევა აქტივობად, ხოლო „ადამიანური კაპიტალი“ ამ აქტივობის, მისი ისტორიის შედეგად. ამ ურთიერთგადაკვეთიდან გამომდინარე, ეკონომიკური დისკურსი იქცევა მთელი ცხოვრების გზად, სად აზრად, რომელშიც ყოველი მოქმედება: დანაშაული, ქორწინება, უმაღლესი განათლების მიღება და ა.შ. გამოისახება როგორც მაქსიმალური მოგების გამოთვლა მინიმალური დანახარჯებით; მას, როგორც ინვესტიციას, ისე შეიძლება ვუყუროთ. ამით, მარქსი და ნეოლიბერალიზმი მსგავსი პრობლემის გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდიან, რომ ნეოლიბერალიზმის პოლიტიკას ჩაეწვდეთ, რომელიც „მეწარმის“, „ინვესტირების“ და „რისკის“ იდეის ფინანსური კაპიტალის გარეთ, ყველა დასახელებულ ურთიერთობებზე განზოგადების მეშვეობით, ჩაგვრის იდეას აუქმებს და შლის. ნეოლიბერალიზმი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული ვერსია „კაპიტალიზმისა, კაპიტალიზმის გარეშე“, როგორც კერძოსაკუთრების შენარჩუნების და კაპიტალიზმში არსებული დოვლათის განაწილების გზა, რაც ამავდროულად ბოლოს უღებს ანტაგონიზმსაც და კაპიტალიზმისთვის საფრთხის შემცველ მდგომარეობასაც; ამ შემთხვევაში, პარადოქსულად, მისი გაფართოება ხდება, ყველა საზოგადოებაში არსებული, სულ ცოტა ტერმინების, სიმბოლოების და ლოგიკის დონეზე მაინც. კაპიტალისტსა და მუშას შორის არსებული წინააღმდეგობის წაშლა ხდება არა წარმოების საშუალებების გარდაქმნით, დოვლათის წარმოებისა და განაწილების ახლებური ორგანიზებით, არამედ დაქვემდებარების საშუალებით, სუბიექტურობის ახლებური წარმოებით. ამით ნეოლიბერალიზმი ყველა საზოგადოებზე ეკონომიკის მხოლოდ მისთვის მახასიათებელ ზრდას იწვევს; ეს ისე როდი ხდება, როგორც მარქსი ამტკიცებდა, რომ ვინაიდან ყველაფერი ეკონომიკურ ბაზისზე დგას (სულ ცოტა საბოლოო ჯამში მაინც) ეკონომიკის გავლენა მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება; ეს უფრო ისეთი საბაზრო ეკონომიკური გადმოსახედეა, რომელიც ყველა საზოგადოებასთან თანაარსებული ხდება. როგორც კრისტინ ლაველი ამტკიცებს, ყველა მოქმედება უმცირეს ფასად უდიდესი მოგების, ეგოისტური ფუნდამენტური იდეისადმი შეხმატკბილებად განიხილება. ეს არის არა სტრუქტურა, რომელმაც მთელი საზოგადოება მოიცვა, არამედ ეკონომიკური აზროვნების საგანი, მისი ნაგულისხმები ანთროპოლოგია“ [18].

კლასიკური ლიბერალიზმისგან განსხვავებით, რომელიც ყველაფერს გაცვლის ობიექტად არ თვლიდა - ნეოლიბერალური რეჟიმი არღვევს საზღვრებს და ყველაფერს: სულიერს თუ უსულოს

მატერიალურს თუ აბსტრაქტულს სავაჭრო დახლზე ალაგებს. და ნეოლიბერალებისევე აზრით ამგვარი რადიკალური მიდგომა უალტერნატივოა კონკურენტული გარემოს ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად ნეოლიბერალურ გარემოში გამოზრდილი Homo Economicus-ი არ კმაყოფილდება მხოლოდ ნაწარმოები პროდუქტისა და მომსახურების გაყიდვით, იგი საბაზრო გაცვლას უქვემდებარებს საწარმოო პროცესში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები – ბუნებრივი რესურსები, ადამიანის სამუშაო ძალა, და ფული – არ არის ვაჭრობისთვის „წარმოებული“. „არასაქონელთა გასაქონლება“ არის მუდმივი კონფლიქტისა და არასტაბილურობის წყარო, რის გამოც Homo Economicus-ი მკაცრად ითხოვს პოლიტიკურ მესვეურთაგან განსაკუთრებული ზომების მიღებასა (ინტერვენციულს, რეგორმისტულს, რეგულაციურს, ავტორიტარულს, სამხედროს და ა.შ.) და ინსტიტუციური გარანტიების შექმნას [23].

სპეკულაციური ინვესტიციებით ფულის გასაქონლება ფინანსურ ბაზრებზე მათი პოტენციურად დამანგრეველი ეფექტებით, ბუნებრივი რესურსების გასაქონლება მასთან დაკავშირებული გარემოზე მიყენებული ზიანით, ადამიანის სამუშაო ძალის გასაქონლება მისი რეგრესული განაწილებით და სხვა გვერდითი ეფექტები, ერთად, შეიძლება ბუნებით არასაქონელთა ან „ფიქტიურ“ საქონელთა გასაქონლების მთავარ თანამედროვე „შეცდომებად“ მივიჩნიოთ [21]. რადგანაც ამ პირობებში ადამიანი არა მარტო სცილდება მის ადამიანურ სახეს, არამედ იქცევა თანამედროვე ორგანიზაციათა კონტროლის ობიექტად. რომელიც მათ კონტრაქტულ შრომას ასაქონლებს.

გამომდინარე აქედან მათზე ძალაუფლება ხორციელდება არა მხოლოდ ცალკეული დამქირავებლის მიერ, არამედ, დამქირავებელთა ერთობლიობის მიერაც, რომლებიც „სტრუქტურულ“ ან კლასობრივ ზეწოლას ახდენენ მათზე. ამგვარ მოვლენას სიმყარეს უნარჩუნებს ის, რომ მშრომელები ცალსახად კაპიტალზე არიან დამოკიდებული, რადგანაც ანაზღაურება ხშირ შემთხვევაში თავის რჩენის ერთადერთი წყაროა.

ამ საკითხის სიმწვავეს ნათლად განმარტავს კარლ მარქსი - მის ძირითად ეკონომიკურ მოძღვრებაში „დამატებითი ღირებულების თეორია“.

მარქსი წერდა, რომ ღირებულების სუბსტანციას წარმოქმნის საქონელში განივებული აბსტრაქტული ადამიანური შრომა. საბაზრო

ფასები მხოლოდ რყევას განიცდიან ღირებულების მიმართ მოთხოვნა-მიწოდების მოქმედების გავლენით. მაგრამ ღირებულება - ეს არა ნივთიერი კატეგორიაა, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობაა წარმოების პროცესში. ამიტომ კაპიტალიზმის პირობებში წარმოებული საქონლის ღირებულება იშლება სამ შემადგენლად:  $c+v+m$ , სადაც  $c$  - წარმოების პროცესში გაცვეთილი წარმოების საშუალებების ღირებულებაა,  $v$  - დაქირავებული მუშის სამუშაო ძალის ღირებულება და  $m$  - დამატებითი ღირებულება.

მუშა თავის სამუშაო ძალას მიჰყიდის კაპიტალისტს.  $v$  კი, ტოლია იმ საშუალებათა ღირებულების, რომელიც აუცილებელია მუშის რეპროდუცირებისთვის. მაგრამ წარმოების პროცესში დაქირავებული მუშა ქმნის იმაზე მეტ ღირებულებას, ვიდრე მისი სამუშაო ძალაა ( $v+m$ ). სხვაობა დაქირავებული მუშის მიერ ახლად შექმნილ ღირებულებასა და მისი სამუშაო ძალის ღირებულებას შორის წარმოადგენს დამატებით ღირებულებას  $m$ , რომელიც მუქთად მიითვისება კაპიტალისტის, როგორც წარმოების საშუალებების მესაკუთრის მიერ. ამიტომაც კაპიტალისტური წარმოების პროცესი წარმოადგენს დაქირავებული მუშის ექსპლუატაციის პროცესს.

ნეოლიბერალურ მსოფლიოში, სადაც კონკურენცია ბატონობს, Homo Economicus-ი მდიდარს და ღარიბს, განსაზღვრავს, როგორც წარმატებულ და წარუმატებელ სუბიექტებს, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკონომიკური რეჟიმი წარმატების გასაღებს მხოლოდ ერთეულებს უგდებს ხელში.

თანამედროვეობის უდიდესი გამოწვევა - სიმდიდრის არათანაბარი განაწილება, განსაკუთრებული სიმწვავეით დგას საზოგადოების წინაშე. კაპიტალისტური სისტემა კი მისი ამჟამინდელი სისტემურობით ვერ უზრუნველყოფს გამოწვევაზე ადეკვატური პასუხის გაცემას. მისი არსი, რომელიც დაფუძნებულია კერძოსაკუთრებასა თავისუფალ ბაზარზე, თავისთავად წარმოადგენს ფასეულობას, მაგრამ ნეოლიბერალური ეკონომიკური სისტემის მიერ განდევნილი ზნეობა ამ ფასეულობებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მის მიერ სააშკარაოზე გამოფენილი გაზრდილი ეკონომიკური მაჩვენებლები კი კარგავს თავის მნიშვნელობას იმ რეალობაში, სადაც ადამიანები სიღარიბით იტანჯებიან და მოლოდინი - უკეთესი მომავლისა თითქმის დაკარგულია. მისი მთავარი გმირი კი - „Homo Economicus“-ი, (ეკონომიკური ადამიანი) ეკონომიკურ მეცნიერებაში კვლევის ერთ-ერთი მთავარი და აქტუალური ობიექტი ხდება.





გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიუნგი ჰ., მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის., „ენა და კულტურა“, 2006
2. მალაშხია გ., მეტაეკონომიკა., (ეკონომიკის ფილოსოფია); თბ; 1995
3. მარქსი კ. „კაპიტალი“ ტომი პირველი; თბ.,1954.
4. პალმერი ტ. გ. კაპიტალიზმის ზნეობრიობა. თბ., 2013
5. სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ., თბ., 1993
6. ქირთაია მ., ბიზნეს ეთიკა, „ნეკერი“, 2004
7. ჭიაბრიშვილი თ., გზა პატიოსანი ბიზნესისაკენ, თბ., 2000
8. ჭიაბრიშვილი თ., ეკონომიკა ხატოვან აზროვნებაში., თსუ, 2001
9. Balibar E., *Masses, Classes, Ideas: Studies on Politics and Philosophy Before and After Marx*, trans. James Swenson, New York: Routledge, 1994
10. Foucault M., *The Birth of Biopolitics: Lectures at the Collège de France, 1978-1979*, trans. Graham Burchell, New York: Palgrave Macmillan, 2008
11. Fromm E., *To Have or to Be*, Bloomsbury Academic, 2013.
12. Harvey D., *A Brief History of Neoliberalism*, Oxford: Oxford University Press, 2007
13. Jameson F., *Postmodernism; Or, the Cultural Logic of Late Capitalism*, Durham, NC: Duke University Press, 1991
14. Kissinger H., *Diplomacy*, Simon & Schuster, 1995
15. Lemke T., “Foucault, Governmentality, and Critique.” *Rethinking Marxis*, (2002
16. Schumpeter J., *Capitalism, Socialism, and Democracy*, london: Routledge, 2006
17. Нункина М.К., Семенов А.М., *Экономический Человек.*, Москва, ДЕЛО” 2000.
18. Laval C., *L’homme économique: Essai sur les racines du néolibéralisme*, Paris: Gallimard, 2007
19. <https://www.theguardian.com/global-development/2017/jan/16/worlds-eight-richest-people-have-same-wealth-as-poorest-50>
20. <http://european.ge/eric-hobsbawm-socializmi-damarxda-kapitalizmi-gakotrebulia-ra-aris-shemdegi/>
21. [https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2017/08/klaus\\_opes\\_lekcia](https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2017/08/klaus_opes_lekcia).
22. <https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Homo-Economicus>
23. <https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Homo-Economicus-ის-გენეალოგია-ნეოლიბერალიზმი-და-სუბიექტურობის-წარმოება>

Homo Economicus as a Result of Neoliberal World and Production of Subjectivism

Ketevan Chiabrishvili;

Associated Professor of

David Aghmashenebeli National Defense Academy;

Bakar Bunturi;

National Training Center “Krtsanisi”; Lieutenant;


Abstract

In the history of mankind, economic relations based on production and exchange, have become the main reason of aspiration to comfort and welfare. That served as a main reason for humankind to search and develop new ideas and new ways to achieve the precious goals, for thousands of years. The goals achieved, guaranteed the comfort and welfare that it strived for. But egocentric character of a homo sapiens – raises a question, despite the healthy and logical meaning of process of achieving a goal – “How moral and settled is this kind of economic conduct of human beings, on their ways to achieve the goals?”

Keywords: economic human being; reasonable needs; moral economics; humanization of economics; economic conduct.

### აგროტურიზმის მენეჯმენტი

(თელავის აგროსამრეწველო ფირმის „კახური ღვინის“ მაგალითზე)



ავთანდილ ოქროცვარიძე  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი.  
ელ.ფოსტა: avtookrotsvaridze@gmail.com

ლაშა დემურაშვილი  
კავკასიის საერთაშორისო  
უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ნაშრომის აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყვეტით, დავაფუძნოთ და შევქმნათ უძველეს ტრადიციებზე დაყრდნობით, აგროსამრეწველო „კახური ღვინის“ საწარმო, რომელიც მიზნად ისახავს ვაზის უნიკალური ჯიშების კულტურის შენარჩუნებას, ღვინის წარმოებას და დაყენებას როგორც უძველესი მეთოდით ქვევრებში, ასევე, თანამედროვე ევროპული წესით. უცხოელი და ადგილობრივი ტურისტი ადგილზე გაეცნობა და ნახავს ღვინის დაყენებას, გაუკეთებს დეგუსტაციას და დააგემოვნებს ქართული სამზარეულოს კერძებს.

ნაშრომში განხილულია ვენახის ფართობები ჯიშების მიხედვით და გაანალიზებულია მოსავალი და მოსავლიანობა, რის შედეგად გაკეთებულია ფინანსური ანალიზი და დასკვნის სახით მოცემულია ვენახის სრული მსხმოიარობის პირობებში, ფირმა „კახური ღვინო“ რა მოგებას მიიღებს წლიურად ყურძნის გადამუშავების შედეგად.

საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურიზმს და სოფლის მეურნეობას. გაჩნდა იდეა, დაგვეფუძნებია კომერციულ საქმიანობაზე ორიენტირებული საწარმო-კომპლექსი, სადაც გაერთიანებული იქნება როგორც წარმოება, ისე გადამუშავება. ჩვენი მიზანია, ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა მზა პროდუქცია, რომელსაც მივაწვდით როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე, შემოსულ უცხოელ ტურისტებს და ვგეგმავთ ღვინის სხვა ქვეყნებში ექსპორტის სახით გატანას.

უძველეს ტრადიციებზე დაყრდნობით შევქმნით აგროსამრეწველო საწარმო, რომელიც მიზნად ისახავს ვაზის უნიკალური ჯიშების კულტურის შენარჩუნებასა და ღვინის წარმოებას როგორც უძველესი მეთოდით, ასევე, უახლესი ტექნოლოგიებით. შესაბამისად, კომპანიას კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის წარმოება ექნება. არსებულ კომპლექსში გაერთიანებული იქნება ღვინის ქარხანა და ტურისტზე მორგებული კაფე რესტორანი და სასტუმრო.

მოსული სტუმარი ადგილზე გაეცნობა და ნახავს ღვინის დაყენებას, გაუკეთებს დეგუსტაციას, დააგემოვნებს ქართულ ნაციონალურ კერძებს. საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე არსებულ ვენახს დაემატება ვაზი, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს მოთხოვნებს. საწარმოო სიმძლავრე გათვლილია ყოველწლიურად 800 ტ ყურძნის გადამუშავებაზე. ღვინის ჭურჭლის მნიშვნელოვან ნაწილს ქართული ქვევრები და მუხის კასრები შეავსებს, იქნება სპეციალური დარბაზი ღვინის დასაძველებლად. ამას ყველაფერს შევთავაზებთ როგორც შემოსულ, ისე ადგილობრივ ტურისტებს.

ვფიქრობთ, აღნიშნული ბიზნეს-საქმიანობა იქნება მომგებიანი. ჩვენს მიერ ტრადიციული წესით ქვევრებში დაყენებული და ბოთლებში ჩამოსხმული ღვინო ძლიერი კონკურენციის პირობებშიც ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე. ჩვენ მიერ ნაწარმი პროდუქცია მაღალი ხარისხიდან გამომდინარე სრულად გავა არა მარტო ქართული



სურ.1. ღვინის ქარხანა

ბაზარზე, არამედ ექსპორტზეც.

საწარმო-კომპლექსის შემადგენელი მთავარი ობიექტი - ესაა ღვინის ქარხანა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მოდერნიზებული მანქანა-დანადგარებით, პრესებით, საწური ბუნკერებით. ღვინო დაყენდება, როგორც აღვნიშნეთ, ქართული ტრადიციული წესით ქვევრებში და ვაწარმოებთ მაღალხარისხიან ქვევრის ღვინოს, აგრეთვე, დავაყენებთ თანამედროვე ევროპული წესით, უჟანგ რეზერვუარებში. ქარხანა

ყოველწლიურად მიიღებს და გადაამუშავებს სამი ჯიშის ყურძენს: საფერავს, რქაწითელს და ქისს, რომლის წლიური სრული საწარმოო სიმძლავრე იქნება მილიონი ბოთლი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოში იარსებებს ქვევრის სამველე დარბაზი, სადაც მოხდება ტრადიციული წესით ქვევრის ღვინის დაყენება და ასევე, ღვინის დამველება, ხოლო ჩამოსხმა მოხდება 750 მლ ტევადობის ბოთლებში, თანამედროვე ეფექტური ეტიკეტირებით.



სურ.2. ქვევრის რეცხვის პროცესი სარცხით

ქარხანა დაკომპლექტებული იქნება მაღალკვალიფიციური პერსონალით, მაღალი დონის მენეჯმენტით (მთავარი მეღვინე, დამხმარე მეღვინე, წარმოების უფროსი, ჩამოსხმის ხელმძღვანელი), ქარხნის პოზიციონირებისათვის ბაზარზე იმოქმედებს მარკეტინგული ჯგუფი,

რომელიც ორიენტირებული იქნება ქარხნის მაღალი იმიჯის დამკვიდრებაზე როგორც ქართულ, ისე უცხოურ ბაზარზე. მთავარი ამოსავალი წერტილი იქნება მაღალი ხარისხის ღვინო, რომლსაც კომპანია მომხმარებელს შესთავაზებს.



სურ.3. ღვინის მარანი

ღვინის კომპანიის საკუთრებაში იქნება ვენახი, საიდანაც მოწეული მოსავალი კომპანიის წლიური მოთხოვნის უდიდეს ნაწილს დააკმაყოფილებს.

აქ საუბარია 25 ჰა ვენახზე, რომელიც საშუალოდ ყოველწლიურად 300 ტ ყურძენს გადაამუშავებს.



სურ.4. ვენახის ზვრები

ყურძნის გამოსავლიანობა დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებსა და თვით ყურძნის ჯიშებზე. კარგ მეტეოროლოგიურ პირობებში საშუალო გამოსავლიანობა ყოველ 1 ჰეკტარზე

ყურძენზე აღწევს საფერავისა და ქისის ჯიშებისათვის 500 მლ-ს, ხოლო რქაწითელის შემთხვევაში - 600-700 მლ-ს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

**ცხრილი №1**

№	ყურძნის ჯიშები	ფართობი (ჰა)	მოსალოდნელი წლიური მოსავალი (ტ)	საშუალო წლიური მოსავლიანობა 1 ტ/ჰა-ზე
1.	საფერავი	10	100-120	10-12
2.	რქაწითელი	10	150-200	15-20
3.	ქისი	5	40-50	8-10

გაშენებული ვენახის ფართობები და ყურძნის ჯიშების მიხედვით ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები.

ქარხნის მიერ ჩამოსხმული ღვინის 70%-მდე მიიღება საწარმოს რესურსებიდან, ხოლო დანარჩენი ყურძნის რაოდენობა მოსახლეობისგან იქნება შესყიდული, რომელიც დააკმაყოფილებს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის თანამედროვე მოთხოვნებს. აქცენტი გაკეთებული იქნება ზონებზე, მიკროზონებზე, სადაც გაშენებულია წითელი და თეთრი ღვინოების სასურველი ვაზის ჯიშები.

ქარხანა აწარმოებს ღვინოებს, დაყენებულს უმთავრესად ქვევრებში როგორც ტრადიციული წესით ჭაჭაზე, ასევე, ევროპული წესით: მშრალი, ტკბილი, ნახევრადტკბილი.

ჩამოსხმა მოხდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 750 მლ ტევადობის ბოთლებში და მისი ყოველწლიური წარმოება მიაღწევს 1 მილიონ ბოთლს. გასაყიდი საბაზრო ფასი 1 ბოთლზე შეადგენს 10 -15 ლარს.

რაც შეეხება დანახარჯებს, ყოველი 1 ბოთლი ღვინის წარმოებაზე იგი განისაზღვრება თვითღირებულებით უშუალოდ ყურძნის მოყვანიდან მის დახლებზე განთავსების ჩათვლით და შეადგენს ბოთლზე, ყველა საოპერაციო თუ არასაოპერაციო ხარჯის გათვალისწინებით, 4-5 ლარს. ეს დამოკიდებულია მიმდინარე წლის მოსავლიანობაზე და საბაზრო ფასზე.

ცხრილი №2

№	სამუშაოების დასახელება	დანახარჯები ლარებში 1 ჰა ფართობზე
1	მიწის დამუშავება: მოხვნა, კულტივაცია და ა.შ.	400
2	აგროტექნიკური სამუშაოები: გასხვლა, შეყვლა და ა.შ.	500
3	მინერალური სასუქების შეტანა (კალიუმი, ფოსფორი, ამონიუმის გვარჯილა)	300
4	მწვანე ოპერაციები (ზდმედტი ფოთლის შერიდება)	300
5	შეწამვლა	800
6	მოსავლის აღება-დაბინავება	300

დანახარჯები ყურძნის მოვლა-მოყვანაზე.

1 ჰექტარ ვენახზე გაწეული ხარჯი მერყობს 2500-2600 ლარამდე, ხოლო სულ 25 ჰა-ზე შეადგენს 57500 ლარს. ვცდილობთ, რომ ჩასატარებელი სამუშაოები მაქსიმალურად მექანიზირებული საშუალებებით განხორციელდეს, რაც შეამცირებს

ხარჯებს და პროდუქციის თვითღირებულებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვგეგმავთ მზა პროდუქციის (ჩამოსხმული ღვინის) სრულად რეალიზაციის შემთხვევაში მოგებას 7-8 მლნ ლარამდე.



სურ.5. ვენახი - საფერავის ჯიშის ვაზი

ქარხანაში იარსებებს მეორადი გადამუშავების საწარმო, მოხდება საკონიაკე სპირტის გამოხდა ჭაჭიდან და მისგან კონიაკის წარმოება მუხის კასრებში, რომელიც საწარმოსთვის წარმოადგენს

დამატებითი შემოსავლის წყაროს. კონიაკი დაძველება მუხის კასრებში და მიენიჭება სათანადო მარკიანობა და სახელწოდება. ვფიქრობთ, იგი კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება ბაზარზე.



სურ.6. ჭაჭის გამოსახდელი საამქრო

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

მეღვინეობაში ბიოდინამიკა 1980-90 წლებში შემოვიდა, როცა უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულების მანძილზე მწვავედ დადგა ნიადაგის და ვაზის ჯანმრთელობის საკითხი.

თანამედროვე ბიოდინამიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ნიკოლა ჟოლი ლაკონურად ხსნის ბიოდინამიკის ძირითად განსხვავებას ორგანული მეღვინეობისგან: იგი ამბობს, რომ “ორგანული მეღვინეობა საშუალებას

ამღევს ვენახს ბუნებასთან თანხმობაში იარსებოს. ბიოდინამიკური მეთოდი გამორიცხავს ქიმიურ სასუქს, გულისხმობს ბუნებრივი მცენარეული საფარის შენარჩუნებას ვენახში, მისაღებია ყურძნის მხოლოდ ხელით კრეფა და აკრძალულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ვაზის გამოყენება. ფერმენტაცია ნატურალური საფუარით ხდება, მინიმალურია ღვინის სტაბილიზაცია და ფილტრაცია.



ნიკოლას ჟოლი- ბუნების დამხმარე და არა მეღვინე

საწარმო- კომპლექსის ტერიტორიაზე მოეწეობა ბიოდინამიკური მეურნეობა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მრავალი ქართული ვაზის ჯიშით, რომელსაც ადგილზე ნახავს მოსული დამსვენებელი და ტურისტი, მათ ექნებათ საშუალება თვითონ მიიღონ მონაწილეობა დაკრეფაში, დაწურვაში და ა.შ. ასევე, ნახავს და

დაესწრება ჭაჭის გამოხდის პროცესს. გარდა აღნიშნული საწარმო-კომპლექსის შემადგენლობაში შედის სასტუმრო, კაფე რესტორანი, რომელიც დამსვენებელ ტურისტებზე იქნება გათვლილი . ღვინის ტურიზმი ესაა პერსპექტიული და მაღალშემოსავლიანი საქმე, აქედან გამომდინარე ყველაფერი იქნება ტურისტზე

გათვლილი და მორგებული. ადგილზე მოსულ ტურისტს საშუალება ექნება ნახოს და უშუალოდ გაეცნოს ღვინის წარმოებას დააგემოვნოს იგი და თვითონაც კი ჩაერთოს მის წარმოების პროცესში. მათ შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ რქაწითლის

ჯიშის ყურძნის წვენისგან მიღებულ თათარის მომზადების პროცესში და ამასთან ერთად დააგემოვნონ და შეიგრძნონ მისი უნიკალური თვისებები.



სურ.7. თათარიდან ჩურჩხელის ამოვლება



სურ.8. ჩურჩხელის გამრობა

აგრეთვე გაეცნონ და დააგემოვნონ ტრადიციული ქართული ნაციონალური კერძები. კერძოდ: მწვადი, ხინკალი, ხაჭაპური და სხვა რომელიც, მათი მოთხოვნის შესაბამისად მიეწოდებათ.



სურ.9. მწვადის შეწვის პროცესი;



ხინკალი;



ხაჭაპური.

სასტუმრო საოჯახო ტიპისაა და გათვლილია ერთდროულად 100 დასვენებელზე. სასტუმროში განთავსებული იქნება 1-2-3 ადგილიანი ნომრები, რომელთაგან უმეტესს დონეზე იქნება ადგილები, რათა სტუმარმა თავი კომფორტულად იგრძნოს. ფასები 1 დასვენებელზე 1 დღე-ღამის

განმავლობაში 200 ლარი იქნება. აღნიშნულ ფასში შევა სამჯერადი კვება. რესტორანი იქნება ორიენტირებული მხოლოდ ნატურალურ საკვებზე ანუ მომხმარებელს შევთავაზებთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, რომელიც გათვლილია 150 კაცზე.



სურ.10. სადეგუსტაციო დარბაზი



სურ.11. სასტუმროს რესტორანი

აღნიშნული დარეგისტრირდება და გატარდება ერთიან ტურისტულ ბაზაში, რომლის მეშვეობითაც ტურისტი ადვილად შეძლებს მოვიდეს ჩვენს სასტუმროში.

ვფიქრობთ ჩვენს მიერ წამოწყებული საქმიანობა იქნება მაღალშემოსავლიანი, იმდენად რამდენადაც ყოველდღიურად იზრდება ქართული ღვინის პოპულარობა მსოფლიო მასშტაბით. სულ უფრო

და უფრო მეტი დამსვენებელი სტუმრობს ჩვენს ქვეყანას და სწორედ, რომ ვახეთია ტურისტული ცენტრი და მიღებული ვიზიტორებით ერთ-ერთი მოწიანევე რეგიონი. იგი იყო ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენციის მასპინძელი, რომელიც მსოფლიო ათეულში მოხვდა ყველაზე სანახაობრივ ადგილებს შორის.





გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ოქროცვარიძე, ლ. ოქროცვარიძე, „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“, თბ.2011.
2. შუბლაძე ვ. „საქართველო და ტურიზმი“,
3. ავტორი: ზურა თოფურიძე - 15/07/2016
4. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
5. [www. mmeconomics.com.ge](http://www.mmeconomics.com.ge);
6. საქართველოს პარლამენტი <http://www.parliament.ge/>
7. სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://www.geostats.ge>
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
9. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

Agrotourism Management  
(on the example of "Kakhetian wine" Telavi Agro Industry Industrial Company)

Avtandil Okrotsvaridze  
Asoc. professor of Caucasus International University;  
Lasha Demurashvili  
Magister of Caucasus International University

Based on the nature of the work, we decided to establish and build upon ancient traditions, agro-industrial "Kakhetian Wine", aimed at preserving the culture of unique varieties of vine, wine production and installation as ancient methods, qvevri and modern European rules. Foreign and local tourists will be introduced to the place and will see wine making, tasting, tasting Georgian cuisine.

In the paper the vineyard areas are considered according to the varieties and analyzed the harvest and yields, as a result of which financial analysis and conclusion are given after the full vine cultivation of the firm "Kakhetian wine" will benefit from the grape processing.

Tourism and agriculture have an important place in the economy of Georgia, we have an idea to establish a commercial-oriented enterprise-complex, which will be united as a manufacturing and processing and producing ecologically clean finished products that will provide us with local population as well as calculating the foreign Risks and exports in other countries of the world.

ეკონომიკურად არგუმენტირებული პოლიტიკის შესახებ



რევაზ ლორთქიფანიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო აკადემიების აკადემიკოსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის უმაღლესი შეფასებით კურსში „აშშ მთავრობა“

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შრომაში ხაზგასმით აღინიშნება, რომ სისტემური პოლიტიკური რეფორმის მიუხედავად, ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა, რაც მეტყველებს, რომ მართვის პოლიტიკურ და სამეწარმეო ფრონტებზე პროფესიონალი ეკონომისტების სიმრავლე გვჭირდება. ავტორის აზრით, საკანონმდებლო ორგანოშიც 50-70% ძლიერი (კომპეტენტური და არა ხისტი და უაზროდ ამბიციური) ეკონომისტი უნდა იყოს და არგუმენტირებული და საყოველთაოდ აპრობირებული ეკონომიკური სტრატეგია გვჭირდება და ძალზე ბევრი საჭირო ახალი კანონია მისაღები, ბევრიც - არსებითად შესაცვლელი.

ავტორის მიერ შესრულებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სრულყოფილი კონკურენციის კლასიკური გაგების მთავარი ნიშან-თვისება - „კონკურენტთა რაოდენობის უსასრულოდ მზარდი მნიშვნელობა“ არ შეესაბამება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ვინაიდან, ფიზიკის დენის ძალის კანონის ანალოგიით განსაზღვრული კონკურენციის ძალა ოპტიმალურ მნიშვნელობას, შესაძლოა, სხვადასხვა სიტუაციაში კონკურენტთა სხვადასხვა რაოდენობით აღწევდეს. შესაბამისად, ავტორი ვილაშქრებს ე.წ. „ჭიანჭველების“ ბაზრის წინააღმდეგ და გთავაზობთ სრულყოფილების განსაზღვრას ეფექტიანობის კრიტერიუმის შესაბამისად.

გამომდინარე, კონკურენტული მენეჯმენტის ავტორისეული მოდელი საკუთარი უნარების დამატებით სტიმულირებას გულისხმობს და, ქსელური დელეგირების მექანიზმების გამოყენებით, გადაუდებელი სტრატეგიული საკითხების დღის წესრიგში გთავაზობთ მაღალმთიანი რეგიონების უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემების ოპერატიულ მოგვარებას, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის აქტიური ჩართულობით.

სისტემური პოლიტიკური რეფორმის მიუხედავად, ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა, რაც მეტყველებს, რომ მართვის პოლიტიკურ და სამეწარმეო ფრონტებზე პროფესიონალი ეკონომისტების სიმრავლე გვჭირდება. არაიმიტომ, რომ ეკონომისტები ვართ და იმიტომ ვუსვამთ ხაზს, დრომ მოითხოვა, რომ საკანონმდებლო ორგანოშიც 50-70% ძლიერი (კომპეტენტური და არა ხისტი და უაზროდ ამბიციური) ეკონომისტი უნდა იყოს - არგუმენტირებული და საყოველთაოდ აპრობირებული ეკონომიკური სტრატეგია გვჭირდება და ძალზე ბევრი საჭირო ახალი კანონია მისაღები, ბევრიც - არსებითად შესაცვლელი.

ახლახან გამოქვეყნდა ჩემი მონოგრაფია საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციისა და კონკურენტული მართვის შესახებ, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ეკონომიქსისა და მართვის ზემოხსენებული საკითხებით

დაინტერესებულ მკითხველს. მენეჯერული ხარჯების ოპტიმიზებისათვის, ჩემთვის სამაგალითო კვლევების განზოგადებისა და საკუთარი გამოცდილების შედეგად [1-9], გამოვლინდა, რომ ეფექტიანი მართვის საფუძვლებისათვის აუცილებელი სრულყოფილი კონკურენციის კლასიკური გაგების მთავარი ნიშან-თვისება - „კონკურენტთა რაოდენობის უსასრულოდ მზარდი მნიშვნელობა“ არ შეესაბამება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ვინაიდან, ფიზიკის დენის ძალის კანონის ანალოგიით ჩემს მიერ განსაზღვრული კონკურენციის ძალა ოპტიმალურ მნიშვნელობას, შესაძლოა, სხვადასხვა სიტუაციაში კონკურენტთა სხვადასხვა რაოდენობით აღწევდეს. შესაბამისად, ჩვენ ვილაშქრებთ ე.წ. „ჭიანჭველების“ ბაზრის წინააღმდეგ და გთავაზობთ სრულყოფილების განსაზღვრას ეფექტიანობის კრიტერიუმის შესაბამისად.

გამომდინარე, კონკურენტული მენეჯმენტის ჩვენული მოდელი საკუთარი უნარების დამატებით სტიმულირებას გულისხმობს და, ქსელური დელეგირების მექანიზმების გამოყენებით, გადაუდებელი სტრატეგიული საკითხების დღის წესრიგში გათავაზობთ მაღალმთიანი რეგიონების უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემების ოპერატიულ მოგვარებას, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის აქტიური ჩართულობით.

ვფიქრობთ, აუცილებელია კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფაც და სააგენტოს სამტატო შემადგენლობის ოპერატიული რაციონალური გაფართოება. დაუშვებლად მიმაჩნია, ბაზრის კონცენტრაციის შესახებ იმპერატიული უნიფიცირებული ნორმების არსებობა კანონმდებლობაში - რატომ, მაგალითისათვის 40% და არა 30 ან 50. ასეთი ნორმები, მიზანშეწონილია, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში დიფერენცირებული იყოს დარგობრივ და რეგიონალურ ჭრილებში, ამასთანავე, ყოველწლიური და ყოველკვარტალური შედეგების გათვალისწინებით.

ჩემს მიერ, ფიზიკის ომის კანონის მსგავსად, ეკონომიკური კონკურენციის ძალის განსაზღვრა თუ გვეხმარებოდა, რომ ბაზრის ბირთვში მიმდინარე კონკურენტული მოვლენები შეფასებულიყო, ჩემი ახალი რეკომენდაცია კონკურენციის საშუალოშეწონილი შეფასების შესახებ, საშუალებას მოგვცემს, ბაზარი, კონკურენტულობის თვალსაზრისით, მაქსიმალურად სრულად - მეტად სრულყოფილად (სისტემურად) შევავსოთ. ამ ახალი შეფასების მეთოდის საფუძველზე, სხვადასხვა კონკრეტულის განზოგადების მაგალითზე, გამოვლინდა, რომ ჩინეთის ბაზარზე კონკურენტების მნიშვნელოვანი მეტობის მიუხედავად, აშშ-სა და შვეიცარიაში კონკურენციის დონე დაახლოებით 350-360%-ით მეტია და ინვესტორის ინტერესი ჩინურ ბაზრებზე, გამოწვეულია იაფი რესურსფაქტორების მიზეზებით, რაც საბოლოო ჯამში დაბალანსდება და გრძელვადიან სტრატეგიაში, როგორც ჩვენი გაანგარიშებები ადასტურებს, უპირატესობა მიენიჭება უფრო მაღალტექნოლოგიურ ამერიკულ და ევროპულ ბაზრებს.

ჩემი კვლევის უახლესი შედეგების მიხედვით, კონკურენციის დონე შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

კონკურენციის დონე=ბაზრის ეფექტიანობა/კომპანიების საშუალოშეწონილი ხვედრიწონა.

აუცილებლობად მიმაჩნია, რომ ბაზრის კონკურენტუნარიანობა პირველ რიგში განისაზღვროს ბაზრის ეფექტიანობის მაჩვენებლებით, მათ შორის პროდუქტიულობის (მაგალითად, შრომის მწარმოებლობა, კაპიტალუკუება და სხვადასხვა რესურსის გამოყენების ინტენსივობა) და რენტაბელობის (საკუთარი კაპიტალის, აქტივების და ინვესტირებული კაპიტალის მომგებიანობა და ა.შ.) სახით.

ბაზარზე შეიძლება ძალიან ბევრი კონკურენტი ოპერირებდეს, მაგრამ ბაზარი არაეფექტიანი იყოს. ეს არ ნიშნავს, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლები იგნორირებული უნდა იყოს - ისინი, შესაძლებელია, დამატებით გამოვიყენოთ მეტად კომპლექსური - სრულყოფილი შეფასებისათვის.

ზემოაღნიშნული კომპანიების საშუალოშეწონილი ხვედრიწონა დამოუკიდებლად შეიძლება გამოვიყენოთ ბაზრის კონკურენციის შეფასებისათვის:

კომპანიების საშუალოშეწონილი ხვედრიწონა =  $\sum_{i=1}^n (SiVi)/V,$

სადაც n არის ბაზარზე არსებული კომპანიების რაოდენობა;

- Si - i კომპანიის საბაზრო წონა პროცენტებში;
- Vi - i კომპანიის მოცულობა დოლარებში;
- V - ბაზრის სრული ტევადობა დოლარებში.

მაგალითად, თუ ერთგვაროვანი ბაზრის მოცულობა 200 მილიარდ დოლარს შეადგენს და 3 კომპანია წარმოდგენილია 40; 60 და 100 მილიარდი დოლარით, კომპანიების საშუალოშეწონილი წონა 38% იქნება  $(20\% \times 40 + 30\% \times 60 + 100 \times 50\%) / 200 = 38\%$ ).

ბუნებრივია, სამივე კომპანიის საშუალოარითმეტიკული წონა იქნება  $100/3 = 33.3\%$ , მაგრამ 38%, ვფიქრობ, დამეთანხმებით, უფრო ზუსტად ასახავს რეალურ სიტუაციას.

თუ აღნიშნული 200 მილიარდიანი ბაზარი, წარმოდგენილი იქნება 3 კომპანიით - შესაბამისად, 198; 1 და 1 მილიარდი დოლარით, მათი საშუალოშეწონილი იქნება  $98,015\% (198 \times 99\% + 1 \times 0,5\% + 1 \times 0,5\%)$ , რაც, ვფიქრობ, 33,3%-ზე უკეთ და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსზე უფრო თვალსაჩინოდ ასახავს, რომ ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებულია რეალური საბაზრო ძალის მქონე კომპანიის გარშემო.

წყაროები

1. ასთიანი, როზეტა. სიღარიბის მიზეზები საქართველოში და მისი დაძლევის გზები (პოლიტეკონომიური ასპექტი). - ახალი ეკონომისტი, 2018: 4: 11-23.
2. ქარჩავა, ლოდ. ბიზნესკომუნიკაციების თეორიული საფუძვლები და მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან. - ახალი ეკონომისტი, 2018: 4: 69-71.
3. Lordkipanidze, Revaz. Economy and Policy (Is Economics the Science of N 1?). - Tbilisi, Philanthropic Research Academy named after A. Gunia, As E-Book, 2019: 18.  
[https://www.researchgate.net/publication/331962766\\_Economy\\_and\\_Policy\\_Is\\_Economics\\_the\\_Science\\_of\\_N\\_1\\_-\\_Tbilisi\\_Philanthropic\\_Research\\_Academy\\_named\\_after\\_A\\_Gunia\\_As\\_E-Book\\_2019\\_18](https://www.researchgate.net/publication/331962766_Economy_and_Policy_Is_Economics_the_Science_of_N_1_-_Tbilisi_Philanthropic_Research_Academy_named_after_A_Gunia_As_E-Book_2019_18)
4. Jamieson, Kathleen Hall. Taussig, Doron. 2017–18. Disruption, Demonization, Deliverance, and Norm Destruction: The Rhetorical Signature of Donald J. Trump. PSQ, Volume 132 - Number 4 – Winter: 618-649.
5. Rodric, Dani. 2018. “What Do Trade Agreements Really Do?” Journal of Economic Perspectives 32 (2): 73-90.
6. Shertzer, Allison. 2018. “A Review Essay on Howard Bodenhorn’s The Color Factor: The Economics of African-American Well-Being in the Nineteenth-Century South”. Journal of Economic Literature 56 (1): 206-216.
7. Smith, Adam. 1776. “An inquiry into the nature and causes of the wealth of nations”. Complete, fully searchable text at the Library of Economics and Liberty.  
<http://www.econlib.org/library/Smith/smWN.html>
8. Snower, Dennis J., and Steven J. Bosworth. 2016. “Identity-Driven Cooperation versus Competition.” American Economic Review, 106 (5): 420-24.
9. The US: Department of Justice <http://www.justice.gov/atr/public/guidelines/hhi.html> <https://www.justice.gov/atr/file/761131/download> <https://www.justice.gov/sites/default/files/atr/legacy/2014/04/10/305027.pdf>

About Economically Reasoned Policy

Revaz Lordkipanidze

The paper stresses that, despite the systemic political reform, the economic crisis is significantly prolonged, which indicates that we need a lot of professional economists in managing political and business fronts. According to the author, 50-70% of the legislative body should be strong (competent and not strictly ambitious) economists and we need a reasoned and generally accepted economic strategy and many new laws, many of old laws should be significantly changed.

By the author of the study revealed that the classical notion of perfect competition, the main feature - “infinitely growing number of competitors” do not correspond to the truth, because the force of competition, which is estimated by me with the analogy of physics law about electrical current, possibly, will achieve different optimal values in different situations with competitors various amounts. Accordingly, the author expresses a thought against the “ants” market and offers perfection in accordance with efficiency criteria.

Hence, the author’s model of competitive management implies an additional stimulation of own skills and, by using mechanisms of networking delegation management, on the agenda of urgent strategic issues, offers an operational solution of the demographic problems of the mountainous regions with active participation of the economic policies of the state.



## გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის თავისებურებანი

კობა სოხაძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

*სტატიების ციკლში განხილულია აშშ სახელმწიფოს მიერ საბაზრო ურთიერთობების რეგულირების საკითხები, რომელთა გაცნობა და ანალიზი ხელს შეუწყობს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პროცესების სრულყოფას. სტატიაში გამოყენებულია ქართულ, რუსულ და გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული საინფორმაციო და სტატისტიკური მასალა.*

### გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის თავისებურებანი

გასული საუკუნის ბოლოს ეკონომიკის განვითარების მთავარი ნიშანია ეკონომიკის ტრანსფორმაცია. ინდუსტრიული ტიპი შეიქმნა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისში, ხოლო სამრეწველო გადატრიალების შემდეგ სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ინდუსტრიული ტიპის ქვეყნების ეკონომიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- მრეწველობის როგორც ეკონომიკის ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალის წამყვანი როლი, რამაც მისი ეკონომიკის ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი დაჩქარება გამოიწვია;
- კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების, კერძო-კაპიტალისტური წყობის ბატონობა, ეკონომიკის ყველა დარგებში;
- საბაზრო მექანიზმის გარცელება სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში;
- ციკლური დინამიკისა და პერიოდული ეკონომიკური კრიზისების მექანიზმის ძალაში შესვლა;
- საბაზრო თვითრეგულირების მარტივი და რთული მექანიზმების შემუშავება სახელმწიფოს მინიმალური ჩართულობის პირობებში უშუალოდ კაპიტალისტური კვლავწარმოების პროცესში;
- სხვადასხვა ქვეყნების უთანაბრო ეკონომიკური განვითარების გაძლიერება, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის უთანაბრობის გაძლიერება, განვითარებული სახელმწიფო-

ბის მიერ კოლონიური და ნახევადკოლონიური ქვეყნების ექსპლოატაციის გაძლიერება.

დასავლეთ ევროპის და აშშ ინდუსტრიული ქვეყნების სამრეწველო სიძლიერის ზრდა მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში ძირითადად მიღწეული იქნა მესამე სამყაროს ქვეყნების დაშლით.

პოსტინდუსტრიული ეკონომიკა ფორმირებული იქნა XX საუკუნეში, როდესაც მსოფლიო მასშტაბით გამწვავდა ინდუსტრიული საზოგადოებების წინააღმდეგობები, რაც აისახა ორ მსოფლიო ომში, 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში. გვიანდელი ინდუსტრიული ეკონომიკა ფორმირებული იქნა ორი ვარიანტით: სახელმწიფო-მონოპოლისტური (ლიბერალური ფორმით - აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი; ტოტალურ-მილიტარისტური ფორმაში - ფაშისტური გერმანია, იტალია, მილიტარისტული იაპონია) და სახელმწიფო-სოციალისტურ (საბჭოთა კავშირი და სხვა ქვეყნები, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგინენ. შერეული ვარიანტი შეიმჩნეოდა მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში - ეკონომიკის მრავალფეროვნებისა და სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლის პირობებში.

გვიანდელი პოსტინდუსტრიული ეკონომიკის განმასხვავებელი ნიშნებია:

- წამყვან დარგებში კონცენტრაციის მაღალი დონე, ინდუსტრიული გიგანტების შექმნა (მაგალითად რუსთავის მეტალურგიული კომბინატი) და მსხვილი წარმოებების, (მაგალითად კასპის ცემენტის ქარხანა და რუსთავის აზოტი) რომლებიც ორიენტირებულნი არიან მსოფლიო ბაზარზე;
- საკუთრების მონოპოლიზაციის მაღალი

დონე, ტრანსნაციონალური კომპანიების შემნა, რომლებიც ოპერირებენ გლობალური მასშტაბებით;

• ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს დომინირებული როლი, მონოპოლიის ზედაფენის და ტრანსნაციონალური კორპორაციების სახელმწიფო აპარატთან ურთიერთშერწყმის გზით, სახელმწიფო რეგულირება კეინსის რეცეპტებით ან სოციალური ვარიანტის საყოველთაო სახელმწიფო-გეგმური მეურნეობა;

• დასაქმების უზრუნველყოფის და სოციალური კომპენსაციის მექანიზმების შემუშავება მოსახლეობის უღარიბესი ფენებისათვის, სახელმწიფოს გამოყენებით იმ მიზნით, რომ შემუშავებული იქნას შემოსავლების გადაანაწილება ამ მიზნით;

• ეკონომიკის მილიტარიზაცია და მძლავრი სამხედრო-სამრეწველო სექტორის შექმნა, რომელშიც კონცენტრირებული იქნება სამეცნიერო-ტექნიკური რესურსების უმეტესი ნაწილი, კვალიფიციური შრომისა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. (გამონაკლისი იყო ომის შემდგომი იაპონია);

• შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავება და ფართო ინტეგრაციული დაჯგუფებების შექმნა (ევროკავშირი, ეკონომიკური ურთიერთდახმარების კავშირი).

გვიანინდუსტრიულმა ეკონომიკამ თავისი განვითარების მცირეხიან პიკს მიაღწია გასული საუკუნის 50-იან წლებში და 60-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ 60-იანი წლების ბოლოს სულ უფრო თვალშისაცემი გახდა მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების გამწვავება, რომელიც გამოვლინდა გლობალურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და ეკოლოგიურ კრიზისებში, ხოლო შემდეგ შედარებით შესუსტებული ფორმით გამოვლინდა გასული საუკუნის ბოლო პერიოდის კრიზისებში. აღნიშნულმა გზა გაუხსნა პოსტინდუსტრიული ტიპის ეკონომიკის ფორმირებას, რომლისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც დღესაც ვლინდება ზიგიერთი განვითარებული ქვეყნების განვითარების დინამიკაში. თუმცა ამ ეკონომიკის გამოვლენა ხდება მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისიდან, რომელიც უახოეს ათწლეულში სულ უფრო მზარდ ხასიათს მიიღებს. რით არის განპირობებული ეს პროცესები?

უპირველესად, ეკონომიკის ჰუმანიზაციით, რაც ნაწილობრივ შესაძლებელს ხდის არა მარტო მის დემილიტარიზაციას არამედ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ნაწილობრივ დაკონსერვებას, სამომხმარებლო სექტორის წილის ზრდას, რომელიც ამზადებს საქონელს და მომსახურებას მოსახლეობისათვის ანუ იზრდება მოსახლეობის როლი წარმოებაში: ის

ალარ არის ინდუსტრიული მანქანის ჭინჭიკი, არამედ ხდება მისი შემოქმედი, იზრდება მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები, კვალიფიკაცია, ფხიანობა (სიყოჩაღე). ამასთან თვითონ წარმოება ხდება უფრო მოქნილი, დივრსიფიცირებული, მომხმარებელთა მოთხოვნილების და მოთხოვნის შესაბამისად ზუსტად რეგლამენტირებული. ამასთან ერთად ის ხდება უფრო მეცნიერებატევადი, რთული, დაფუძნებული ინტელექტუალური სექტორის მიღწევების გამოყენებაზე (მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება).

მეორე, წარმოების დეკონცენტრაცია, სამრეწველო გიგანტების წილის და როლის შემცირება, მცირე და საშუალო საწარმოების მზარდი მნიშვნელობა, რომლებიც მოქნილად რეაგირებენ მოთხოვნასა და ინოვაციებზე, უზრუნველყოფენ მსხვილი საწარმოებიდან და სამხერო წარმოებიდან გამონთავისუფლებული ადამიანების დასაქმებას, ქმნიან სივრცეს პირადი ინიციატივისა და ოხერხეულობისათვის (თუმცა მთავარი, განმსაზღვრელი პოზიციები რჩება მონოპოლიებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს).

მესამე, საკუთრების ფორმების შეცვლა, სახელმწიფო სექტორის ბევრი საწარმოს პრივატიზაცია და მისი წილის მნიშვნელოვნად შემცირება ზოგიერთ სტრატეგიულ და სოციალურ და კულტურულ დარგებში). ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო საერთოდ მიდის ეკონომიკიდან - მსოფლიო ბანკის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში, სახელმწიფოს ერთობლივი ხარჯები შეადგენენ ერთობლივი შიდა პროდუქტის დაახლოებით ნახევარს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალური მთავრობის ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით მეოთხედს. ამასთან იცვლება სახელმწიფოს ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების ფორმები და მეთოდები. მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო საკუთრების წილი პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში. აღნიშნული შესაბამისად აისახება სტატისტიკურ მონაცემებში, რომლის მიხედვითაც გასული საუკუნის ბოლოს და მიმდინარე საუკუნეში მნიშვნელოვნად მცირდება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი. როგორც ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს პოსტინდუსტრიული ეკონომიკა ატარებს მრავალწყობიან ხასიათს და მასში გაერთიანებულია სახელმწიფო, კერძოკაპიტალისტური და წვრილსაქონლო წყობები. მას ვერ მივაკუთვნებთ ვერც სოციალისტურ და ვერც კაპიტალისტურ კონომიკას.

მეოთხე, პოსტინდუსტრიული ეკონომიკა

ატარებს სოციალურ-საბაზრო ხასიათს. ერთის მხრივ აქ შენარჩუნებულია სივრცე საბაზრო მექანიზმების მოქმედებისათვის: კონკურენცია, მოგებისაკენ სწრაფვა, მეწარმის ალღო, რაც მრავალრიცხოვანპოტენციურმეწარმეებსსურვილს აღუძრავს დასაქმდნენ ეკონომიკურ სექტორში და გააუჯობესონ წარმოებული საქონლის ხარისხი და ასორტიმენტი, შეამცირონ წარმოების დანახარჯები, აითვისონ ინოვაციები. მეორეს მხრივ არსებობს არსაბაზრო მომსახურების მნიშვნელოვანი სექტორი, სადაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ზრუნვას ფუნდამენტალური მეცნიერებების განვითარებისათვის, გარემოს დაცვისათვის, ბავშვების, ავადმყოფების, ინვალიდების, პენსიონერების, ყველასათვის ხელმისაწვდომი საერთო განათლებისათვის, ჯანდაცვისა და კულტურისათვის. სახელმწიფო ახორციელებს ანტიმონოპოლიურ და სავალუტო-ფინანსურ რეგულირებას, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის პროგრესული საგადასახადო შკალის დახმარებით.

მეხუთე, ეკონომიკის ეკოლოგიზაციის განვითარებადი პროცესი, რომელიც თავისთავში მოიცავს იმ ბუნებრივი რესურსების მოცულობის შეფარდებით (ხოლო შემდგომში აბსოლუტურ) შემცირებას, რომლებიც წარმოების პროცესშია ჩართული, ბუნებაში და ადამიანების გარემოცვაში მავნე გამონაბოლქვების შემცირება, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება. ხორციელდება ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებები პლანეტის თბური დაბინძურების შემცირების მიზნით, ოკიანეების დაბინძურების შემცირება, ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილება და მისი შედეგების დაძლევა.

მექექსე, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანია მისი გლობალიზაცია - ინტეგრაციული პროცესების განვითარების დაჩქარება, ქვეყნებისა და ლოკალური ცივილიზაციების პარტნიორობაზე გადასვლა საერთო ამოცანების გადაწყვეტის პროცესში, დიდი განსხვავების თანდათანობითი შემცირება ძალზე მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. მსოფლიო ბაზარი სულ უფრო მეტად რეგულირდება ზენაციონალური ნორმებით, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს კომპურენციასა და ინტელექტუალურისაკუთრების დაცვის მიზნით. ხდება ტრანსნაციონალური კორპორაციების ყოვლისშემძლეობის ერთობლივი შეზღუდვა და მომხმარებელი უფლებების დაცვა.

მოყალიბების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც სულ უფრო აშკარად გამოჩნდება თავდაპირველად განვითარებულ ხოლო შემდეგ იმ ქვეყნებში, რომლებიც

დაადგენენ პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების გზას.

გარდამავალი ეკონომიკა. პოსტინდუსტრიული პერიოდის ეკონომიკის ფორმირება არ ხდება ერთბაშად დასრულებული სახით. ახალი მსოფლიო ცივილიზაციის დადგომის პროცესი მის ეპიცენტრში რამდენიმე ათწლეულების განმავლობაში ხდება, ხოლო პერიფერიებში ეს პროცესი კიდევ უფრო ხანგრძლივია. ამიტომაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება ვილაპარაკოთ გარდამავალი ტიპის ეკონომიკის შესახებ, რომელშიც შერწყმულია, ურთიერთგადახლართულია, ურთიერ-ბრძოლაშია ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ელემენტები, რომელშიც სულ უფრო იზრდება ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი. გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

1. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა, წარმოების ზრდის ტემპების შემცირება ან ეკონომიკის ვარდნა, დაცემა. უმუშევრობისა და ფასების ზრდა, რყევები, საფინანსო-საკრედიტო სფეროს არამდგრადობა, კვლავწარმოების ეფექტურობის შემცირება და მოახლეობის მნიშვნელოვანი ფენის ცხოვრების დონის დაცემა. აღნიშნული განპირობებულია წარმოების ტექნოლოგიური და ტექნოლოგიური წესის მტკიცეულად შეცვლით, სოციალურ-პოლიტიკური რიევებით, ეკონომიკური წყობების წინაღმდეგობებით, მუშაკების პროფესიული არაკომპეტეტურობის ზრდით, რომელთა ცოდნა და გამოცდილება უვარგისი აღმოჩნდა პრინციპულად ახალ პირობებში ეფექტურად მუშაობისათვის;

2) ეკონომიკის არამდგრადობის და ცვლილებების ტემპების გაძლიერება. ხდება ერთი წონასწორობის მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა - ხაოსური ცვლილებების პერიოდის გავლით, რომელსაც ხშირად ვერ ეგუებიან სახელმწიფო მოხელეები, საქმიანი ადამიანები, წარმოების და მომსახურების სფეროს მუშაკები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდება სისტემის დეზორგანიზება. ეკონომიკის სტრუქტურაში არსებითი ძვრები, რომელსაც ადრე ათეული წლები სჭირდებოდა, ახლა რამდენიმე წლის პერიოდში ხორციელდება, ეკონომიკური დინამიკის რყევის ამპლიტუდა (ამპლიტუდა-სხეულის გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან) ხშირდება და იზრდება. მნიშვნელოვნად იზრდება მოსახლეობის წილი, რომლებიც ზარალდებიან ეკონომიკის ღრმა ტრანსფორმაციით, მცირდება რეალური შემოსავლები, ხოლო ხშირად საერთოდ უმუშევრად

რჩებიან. იზრდება სოციალური დისკომფორტი, დაძაბულობა, რასაც ხანდახან კონფლიქტამდეც მიყვავართ. მხოლოდ გარდამავალ პერიოდის ბოლოს ეს პროცესები რბილდება, ფორმირდება ახალი სიმყარე;

3) მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნების მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება, მათი წილის შეცვლა მსოფლიო ბაზარზე, მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში. ჩქარდება კაპიტალისა და შრომის საერთაშორისო მიგრაციის ტემპები. იშლება ერთი ინტეგრაციული დაჯგუფებები, აღმოცენდება ახლები, იცვლებიან ეკონომიკური პროგრესის ლიდერები, კაპიტალის მიზუდილობის ცენტრები. თუმცა აქაც შეიმჩნევა არამდგრადობა, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მწვავე ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც მანამდე ითვლებოდა ეკონომიკური ზრდისა და აყვავების ეტალონად.

გარდამავალი ეკონომის არამყარობის ეს ნიშნები სხვადასხვაგვარია ეკონომიკური ჯგუფების მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის ტრანსფორმაცია ხდება შედარებით მშვიდად, ნაკლებად მტკივნეულად, თუმცა პერიოდულად აქაც იგრძნობა ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, ადრიდენლთან შედარებით უმუშევრობის არნახული ზრდა. განვითარებადი ქვეყნების უნეტესობაში გარდამავალი პერიოდის რყევები უმეტესად იგრძნობოდა ჩამორჩენილ, ცალმხრივად განვითარებულ ეკონომიკაში, რაც იწვევდა მოსახლეობის უმეტესობაში სიღატაკეს და უკმაყოფილებას. ამის პარალელურად ჩნდებოდა განვითარებადი ქვეყნების ჯგუფები სადაც იგრძნობოდა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებული განვითარება.

საქართველოსა და დამოუკიდებელი თანამეგობრობის (CHT) სხვა ქვეყნებში ეკონომიკის ტრანსფორმაციის ზოგადი სიმნელები ღრმავდება შემდეგი დამატებითი ფეტორების ზეგავლენით:

- ეკონომიკის მოდელის ცვლილებით, სოციალისტურ გეგმიურ მეურნეობაზე უარის თქმით და სტიქიური საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების მაღალი ტემპებით და მისი ჩრდილოვანი ეკონომიკიდან გამოსვლით, კაპიტალის უცხოეთში სტიქიური გადინებით;
- საბჭოთა კავშირის და ეკონომიკური თანამეგობრობის კავშირის (C9B) დაშლით, ათეული წლების გამწვანებაში ჩამოყალიბებული ინტეგრაციული კავშირების დაშლით, უკვე ათვისებული ბაზრების მიტოვებით და მათი მასშტაბების შემცირებით, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირებით;
- ეკონომიკის დემილიტარიზაციის

მასშტაბების ზრდით, სამხედრო შეკვეთების რამდენიმე ათეულით შემცირებით, მაღალტექნოლოგიური სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სექტორის დაშლით, ეკონომიკის ტექნოლოგიური დეგრადაციით:

- დასავლეთის მონოპოლიებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის ეკონომიკის ზედმატად გახსნით, საქართველოსათვის შიდა ბაზრის და მსოფლიო ბაზარზე გასვლის შანსის მნიშვნელოვნად დაკარგვით;
- ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში და სამამულო საქონელმწარმოებლების დაცვაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შემცირება, სახელმწიფო მოხელეების კორუფციის მაღალი დონე, ახალი პოლიტიკური ელიტის ეროვნული მეურნეობის გაძლიერების საკითხების ცოდნის დაბალი დონე.

სახელმწიფოს სოციალური, სტრატეგიული და დაცვითი ფუნქციები

სახელმძღვანელოები უმეტესობაში მოცემული კლასიკური განმარტების თანახმად სახელმწიფო არის მანქანა, რომლითაც გაბატონებული კლასი იცავს საკუთარ ინტერესებს, ერთმანეთთა დაპირისპირებული კლასებისა და ფენების არსებობის შემთხვევაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ასრულებს ეკონომიკის რეგულირების ფუნქციას, თუმცა ის მხოლოდ ამ ფუნქციის შესრულებით არ შემოიფარგლება, მან უნდა შექმნას პირობები სოციალური პარტნიორობისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების წევრების სოციალური პარტნიორობის განმტკიცებას. აქ პირველ რიგში საუბარია - მეცნიერების, კულტურის, განათლების, დემოგრაფიული პროცესების, ეფექტური დასაქმების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის, ეფექტური დასაქმების, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის, დედობის და ბავშვობის, მოხუცების დაცვა. აუცილებელია განხორციელდეს ეკონომიკური სტრატეგიკაციის (სტრატეგიკაცია-საზოგადოების დაყოფა იერარქიულ ფენებად) და სოციალური მობილობის რეგულირება, არ უნდა იქნას დაშვებული მდიდრებსა და ღარიბებს შორის დიდი, საგანგაშო განსხვავება.

სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია საკმაოდ კარგად იყო განვითარებული საბჭოთა კავშირში სოციალიზმის არსებობის დროს და მისი ეს გამიცდილება გადარებული იქნა მრავალი საზღვარგარეთის სახელმწიფოს პირველ რიგში კი სოციალისტური პრიენტაციის სახელმწიფოების მიერ და აისახებოდა „საყოველთაო კეთილდღეობის





სახელმწიფოს „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ კონვეფციებში. თუმცა სოციალიზმის პირობებში ეს ფუნქციები მნიშვნელოვან წილად დამახინჯდა: მნიშვნელოვნად შემცირდა ასიგნებანი სოციალურ და კულტურულ სფეროებზე, შემცირდა პენსიების რეალური მოცულობა, გაუფასურდა და გაუქმდა მოსახლეობის დანაზოგები, შემცირდა პირადი მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები, მოსახლეობის ღარიბ და მდიდარ ფენებს შორის შემოსავლების დიფერენციაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, ღარიბების ნაწილის ცხოვრების დონე უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე დავიდა. თუმცა რეფორმების ახალი ტალღა ზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, ხდება საშინაო და საგარეო ვალის დაფარვა.

სოციალური ორიენტაცია უნდა გახდეს სახელმწიფოს უპირველესი პრიორიტეტი, რადგან ის საზოგადოების მიერ არის შექმნილი და უპირველეს ყოლისა საზოგადოების ინტერესებს უნდა იცავდეს.

სახელმწიფოს სტრატეგიული ეკონომიკური ფუნქცია.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა-სტრატეგიული ფუნქცია, რომლის არსი მდგომარეობს ეკონომიკის დროულ და ეფექტურ ტრანსფორმაციას სწრაფად ცვალებად სამყაროში. ეს ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარდამავალ ეპოქებში, კრიზისების პირობებში, როცა ძლიერდება ქაოსური მოძრაობა და სოციალური და ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირება, სწრაფად იცვლება გეოეკონომიკური სიტუაცია. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფომ მობილიზება უნდა გაუკეთოს ინტელექტუალურ ძალებს, განავითაროს პროგნოზირება, შეიმუშავოს და შეასრულოს ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური პროგრამები, სტრატეგიული მიზნების შესასრულებლად გამოყოს მსხვილი რესურსები, რომელიც უნდა გამოათავისუფლოს მიმდინარე ხარჯებიდან, განახორციელოს სტრატეგიულად მოაზროვნე მენეჯერების და სახელმწიფო მოხელეების მომზადება და მხარი დაუჭიროს მათ.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო იყო საკმაოდ ძლიერი სტრატეგიული მიმართულების მქონე სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდა უნარი და შესაძლებლობა მოეხდინა რესურსების კონცენტრირება, მის მიერ შერჩეული სტატეგიული მიმართულებების შესაბამისად. ყველაფერმა ამან შესაძლებელი გახადა ისტორიულად შესაძლო მოკლევადებში მოეხდინა დანგრეული მეურნეობის

აღდგენა და ინდუსტიალიზაცია, გაეძლია და ღირსეულად დაპირისპირებოდა თითქმის მთელი ევროპის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, მიეღწია გამარჯვებას მეორე მსოფლიო ომში, წინ გასულიყო ზოგიერთ სამეცნიერო-ტექნიკურ და სამხედრო-ტექნიკურ დარგებში. ოერსპექტიური დაგეგმვისა და მიზნობრივი პროგრამირების საბჭოთა კავშირის გამოცდილება სანიმუშოდ აიღეს მთელმა რიგმა უცხოეთის ქვეყნებმა- როგორც განვითარებულმა (მაგალითად საფრანგეთმა), საევე განვითარებადმა ქვეყნებმა (მაგალითად, ინდოეთმა, კორეის რესპუბლიკამ). მეორე საკითხია, რომ საპროგრამო მიზნები ყოველთვის როდი განისაზღვრებოდა დასაბუთებულად და ბევრი პროგრამები ვერ სრულდებოდა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის და მძიმე მრეწველობის განვითარება სორციელდებოდა სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის დაბალი ცხოვრების დონის შენარჩუნების პირობებში. გასული საუკუნის ბოლოს სახელმწიფოს სტრატეგიული ფუნქცია მნიშვნელოვნად შესუსტდა. (მიუხედავად ერთმანეთთან დაუკავშირებელი და რესურსებით უზრუნველყოფის გარეშე მიღებული პროგრამებისა.) სახელმწიფოს სტრატეგიული ფუნქციის აღდგენის, პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის რეაბილიტაციის, სტრატეგიული მართვის, სტრატეგიულად მოაზროვნე მენეჯერების და სახელმწიფო მოხელეების გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს ეკონომიკის რეფორმირების ძირეული ამოცანები, კრიზისიდან განოცოცხლებაზე გადასვლა.

სახელმწიფოს სტრატეგიული ფუნქცია მნიშვნელობა განსაკუთრებით ძლიერდება ეკონომიკური კრიზისის პირობებში-როგორც საშუალო ვადიანი, ისე გრძელვადიანის. სახელმწიფოს ამოცანაა - ინტელექტუალურ ძალებზე, მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით, წინასწარ განჭვრიტონ კრიზისის დადგომა, დასვან მისი სწორი დიაგნოზი, შეიმუშაოს და განახორციელოს ანტიკრიზისული პროგრამა, რაც უზრუნველყოფს კრიზისის ფაზა დაძლიოს შედარებით მცირე დანაკარგებით და მოკლე ვადებში, მხარი დაუჭიროს საბაზისო ინოვაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას და მოთხოვნის გაძლიერება, როგორც შიდა ისე საგარეო ბაზრებზე, უზრუნველყონ მოსახლეობის დასაქმება და მსყიდველობითი უნარიანობის ზრდა. სამაგალითოდ გამოდგება, აშშ ანტიკრიზისული რეგულირება, სადაც 1946 წელს მირებული იქნა დასაქმების შესახებ კანონი, რომელიც პრეზიდენტს ავალდებდა აშშ პრეზიდენტს, ყოველწლიურად კონგრესისათვის

მოემზადებინა ეკონომიკური მოხსენება, დასაქმების უზრუნველყოფის და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მხარდაჭერის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მოხსენების მოსამზადებლად და განსახილველად პრეზიდენტის აპარატთან შეიქმნა ეკონომიკური კონსულტაციების საბჭო და კონგრესის გაერთიანებული კომისია.

ციკლებისა და კრიზისის თეორიასა და ანტიკრიზისული რეგულირების მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს და მწყობრად გატარდეს ანტიკრიზისული სტრატეგია. მაგალითად, აშშ 1929-1933 წლების ქვეყნის ისტორიაში ყველაზე უფრო დამანგრეველი კრიზისიდა გამოსვლა შესაძლებელი გახდა ახალი სტრატეგიის შემუშავებით, რომლის მთავარი ღერძი იყო სამოქალაქო სამუშაოების განხორციელება, რომელზეც დაიხარჯა 20 მლრდ დოლარი. შემუშავებული იქნა 35 ათასი პროექტი სკოლების, საავადმყოფოების, გზების, ხიდების, აეროდრომების მშენებლობისათვის; მშენებლობებზე დასაქმებული იქნა მილიონობით უმუშევარი, რამაც გაზარდა დასაქმების დონე, დაიზარდა მოთხოვნები შიდა ბაზარზე, რამაც მძლავრი იმპულსი მისცა ეკონომიკის გამოცოცხლებას.

კეინსის პროგრამამ შეარბილა კრიზისები და უმუშევრობა, რაც შესაძლებელი გახდა ეკონომიკის კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შედეგად. თუმცა ეს ჩარევა, როგორც წესი ხორციელდებოდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებიდან გამომდინარე. სახელმწიფომ აქტიურად უნდა გაუკეთოს რეალიზება თავის სტრატეგიულ ფუნქციას, მოსახლეობის დასაქმებისა და მსყიდველობითი უნარის ზრდის მიზნით, განახორციელოს პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები, საბაზისო ინოვაციების მსხვილმასშტაბიანი ათვისება, მსოფლიო მეურნეობაში საკუთარი პოზიციების განმტკიცება. აუცილებელია შემუშავებული იქნას ანტიკრიზისული რეგულირების, კრიზისების პროგნოზირების და მათი დიაგნოსტიკის დასაბუთებული და საიმედო მეთოდები და მექანიზმები, რომლის გარეშე შეუძლებელია კრიზისების რეგულირება. აღნიშნული ღონისძიებების გატარება შეუძლებელია უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეების არსებობის გარეშე (რომლებსაც შეიძლება სახელმწიფოს მართვის თეორია და ანტიკრიზისული რეგულირების პრაქტიკა) და გააჩნიათ ეკონომიკური მეცნიერებების კარგი ცოდნა. ეკონომიკური კრიზისი მოიცავს საზოგადოების ყველა სფეროს და მისი

დამღევა შეუძლებელია მისი რადიკალური ტრანსფორმაციის, მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი კვალიფიციური ნაწილის მიზანმიმართული გამოყენების გარეშე.

სახელმწიფოს დაცვითი ფუნქცია

საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს დაცვითი ფუნქცია ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებებით:

პირველი, საკუთრების დაცვა - სახელმწიფო, კერძო, პირადი - ქურდების, თაღლითების, სპეკულიაციური ფინანსური პირამიდის აშენების ხელყოფისაგან და ა.შ. სამართლებრივი გარანტიების გარეშე შეუძლებელია საკუთრების ნებისმიერი ფორმის ეფექტური ექსპლოატაცია, რომელსაც შეეძლება საკუთრების მოტანა საზოგადოების სხვა წევრების ინტერესების შელახვის გარეშე. აღნიშნული გულისხმობს კეთილსასურველი კლიმატის შექმნას, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელების და ინვესტორების რეალური ინტერესების დაცვას, რომლებიც ძირითად კაპიტალში გრძელვადიანი ინვესტიციების ჩადებით გარკვეულ რისკს ეწევიან.

მეორე, ეკონომიკური საქმიანობის გამწევი პირების, პირველ რიგში მომხმარებლების ინტერესების დაცვა, კონკურენციისათვის თანაბარი პირობების შექმნა, ანტიმონოპოლიური რეგულირება, რეკეტისაგან, კორუფციისაგან და თავისუფალ ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ხელის შეშლისაგან დაცვა.

მესამე, სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს შრომითი საქმიანობის რეგულირების პროცესში, დაქირავებული მუშაკების ინტერესების დაცვა, შრომითი კომფლიქტების მოწესრიგება, რომ მან ნაკლები ზიანი მიაყენოს ეკონომიკურ განვითარებას, სოციალური პარტნიორობის განვითარებას.

მეოთხე, სამამულო მწარმოებლების და მომხმარებლების აქტიური მხარდაჭერა, უცხოური კაპიტალის ექსპანსიის შემთხვევაში, გარკვეულ ფარგლებში პროტექციონური ღონისძიებების გატარება ექსპორტის მხარდასაჭერად და ტრანსნაციონალური კორპორაციების მცდელობების შესაჩერებლად საკუთარ ინტერესებს დაუქვემდებარონ ეკონომიკის გარკვეული სექტორები ან შიგა ბაზარის სეგმენტები.

მეხუთე, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური უსაფრთხოების მწყობრი დოქტრინა და ის ცხოვრებაში ტანმიმდევრულად გაატაროს, არ დაუშვას საგარეო ვალის ზედმეტად ზრდა და დამოკიდებულება უცხოეთის სახელმწიფოებზე



და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებზე დამოკიდებულება, რითაც საკუთარ ეკონომიკას დაიცავს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ზეგავლენისაგან. არ დაუშვებს საკუთარი ქვეყნის იაფ სანედლეულო ბაზად გადაქცევას და უცხოური მზა პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაქცევას.

როგორც წესი სახელმწიფოს დაცვითი ფუნქცია დაფიქსირებულია ქვეყნის კონსტიტუციაში და მთელ რიგ კანონებში, მაგრამ როგორც წესი ისინი ყოველთვის როდი სრულდება, რაც ხელს უშლის ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლას და რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის უპირატესობების გამოყენებას. ხშირად სახელმწიფოს მხრიდან არ არის საკუთრების, მომხმარებლების და დაქირავებული მუშაკების ინტერესების რეალურად დაცვა, შესამჩნევია ეკონომიკური დანაშაულებების ზრდა, ქრთამის აღება, რეკეტი. როგორც წესი არ არის დაცული დაქირავებული მუშაკების უფლებები, რომლებიც განიცდიან აშკარა ექსპლოატაციას. ზოგჯერ თვეობით ხდება ხელფასის დაგვიანება, რაც ადამიანის უფლების მნიშვნელოვანი დარღვევაა. უცხოური მონოპოლიები და ტრანსნაციონალური კომპანიები ადგილობრივი კომპრადორული (ადგილობრივი მეწარმე, რომელიც შუამავლობს უცხოურ კაპიტალსა ეროვნულ ბაზარს შორის) კაპიტალის მხარდაჭერით ფაქტიურად ყოველგვარი კონტროლის გარეშე საქმიანობენ ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში, ხშირად საკუთარი შემოსავლები გადააქვთ უცხოეთში, რომლებიც თავისი მოცულობით რამდენჯერმე აჭარბებენ უცხოეთიდან შემოსულ თანხებს. ქვეყანა სულ უფრო ემსგავსება ეკონომიკურად დამოკიდებულ, ნახევრადკოლონიურ ქვეყანას.

ახალი თაობის სახელმწიფო მოხელეების ამოცანაა, რომ უზრუნველყონ სახელმწიფოს დაცვითი ფუნქციის შექმნა, მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი როლი საგარეო და საშინაო ეკონომიკური ოპერაციების სრულფასოვნად შესრულებისათვის.

ამასთან, აუცილებელია ქვეყნის განვითარების მწყობრივი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება და მისი რეალიზაცია. ნებისმიერი ქვეყანა ეკონომიკურ სტრატეგიაში მოიაზრებს ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის ანალიზის შედეგად სტრატეგიული მიზნების და მისი მიღწევის საშუალებების დასახვას, მისი რეალიზაციის დროის განსაზღვრა.

ეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრისათვის არსებითია მისი მიზნების რეალურობა. ეს მიზნები არ შეიძლება თვითნებური, ის უნდა პასუხობდეს საზოგადოების მოთხოვნებს მისი განვითარების კონკრეტულ ეტაპზე.

ქვეყნების განვითარების გამოცდილება მოწმობს, ეკონომიკურ მიზნებად მთავრობამ შეიძლება განსაზღვროს მრავალმხრივი ამოცანები და მაჩვენებლები, რომელთა შორის აუცილებელია შემდეგი ამოცანების დასახვა:

**ეკონომიკური ზრდა.** წარმოებამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისათვის საკმარისი ხარისხისა და რაოდენობის საქონელი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა ცხოვრების მაღალი დონე.

**სრული დასაქმება.** სასურველი შრომითი საქმიანობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა ვისაც ამის სურვილი და კვალიფიკაცია გააჩნია.

**ეკონომიკური ეფექტიანობა.** საზოგადოებამ უნდა შეძლოს მაქსიმალური შედეგის მიღება მინიმალური დანახარჯებით საშუალებით, საწარმოო რესურსების შეზღუდულობის პირობებში.

**ფასების სტაბილური დონე.** თავიდან უნდა იქნას აცილებული ფასების საერთო დონის ზრდა ანუ ინფლიაცია ან დეფლიაცია.

**ეკონომიკური თავისუფლება.** სააწარმოების ხელმძღვანელებს, მუშებსა და მომხმარებლებს თავიანთი ეკონომიკური არჩევანისა და საქმიანობის დროს უნდა გააჩნდეთ თავისუფლების მაღალი დონე.

**შემოსავლების თავისუფალი განაწილება.** მოქალაქეების არც ერთი ჯგუფი არ უნდა იყოს დატაკ მდგომარეობაში, მოსახლეობის მეორე ნაწილი კი ფუფუნებაში ცხოვრობდეს.

**დატაკთა ეკონომიკური უზრუნველყოფა.** უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქრონიკული ავადმყოფები, შეომისუუნაროები, ღრმა მოხუცები და სხვა უნარმოკლებული ადამიანები.

**სავაჭრო ბალანსი.** საზოგადოება ცდილობს ნორმალური საზოგადოებისათვის მისაღები ბალანსის შენარჩუნება საერთაშორისო ვაჭრობაში და საერთაშორის ფინანსურ ოპერაციებში.

**ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების დროს ძირითადი პრობლემა მდგომარეობს შერჩეული ამოცანების კონკრეტიზაცია და შეზღუდულობაში. ამასთან მიზნები ყოველთვის თანაფარდობაში უნდა იყოს მისი მიღწევის საშუალებებთან. რეალობაში. რეალობაში მიზნები და მისი მიღწევის საშუალებები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და შეიძლება ადგილებიც შეიცვალოს. ასე მაგალითად ბაზრის ფორმირების ამოცანები, ჩვენი მსჯელობის შესაბამისად, არის უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაცია, ვიდრე მისი მიზანი. თუმცა ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც მიზნის შემადგენელი კომპონენტი, თუ**

კი მას დავაკონკრეტებთ, როგორც ბაზარს და განვსაზღვრავთ მისი შესრულების ვადას.

ყველა შემთხვევაში ცნება „ბაზარი“ გამოხატავს ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესში, რომელიც ფორმირდება საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების პროცესში. მაგალითად ცნობილი მეცნიერები კ. მაკკონელი და ს.ბრიუსი წიგნში „ეკონომიკს“ წერენ „ ბაზარი ეს უბრალოდ მექანიზმი ან საშუალებაა, რომელიც ახორციელებს კონტაქტს მყიდველებს ან საქონელზე მოთხოვნის მსურველებზე“ (მაკკონელი კ. ბრიუსი ე. ეკონომიკის: პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა. (რუსულ ენაზე) მ. გვ. 23-24.) დაახლოებით ასეთივე დახასიათებაა მოცემული მეორე არანაკლებ ცნობილ სახელმძღვანელოში “ბაზარი - ესაა პირობების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც საქონლის (მომსახურების) მყიდველები და გამყიდველები, შედიან კონტაქტში ერთმანეთთან ამ საქონლის ყიდვის ან გაყიდვისათვის.“ (მითითებული ნაშრომი გვ.53.)

უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია არა ყველა ეკონომიკურ ურთიერთობებზე, არამედ საქონლის ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობებზე. ბაზრის განსაზღვრის დროს განსაკუთრებით გამოიყოფა სამი კატეგორია - მოთხოვნა, მიწოდება, ფასები. გამოიყოფა ასევე საბაზრო ურთიერთობების სამი ძირითადი სუბიექტი - მყიდველები, გამყიდველები და საქონლის (მომსახურების) მწარმოებლები. გასაგებია, რომ ასეთი განმარტებით საქონელი გამოდის როგორც უნივერსალური მოვლენა, რომელიც ამა თუ იმ ზომით არსებობს ყველა ეკონომიკურ სისტემაში.

„ბაზარი“ როგორც მოვლენის სივრცობრივი ან სხვა კონკრეტიზა-ციის შესაძლო ინსტრუმენტია „საბაზრო მეურნეობის“ ცნება, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ეკონომიკური გარემოსადმი შეგუება ტერიტორიული, ისტორიული და დროითი

პარამეტრებით. აღნიშნული იძლევა ანალიზისა და პოლიტიკის შემუშავებისათვის კონკრეტულ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ სისტემას, რომელშიც საქონლისა და მომსახურების მოძრაობა და რეალიზაცია მნიშვნელოვან წილად ეფუძნება საბაზრო ტიპს.

საბაზრო ეკონომიკის ხარისხი მისი განვითარების პერიოდსა და ევოლუციაზე დამოკიდებული. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას, როგორც ქვეყნის საშინაო, ისე ქვეყნის გარეთ არსებული სიტუაცია ანუ საგარეო ფაქტორები.

სწორედ მათი გავლენის გათვალისწინებითაა შესაძლებელი განსაზღვრული იქნას

კონკრეტული საბაზრო ეკონომიკის ცვლილების კანონზომიერებები.

აუცილებელია განსაზღვრული იქნას მსოფლიო მასშტაბით საბაზრო ეკონომიკის განვითარების ეტაპები. უნდა გავიხსენოთ, რომ კაპიტალიზმის აღმოცენება და ჩამოყალიბება, რომელიც თავისუფალ კონკურენციაზე იყო დაფუძნებული ისტორიულად საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა. თუმცა კაპიტალიზმის ჩამოყალიბება ყოველთვის გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდებოდა, მას ან ფეოდალიზმის გადმონაშთები აფერხებდა ან სხვადასხვა ტიპის დიქტატურები ან ომები და სოციალური ზეწოლები.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას ბიძგი მისცა საქონლის მასობრივმა წარმოებამ. ეს იყო პერიოდი, როცა ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ფორმა, საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესმა დაიმორჩილა და დაიქვემდებარა.

ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია ის, რომ კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვების საფუძველია ისეთი საქონლის წარმოება, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები სრულად პასუხობდა სულ უფრო მეტი რაოდენობის მომხმარებელთა მოთხოვნებს. ამასთან კონკურენტის დამარცხება შესაძლებელი იყო საქონლის წარმოების ხარჯების სისტემატური შემცირებით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვას. მაგალითად არხების და რკინიგზების მშენებლობა. ეს არის შეიძლება ითქვას მასობრივი წარმოებისათვის საფუძვლების შექმნა. სწორედ ამ პერიოდში აღმოცენდა ფირმა (კორპორაცია) როგორც წარმოების ორგანიზაციის ტიპური ფორმა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში მასობრივი წარმოების პერიოდი შეცვალა საქონლის გასაღების ეპოქამ, რომლისთვისაც დამახასიათებელი პროდუქციის დიფერენციაცია, მომხმარებლისათვის ბრძოლის აქტივიზაცია. ეს პერიოდი ყველაზე უფრო მომგებიანი იყო მოხმარების საქონლის რეალიზაციის ბაზარზე დასაქმებული და მასთან დაკავშირებული ადამიანებისათვის.

ითვლება, რომ აშშ კორპორაცია „ჯენერალ მოტორსი“ იყო პირველი რომელმაც ყურადღება წარმოების ფაზიდან გასაღების ფაზაზე ანუ ბაზრის შესწავლაზე გადაიტანა. აუცილებელი გახდა მომხმარებლების მოძიების ახალი ხერხებისა და საშუალებების მოძიება და ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ბიზნის ახალ კონცეფციას, რომელმაც მაკენტინგის სახელწოდება მიიღო.

გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა

ხანებიდან ფორმირება იწყო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის პერიოდმა, რაც წარმოების პროცესში უახლესი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დანერგვით ხასიათდება.

წარმოების პროცესმა მიიღო ინტენსიური ხასიათი, რაც დაფუძნებული იყო კადრების მომზადების და გადამზადების ახალ სისტემაზე. ამიტომ სქემის სახით ეს პროცესი შემდეგი ფორმით გამოიხატება: გაფართოებული კვლავწარმოების

მომზადება, მოიცავს - წარმოება + განაწილება + გაცვლა + მოხმარება.

აღნიშნულ ბაზაზე გაფართოებულმა კვლავწარმოებამ და მთელმა ეკონომიკურმა განვითარებამ მიიღო ინოვაციური ხასიათი, რამაც შესაძლებელი გახადა გვესაუბრა ეკონომიკური განვითარების ინოვაციური ხასიათის დამკვიდრებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლამარა. საინვესტიციო პოლიტიკა სტრატეგია. თბ. თსუ. 2008 წ.
2. ღურწყაია კარლო. ეკონომიკური გლობალიზაცია და თანამედროვეობა. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N1, 2010 წ.
3. Албегова И М Емцов Р Г Холопов А В Государственная экономическая политика: опыт перехода к рынку. М. 2008.
4. შონია ნ. უცხოური ინვესტიციების არსი და როლი ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარებაში. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N2, 2010 წ.
5. Экономика муниципального сектора. М. 2008.
6. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დამლევის პროგრამა. თბილისი 2003 წ.



### წიადი და მინერალური რესურსები

#### რევაზ კვატაშიძე

თსუ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი, ინსტიტუტის ენერგეტიკისა და ახალი ტექნოლოგიების ს.კ.გ. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი

#### იური ნოზაძე

თსუ ა. თვალჭრელიძის სახ. მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მინერალური ნედლეულის ეკონომიკისა და სტრატეგიული დაგეგმარების ს.კ.გ. მეცნიერ თანამშრომელი, ინფორმაციის განყოფილების გამგე - ეკონომიკის მაგისტრი

#### ირაკლი კვატაშიძე

თსუ ა. თვალჭრელიძის სახ. მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მინერალური ნედლეულის ეკონომიკისა და სტრატეგიული დაგეგმარების ს.კ.გ. წამყვანი ინჟინერი - ბაკალავრი

#### გოგა გამყრელიძე

თსუ ა. თვალჭრელიძის სახ. მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის მინერალური ნედლეულის ეკონომიკისა და სტრატეგიული დაგეგმარების ს.კ.გ. ლაბორანტი - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

#### აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია წიადის (ზოგადად) და მინერალური რესურსების (კონკრეტულად) მართვასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, ის, თუ როგორ შეუძლიათ ცალკეულ ჩინოვნიკებს

დაამახინჯონ საქართველოს მთავრობის კეთილგანზრახულებიანი, რომელიც მიმართული იყო წიადის მართვის სრულსაყოფისაკენ. საქართველოს მთავრობამ თავისი 2017 წლის 27 დეკემბრის # 565 დადგენილებით დააფუძნა წიადის ეროვნული სააგენტო, რომლის სახელმწიფო მაკონტროლებელი ფუნქცია დააკისრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (მინისტრი, ბატ. ვ. ქუმციშვილი), მინისტრმა კი ისე დაამტკიცა სააგენტოს სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, რომ ის არ შეესაბამება და არ გამომდინარეობს არც „წიადის შესახებ“ საქართველოს სპეციალური კანონიდან და არც იმ კანონიდან, რომელიც საფუძვლად დაედო სააგენტოს შექმნას. არ დაასახელა, თუ რა მიზნით შეიქმნა და რას უნდა ემსახურებოდეს ის, აქედან გამომდინარე შედეგებით.

სტატიაში მოტანილია არგუმენტირებული რეკომენდაციები, რომ:

1. სააგენტოს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონს „წიადის შესახებ“ და მისგან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ წიადის, ნებისმიერი სასარგებლო წიადისეულის, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელების შესწავლასა და გამოყენებას, მოძოვებელ და გადამამუშავებელ წარმოებათა ნარჩენების (მ.შ. გადასახსნელი ქანების) გამოყენების, შენახვისა და დაცვის, აგრეთვე, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს.

2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ წიადის, პირველ რიგში, მინერალური რესურსული ფონდის სამართავად განსახორციელებელია რამდენიმე ხისტი და სწრაფი ღონისძიება. პირველ რიგში შეიცვალოს კანონმდებლობა იმ მიმართულებით, რომ:

ა) შეიქმნას მინერალური რესურსების სახელმწიფო რეზერვი;



ბ) მინერალური რესურსების სხვადასხვა კატეგორიებისათვის (რესურსების სახელმწიფო რეზერვი, სტრატეგიული რესურსები, ფართო გავრცელების რესურსები) დაწესდეს სხვადასხვა საკანონმდებლო რეჟიმი;

გ) განხილულ იქნას და დამტკიცდეს გეოლოგიური სამუშაოების წარმოებისა და აღრიცხვის წესები, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს გეოლოგიური სამუშაოებისა და მინერალური რესურსების კაპიტალიზაციის საკითხი;

დ) დაწესდეს წიაღის ფონდის მიწები;

ე) საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ“ (მე-7 მუხლი) თანხვედრაში მოვიდეს კანონთან „წიაღის შესახებ“ (მე-6 მუხლი);

ვ) წიაღით სარგებლობაზე დაწესდეს ფიქსირებული გადასახადები;

ზ) მინერალური რესურსების მარაგების შეფასების მიზნით, აუცილებელია ე.წ. „კომპეტენტური პირის“ ინსტიტუტის შემოღება და დაკანონება.

აღვრთოვანებას ვერ ვმაღავდით, როდესაც შევიტყვეთ, რომ საქართველოს მთავრობამ 2017 წლის ბოლოს, თავისი 27 დეკემბრის № 565 დადგენილებით დააფუძნა წიაღის ეროვნული სააგენტო. მისი საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დააკისრა. ჩვენი აღვრთოვანება იმითაც იყო გამოწვეული, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ვიბრძვით ამ იდეის ხორცშესხმისათვის. ბოლოს (2016 წელი № 1(16)), სამეცნიერო პრაქტიკულ ჟურნალ „ახალ ეკონომისტში“ გამოქვეყნდა ჩვენი სტატია „მინერალური რესურსების მართვის საკითხები“ (ნოზაძე, გამყრელიძე, კვატაშიძე; № 1, გვ.62-67), სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მინერალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, შეთავაზებული იყო წინადადება სახელმწიფო მართვის სისტემაში წიაღის სახელმწიფო ფონდის შექმნის შესახებ. შემდგომი მოვლენებისათვის ყურადღება აღარ მიგვიქცევია. მით უფრო, რომ ჩვენ არავინ გვეკითხებოდა. ვიდრე წარმოქმნილი პრობლემების დარეგულირების მიზნით, საჭიროებამ არ მოითხოვა ჩაგვეხედა ახლად შექმნილი დაწესებულების სადამფუძემბლო დოკუმენტაციაში. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ იმედგაცრუებულები დავრჩით, უპირველესად იმით, რომ ამ დოკუმენტაციაში არსად ნახსენებიც კი არ არის საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, არა და, სწორედ ამ კანონის ნორმებს უნდა ჰქონდეს იმპერატიული მნიშვნელობა წიაღით სარგებლობის საკითხების რეგულირებისას; ყველა სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე, სხვა ნორმატიული და ინდივიდუალურ-

ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს „წიაღის შესახებ“ სპეციალურ კანონს.

სამწუხაროდ, სადამფუძემბლო დოკუმენტაცია არათუ ამ კანონს, არამედ არ შეესაბამება და არ გამომდინარეობს იმ კანონიდანაც, რის საფუძველზედაც დაფუძნდა ეს დაწესებულება. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის № 565 დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად დაწესებულება შეიქმნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ამ კანონის მე-2 მუხლის ნორმა კი ითვალისწინებს საჯარო საქმიანობის დასაბუთებას, აქვეა სავარაუდო ჩამონათვალიც - „პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას“. დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში კი წერია „...ახორციელებს საქმიანობას“ - საქმიანობის საგანი დასახელებული არ არის. ამასთან სიტყვა „საჯარო“ ამოვარდნილია კონტექსტიდან. ვფიქრობთ, სადაო არ უნდა გახდეს ის საკითხი, რომ, თუ არ ვიცით საქმიანობის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ახლად შექმნილი ორგანიზაცია, საჯარო თუ სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლადაა ის შექმნილი, ბუნებრივია, დებულების მომდევნო თავებში მოტანილი ნორმები ქაოტიური იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ამ დოკუმენტის (დებულება) გაფორმებაც კანონს არ შეესაბამება - თავები საერთოდ არ არის, დაყოფილია მუხლებად, რაც ამნელებს შინაარსის აღქმას, მუხლები კი ზოგი პუნქტებადაა დაყოფილი, ზოგიც ქვეპუნქტებად. სააგენტოს დებულების შინაარსი არ შეესაბამება კანონით დადგენილ შინაარსს (სსიპ შესახებ მე-2 თავი, მე-6 მუხლი, პირველი პუნქტი). კერძოდ, ამ კანონით დადგენილია, რომ

წესდება (დებულება) უნდა შეიცავდეს მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს (მე-2, მე-6, 1. ბა). კონკრეტული დებულება კი მხოლოდ უფლებამოსილებასა და ფუნქციებს (მუხლი 2) - მიზნები და საქმიანობის საგანი იგნორირებულია. სწორედ ამ უფლებებითაა გადატვირთული დებულება, ხშირ შემთხვევაში გადაჭარბებულიც (იხ. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი - „სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს... სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტების შესაბამისად“) მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი - ნორმატიული აქტების დამტკიცება; მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი - „სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში, სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და შესრულებაში მონაწილეობის მიღება“; მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი - „გამოსცემს ... ნორმატიულ აქტებს“; მე-6 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი - „სახელმწიფო კონტროლის განხორციელება“. ამასთან, პასუხისმგებლობის შესახებ არსად არაფერია ნათქვამი, ხოლო ვალდებულებები იმითაა შემოფარგლული, რომ თანამშრომელმა დაიცვას შინაგანაწესი (მე-8 მუხლის პირველი პუნქტი) და „სააგენტომ შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე სამინისტროს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია“ (მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი).

დებულებაში აშკარადაა გამოკვეთილი მონოპოლური უფლებები: ა) სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება (ქ.პ.“პ“); ბ) სახელმწიფო კონტროლის განხორციელება (6.3.“ა“); გ) ნორმატიული აქტების გამოცემა (4.“ვ“); დ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტების განსაზღვრა, სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული საქმიანობა (2.“ო“); ე) სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო კომისიის წევრობა (7 კაცი) (6.2.“ი“); ზ) გეოლოგიური აგეგმვითი და ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარება (6.1.“ა“); თ) საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური შეფასებითი სამუშაოების ჩატარება (6.1.“ბ“); ი) საველე და კამერალური სამუშაოები შესრულება (6.3.“ე“). ანუ, მინიჭებული აქვს უფლება ერთდროულად იყოს: სახელმწიფო პოლიტიკისა და კონტროლის განმახორციელებელიც და იმავდროულად ჰქონდეს საჯარო და ეკონომიკური საქმიანობების წარმოების უფლება.

• საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№ 565, 27.12.2017) ახლად შექმნილი სააგენტო გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამონაცვლეა (მუხლი 4). თუმცა, 2019 წლის 19 მარტის მდგომარეობით გარემოს ეროვნული სააგენტოს

“მიზნები, ფუნქციები და უფლებამოსილებები” დღესაც მოიცავს: ა) გეოლოგიური რუკების შედგენას, ბ) „... სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და მათ შესრულებაში მონაწილეობის მიღებას“, ხოლო გეოლოგიის დეპარტამენტი ამ სააგენტოს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია, რომლის ფუნქციებში სხვასთან ერთად შედის: ა-ა) ჰიდრო-გეოლოგიური კვლევების წარმოება; ბ-ბ) ინფრასტრუქტურული ობიექტების პროექტებისა და ტერიტორიების საინჟინრო-გეოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ექსპერტიზა; გ-გ) გეოლოგიური აგეგმვითი და ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარება. მიმდინარე წლის 19 მარტის მდგომარეობით კი დეპარტამენტი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

- სამშენებლო მოედნების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) დასკვნების მომზადებას მშენებარე ობიექტებისათვის;
- ტერიტორიების და შენობა-ნაგებობების (მათ შორის საცხოვრებელი სახლების) მდგრადობის საინჟინრო-გეოლოგიურ შეფასებას;
- მიწის ნაკვეთების ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების მომზადებას;
- გეოლოგიურ ფონდებში დაცულ მასალებზე დაყრდნობით გეოლოგიური (გარდა სასარგებლო წიაღისეულისა) ანგარიშების მომზადებას;
- ბურღვით სამუშაოებს სხვადასხვა სიმტკიცის ქანებში;
- გეოლოგიურ ფონდებში დაცულ მასალებზე დაყრდნობით ინფორმაციის (საინფორმაციო პაკეტის) მომზადება ტექსტური და გრაფიკული მასალის სახით;
- გეოლოგიურ ფონდებში დაცულ მასალებზე დაყრდნობით ინფორმაციის (საინფორმაციო პაკეტის) მომზადება სასარგებლო წიაღისეულის ზოგადი პარამეტრების მითითებით;
- დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი კოორდინატებით A4 ფორმატის ტოპოგრაფიული რუკების დამზადებას ან არსებული რუკის კორექტირებას.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ გეოლოგია მეცნიერების და არა ეკონომიკური საქმიანობის, ერთ-ერთი დარგია და ის მრავალპროფილიანია. ამდენად, არასწორად მიგვაჩნია ზოგადი სახელით “გეოლოგიის დეპარტამენტად” მოიხსენიებოდა გარემოს დაცვის დაწესებულების ერთ-ერთი რგოლი. თორემ, რა გამოდის, გეოლოგიური საქმიანობის შედეგად ხდება გარემოზე ზემოქმედების მოხდენა და მისგანაა დასაცავი





გარემო. მიგვაჩნია, რომ ეს პრინციპული საკითხია და ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას (დაინტერესებულ მხარეს შევახსენებ, რომ 2006-11 წლებში ამ სისტემაში ფუნქციონირებდა “სტიქიური პროცესების, საინჟინრო-გეოლოგიის და გეოეკოლოგიის სამმართველო,” ხოლო 2011-14 წლებში „გეოლოგიური საშიშროების მართვის დეპარტამენტი“. გეოლოგიის დეპარტამენტი კი შეიქმნა 2014 წელს და ფუნქციონირებს დღესაც). შესაბამის უწყებებს ჩვენი რეკომენდაციები რომ გაეზიარებინათ, ამით საგანს თავისი სახელი დაერქმეოდა და ფუნქციების გადაფარვის საშიშროებაც მოიხსნებოდა. ახლად შექმნილი სააგენტოს მართვაც უნდა გადაეცათ იმ პირებისათვის, ვისაც ანალოგიური პროფილის სახელმწიფო სტრუქტურების მართვის პრაქტიკული გამოცდილება აქვთ, შესწევთ უნარი კანონშემოქმედებითი საქმიანობის წარმოებისა და კარგად ესმით წიაღის, მინერალური რესურსების ეკონომიკური ბუნების რაობა და სხვა ბუნებრივი რესურსებისაგან წიაღისეულის განმასხვავებელი ფაქტორები.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ სააგენტოს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონს „წიაღის შესახებ“ და მისგან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ წიაღის, ნებისმიერი სასარგებლო წიაღისეულის, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარილეების შესწავლასა და გამოყენებას, მომპოვებელ და გადამამუშავებელ წარმოებათა ნარჩენების (მ.შ. გადასახსნელი ქანების) გამოყენების, შენახვისა და დაცვის, აგრეთვე, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს. ჩვენ ზემოთ მოხობილ სტატიაში ვიძლეოდით რეკომენდაციას წიაღის სახელმწიფო ფონდი (ფაქტიურად - წიაღის ეროვნული სააგენტო) შექმნილიყო შემდეგი სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობით:

- გამჭოლი პროფესიების სამსახურები (ადმინისტრაციული, იურიდიული);
- პროფესიონალური სამსახურები: ა) სამთო-გეოლოგიური; ბ) წიაღის პოლიტიკის - განსაზღვრისა და დაცვის; გ) საერთაშორისო ურთიერთობების; დ) წიაღის რესურსების აღრიცხვის; ე) სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის (და არა სალიცენზიო პირობების კონტროლის, როგორც რეალურადაა შექმნილი. ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვაკნინებთ მის ფუნქციებს, ასეთი სამსახური ქვედანაყოფის სახით შევალიცენზირების დეპარტამენტში); ვ) სამთო-

ტექნიკური ზედამხედველობის; ზ) ნებართვებისა და ლიცენზირების.

ჩვენი ეს რეკომენდაცია გამომდინარეობდა იქიდან, რომ საქართველოში სამთო მრეწველობის განვითარებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ვფიქრობდით, რომ წიაღის ეროვნული სააგენტოს შექმნით ეს ხარვეზი შეივსებოდა, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს სამთო სექტორს შეუძლია გადაამწყვეტო როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაში.

დღეისათვის მინერალური რესურსების მიმართ ქვეყანაში არსებული მიდგომა აბსოლუტურად გამოუყენებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. არსებული მიდგომარეობა ამუხრუჭებს სამთო-მომპოვებელი საწარმოების რეგისტრაციას საერთაშორისო ბირჟებზე. რეგისტრაციის გარეშე კი საერთაშორისო საბანკო კრედიტების მოძიება შეუძლებელია. მემკვიდრეობით დღესაც მინერალური რესურსების მარაგებს ე.წ. სახელმწიფო მარაგების კომისია ამტკიცებს, რომლის შემადგენლობის 38,88% (7 კაცი) ახლად შექმნილი სააგენტოს ჩინოფნიკია, ხოლო დამტკიცებული მარაგები ქვეყნის მარაგების სახელმწიფო ბალანსში აისახება ისე, რომ შეუფასებელი რჩება მარაგის ღირებულება ფულად გამოსახულებაში. ჩვენ ადრეც გვითქვამს და ახლაც იმავეს ვიმეორებთ, რომ ამ ფორმით ასეთი კომისიები საერთოდ არ უნდა არსებობდნენ. თუნდაც იმის გამო, რომ ქვეყანა, რომლის საკანონმდებლო ნორმებითაც ხელმძღვანელობს კომისია, საქართველოს კანონით ოკუპანტადაა აღიარებული - ეს პოლიტიკური თვალსაზრისით. ხოლო, რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს - ცნება „მარაგების სახელმწიფო კომისია“ დამახინჯებული ფორმითაა წარმოდგენილი. ის კომისია საბჭოური, ყველანაირად დამოუკიდებელი იყო და წიაღის მართვის მარეგულირებელ ფუნქციას ასრულებდა. მის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტები (ინსტრუქციები) სავალდებულო იყო შესასრულებლად ქვეყნის ყველა დონის უწყებისათვის, რომელსაც შეხება ჰქონდა წიაღთან. ჩვენს შემთხვევაში კი კომისია მინისტრთან არსებული სათათბირო ორგანოა (მუხლი 1, პ.1) და მისი ამოცანა ინფორმაციის შემოწმება, დასკვნების შემუშავება და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენით შემოიფარგლება (მუხლი 1, პ.4). მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკური ტრადიციის შესაბამისად მინერალური რესურსი წარმოადგენს ზუსტი ფასობრივი გამოხატულების მქონე მატერიალური უძრავი ქონების თავისებურ ფორმას, რომელიც შეიძლება გაიყიდოს,

გაქირავდეს, დაგირავდეს, ჩაიდოს ინვესტორის მიერ შემოთავაზებული წინადადების საპირწონე კაპიტალის სახით და ა.შ. ჩვენ, ჯერ კიდევ 2004 წელს, შევიმუშავეთ მეთოდური რეკომენდაციები „გეოლოგიური სამუშაოების წარმოებისა და აღრიცხვის წესები“ (საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიში, სახელმწიფო გეოლოგიური ფონდები, ინ.№ c19294). აღნიშნულ პრობლემებზე ვრცელი, არგუმენტირებული დასაბუთებებია პრ. ალ.თვალჭრელიძის ნაშრომში „მინერალური რესურსების როლი საქართველოს ეკონომიკაში“ (შრომათა კრებული, გვ.56-73; სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, 2015 წლის 23-24 აპრილი). როგორც ბატონი ალ.თვალჭრელიძე აღნიშნავს - „...სანამ საქართველო არ მიიღებს რესურსების დასავლურ კლასიფიკაციას და არ შექმნის კომპეტენტურ პირთა ინსტიტუტს, პირობები, მისი რესურსების საერთაშორისო კაპიტალიზაციისათვის, ვერასდროს ვერ შეიქმნება“ (გვ.71).

ის, რომ სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში დაცული რუსულენოვანი ინფორმაცია ქართულ ენაზე ითარგმნა და ელექტრონული ვერსიაც შეიქმნა დღის წესრიგიდან პრობლემებს ვერ მოხსნის. რადგან საბჭოთა კავშირის პერიოდში (ინერციით - დღესაც) მინერალური რესურსების ძებნა-ძიებითი სამუშაოების სტრატეგიის შემუშავებისას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა აღმოსაჩენი ობიექტების ეკონომიკურ ეფექტურობას, გაზომილს სამიუბო დანახარჯებისა და აღმოჩენილი რესურსების მარაგების ფასის ინდექსის ფარდობით. გასაანალიზებელია ურთიერთდამოკიდებულება ძიებითი სამუშაოების მოცულობისა და მინერალური რესურსების აღმოსაჩენ გარანტირებულად რენტაბელურ მარაგებს შორის. გარანტირებულად რენტაბელურია მინერალური რესურსების ის მარაგები, რომლებიც არსებული ეკონომიკური რეალობების (საბაზრო ფასები რესურსზე) ფონზე გარანტირებულად დაფარავს დანახარჯებს ძიებაზე და სამთამადნო საქმეზე და მოგვცემს სათანადო შემოსავალს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ წიაღის, პირველ რიგში, მინერალური რესურსული ფონდის სამართავად განსახორციელებელია რამდენიმე ხისტი და სწრაფი ღონისძიება. პირველ რიგში შეიცვალოს კანონმდებლობა იმ მიმართულებით, რომ:

1) შეიქმნას მინერალური რესურსების სახელმწიფო რეზერვი. კლასიკური გაგებით, მინერალური რესურსების სახელმწიფო

რეზერვი წარმოადგენს რესურსული ფონდის იმ აუცილებელ და საკმარის ნაწილს, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია და საკმარისი ფორს-მაჟორულ სიტუაციაში ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის;

2) მინერალური რესურსების სხვადასხვა კატეგორიებისათვის (რესურსების სახელმწიფო რეზერვი, სტრატეგიული რესურსები, ფართო გავრცელების რესურსები) დაწესდეს სხვადასხვა საკანონმდებლო რეჟიმი;

3) განხილულ იქნას და დამტკიცდეს გეოლოგიური სამუშაოების წარმოებისა და აღრიცხვის წესები, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს გეოლოგიური სამუშაოებისა და მინერალური რესურსების კაპიტალიზაციის საკითხი;

4) დაწესდეს წიაღის ფონდის მიწები (ტყის ფონდის მიწების ანალოგიური), რათა თავიდან ავიცილოთ წიაღით მოსარგებლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის გახშირებული სასამართლო დავები;

5) საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ“ (მე-7 მუხლი) თანხვედრაში მოვიდეს კანონთან „წიაღის შესახებ“ (მე-6 მუხლი);

6) წიაღით სარგებლობაზე დაწესდეს ფიქსირებული გადასახადები სხვადასხვა გეოლოგიურ-ეკონომიკური რაიონების მიხედვით (კანონპროექტის მოსამზადებლად მეთოდოლოგია შემუშავებულია, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განიხილონ ან/და გამოიყენონ). გადასახადის ასეთი ფორმის დაწესება უზრუნველყოფს წიაღის რაციონალურ გამოყენებასა და სასარგებლო წიაღისეულის უდანაკარგო მოპოვებას. დღეს მოსაკრებელი დაწესებულია არა მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის შემცველ მადანზე (სანედლეულე მასალა), არამედ მის შემცველ ცალკეულ კომპონენტებზე (მზა პროდუქციაზე), რომელიც მიიღება ქარხნული წესით მადნის გადამუშავების შედეგად. საქართველოს კანონი მადნის გადამუშავებაზე ლიცენზიის გაცემას არ ითვალისწინებს.

დღეის მდგომარეობით კი, გაუაზრებლად დაწესებული გადასახადების (მოსაკრებლები) გამო არათუ რაციონალურად არ გამოიყენება სასარგებლო წიაღისეული, არამედ ნადგურდება და ზიანდება, ზიანდება გარემო, ეკოლოგია, ეკონომიკურად ზარალდება მეწარმეც, რადგან მის მიერ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის უმეტესი ნაწილი (იმ კომპონენტების შემცველი

სამთო მასა, რომელიც მითითებული არ არის ლიცენზიაში) რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში, მეწარმეს მისი გამოყენების უფლება ეძლევა მხოლოდ ახალი ლიცენზიის მიღების შემდეგ. არა და, მეწარმემ წიაღით უკვე ისარგებლა და მოპოვება განახორციელა, დახარჯა შესაბამისი ენერჯია და სახსრები. სამართლებრივი თვალსაზრისით, საკუთრებაზე უფლება მოიპოვა, რაც მთლიანი ღირებულების დაახლოებით 90%-ს შეადგენს. ამ დროს 10%-ის მფლობელი (სახელმწიფო) მას უკრძალავს საკუთრების რეალიზებას.

7) მინერალური რესურსების მარაგების შეფასების მიზნით, აუცილებელია ე.წ. „კომპეტენტური პირის“ ინსტიტუტის შემოღება და დაკანონება. კომპეტენტური პირი - ეს დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტია, რომლის მიერ შეფასებული მარაგები და რესურსები დიდ სანდოობას იმსახურებს. მარაგების გამოთვლაზე კომპეტენტური პირის ხელმოწერა საკმარისია საერთაშორისო ბირჟებისათვის პირველადი აქციების ემისიის გადასაცემად, ხოლო ბანკებისათვის კრედიტის გამოსაყოფად ალექსანდრე თალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის

ინსტიტუტი მზადაა მოამზადოს და შესაბამისი სერტიფიკატებით აღჭურვოს კომპეტენტური პირები.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა უყურადღებოდ არ დატოვებს რეკომენდაციებს და სათანადო ცვლილებებს შეიტანს წიაღის ეროვნული სააგენტოს სადამფუძებლო დოკუმენტაციაში. ჩვენ კი ჩვენის მხრივ ვიღებთ ვალდებულებას, სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, ორი კვირის ვადაში მოვამზადოთ სააგენტოს არგუმენტირებული, სამართლებრივად გამართული წესდების პროექტი. ჩვენი ღრმა რწმენით, სააგენტოს სტატუსს წესდება შეესაბამება, ხოლო მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის შეიქმნება დებულებები. სხვათა შორის, ამ სააგენტოს ორი სტრუქტურული ერთეულის (ადმინისტრაციული, იურიდიული) დებულებების ძირითადი ნაწილი უნაკლოდაა შესრულებული და, შესაბამისად, მზადაა იმისათვის, რომ დამოუკიდებელი დებულება შეიქმნას, რომელსაც დაამტკიცებს სააგენტოს ხელმძღვანელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოზაძე, გამყრელიძე, კვატაშიძე - „მინერალური რესურსების მართვის საკითხები“ - ახალი ეკონომისტი, № 1, 2016.
2. საქართველოს მინერალოგიური საზოგადოება, შრომათა კრებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველოს გეოლოგიის თანამედროვე პრობლემების შესახებ. თბილისი, 2015 წ. 22-23 აპრილი:
  - ა) ალ.თვალჭრელიძე - „მინერალური რესურსების როლი საქართველოს ეკონომიკაში“ (გვ.56-74);
  - ბ) ნოზაძე, გამყრელიძე - „გეოლოგიური სამუშაოების ეკონომიკური ბუნება და მისი აღრიცხვის წესები“ (გვ.103-106);
  - გ) ნოზაძე, რჩეულიშვილი, კვატაშიძე - „წიაღის რესურსების მართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხები და საქართველოს გეოლოგიურ-ეკონომიკური დარაიონება“ (გვ.106-111).
3. ნოზაძე, ოთარაშვილი, კვატაშიძე, გამყრელიძე - „რეკომენდაციები წიაღით სარგებლობისათვის ფიქსირებული გადასახადების დაწესების მიზნით“.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილებები: № 565, 27.12.2017; № 280, 29.05.2018.
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2, 04.01.2018.
6. გარემოს ეროვნული სააგენტოს საიტზე განთავსებული მასალები 19.03.2019 წლის მდგომარეობით.

Revaz Kvatashidze

TSU, Director of Alexander Tvalchrelidze Caucasian Institute of Mineral Resources, Chief Researcher of Research Department of Energy and New Technologies, Doctor of Geological and Mineralogical Sciences, Academician of the Engineering Academy of Georgia

Iuri Nozadze

TSU, Alexander Tvalchrelidze Caucasian Institute of Mineral Resources, Researcher of the Research Department of Mineral Economics and Strategic Planning, Head of the Department of Computer Science -Master of economics

Irakli Kvatashidze

TSU, Alexander Tvalchrelidze Caucasian Institute of Mineral Resources, Leading Engineer of the Scientific Research Department of Mineral Economics and Strategic Planning – Bachelor

Goga Gamkrelidze

TSU, Alexander Tvalchrelidze Caucasian Institute of Mineral Resources, Laboratory Assistant of the Scientific Research Department of Mineral Economics and Strategic Planning - Bachelor of Business Administration

Abstract

The article discusses issues related to entrails (general) and mineral resources (specifically) management. In particular, how individual officials can disfigure the good intentions of the Georgian government, which was aimed at improving the management of mineral resources. The Government of Georgia, in its Resolution No. 565 of December 27, 2017, substantiated the National Agency of Mines and obliged the control function to

Ministry of Economy and Sustainable Development (Minister Mr. V. Qumsishvili) and the minister approved the documentation on the foundation of the agency in such a way that it does not correspond to and does not follow from the special law of Georgia “about Entrails” and the law that formed the basis for creating the agency; He did not declare for what purpose it was created and what it should serve with the ensuing results.

The article provides reasoned recommendations for:

1. The agency’s activities must comply with the Law of Georgia “about Entrails” and other Legislative Regulations that result from them, which regulate the exploration and mining of any mineral resources, use, storage and protection of waste mining and processing enterprises (including overburden), as well as underground structures and relationships arising in the process of their construction and operation.

2. We consider it expedient, first of all, that in order to manage the mineral resource fund of the ore, several tough and quick measures should be carried out.

In the first place, the legislation should be changed in the following direction:

- a) Create a State Reserve of Mineral Resources;
- b) For Mineral Resources of various categories (State Reserve, Strategic Resources, Widespread Resources) create a different legislative regime;
- c) Consider and approve the rules for conducting and accounting for geological work in order to once and finally decide on the issue of capitalization of geological work and mineral resources;
- d) Establish Entrails Fund Sites;
- e) Bring the law of Georgia on “Licensing and Permitting” (Article 7) into line with the law on “Entrails” (Article 6);
- f) Set a fixed payment for Entrails use;
- g) In order to assess mineral reserves, it is necessary to create and legitimize the so-called institute of “Competent Persons”.



## მომხმარებელთა ფინანსური განათლების როლი და მათი უფლებების დაცვა საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობისას



გიორგი ავალიანი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
დოქტორანტი  
ელ.ფოსტა: goga\_avaliani@mail.ru  
ტელეფონი: 514 999 399

*მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლების საკითხი მრავალ ქვეყანაში განიხილება როგორც ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის უფრო ფართო პრობლემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მრავალ ქვეყანაში უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ამ კუთხით, მათ შორის საქართველოშიც.*

*სტატიის მიზანია, მოკლედ მიმოიხილოს ფინანსური განათლების, როგორც მომხმარებელთა დაცვის შემადგენელი ძირითადი ნაწილის კუთხით არსებული პრობლემები და ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლო გზები. სტატიის პირველ ნაწილში განხილულია ის პრობლემები, რომლებსაც თანამედროვე მომხმარებელი ეჯახება ფინანსური პროდუქტების გამოყენების დროს. აღნიშნული მოიცავს პროდუქტების გამჭვირვალობისა და ფინანსური განათლების დაბალ დონეს. სტატიაში ასევე განხილულია ფინანსური პირამიდის თაღლითური სქემა, რომელიც პირველ რიგში ფინანსური განათლების დაბალი დონის მქონე მომხმარებლებს აზარალებს. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემები პირდაპირ აისახება მომხმარებელთა ფინანსურ კეთილდღეობაზე. სტატიაში ასევე განხილულია ზემოხსენებულ პრობლემებთან ბრძოლის გზები.*

*საკვანძო სიტყვები: პროდუქტების გამჭვირვალობა, ფინანსური პირამიდები, ფინანსური განათლება, ფინანსური შესაძლებლობა.*

ბოლო წლებში, განსაკუთრებით ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, მრავალი ქვეყნის მთავრობებს უფროდაუფრო აწუხებთ თავიანთი მოქალაქეების ფინანსური განათლების დონე. აღნიშნული საკითხი აქტუალურია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ბაზრებზე. ფინანსური განათლების ამაღლების საკითხი მრავალ ქვეყანაში განიხილება როგორც ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის უფრო ფართო პრობლემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მრავალ ქვეყანაში უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ამ კუთხით, მათ შორის საქართველოშიც. ფინანსური განათლებისადმი მზარდ ინტერესს მსოფლიოს ნაკლებად მდიდარ ნაწილში აქვს სხვადასხვა მამოძრავებელი მოტივი, რომელთაგან სამი უმთავრესია: ფინანსური განათლების დაბალი დონე; ფინანსური ხელმისაწვდომობისა და გამოყენების დაბალი დონე; და იმის აღიარება, რომ ფინანსები ინოვაციისა და ზრდის კრიტიკული ელემენტია ფინანსური სფეროს, განსაკუთრებით

საცალო სეგმენტის მომხმარებელთა დაცვის პრობლემა შედარებით ახალია და წინა წლებში ნაკლებად იდგა დღის წესრიგში, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ბაზრებზე. საქართველოში აღნიშნულის ძირითადი მიზეზი, საფინანსო ბაზარზე ნაკლები ხელმისაწვდომობაა, რაც ძირითადად კორპორატიული სექტორის დომინირებით და, შესაბამისად, საფინანსო კულტურის დაბალი დონით გამოიხატებოდა. თუმცა, სწრაფმა გლობალურმა, მათ შორის ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, საფინანსო სექტორი მეტად ხელმისაწვდომი გახადა საცალო მომხმარებლებისთვისაც, აქტიურად იზრდება საცალო საფინანსო სექტორი განსაკუთრებით განვითარებად ბაზრებზე. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში.

კომპანია “კრედიტ-ინფოს” ინფორმაციით 2018 წელს საკრედიტო ჩანაწერების რაოდენობა 4000000 ერთეულით გაიზარდა და ჯამში 24687694 ერთეული შეადგინა. ამ ეტაპზე „კრედიტ-ინფოს“ & ქუთ; ბაზაში ჩანაწერი სულ 2537374

ფიზიკურ პირსა და 94193 იურიდიულ პირზე არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ტიპის საკრედიტო ვალდებულება სწორედ ამდენ ადამიანს გააჩნია. ბოლო აღწერით საქართველოში სულ 3 718 200 ადამიანი ცხოვრობს, შესაბამისად, გამოდის, რომ სესხით მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 68,2% სარგებლობს. ინფორმაციისთვის, ანალოგიური მაჩვენებელი 2016 წელს 63.5%-ს შეადგენდა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 20 წლამდე ასაკის ადამიანებზე სესხს, პრაქტიკულად, არც ერთი საფინანსო სტრუქტურა არ გასცემს, 70 წლის ზემოთ მყოფები კი კრედიტს აღარ იღებენ, გამოვა, რომ აქტიური მოსახლეობის 97%-ს სესხი ამძიმებს. სექტორის ზრდის, ინოვაციური პროდუქტების დანერგვისა და მათი კომპლექსურობის, ასევე ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, იმატა ბაზრის ჩავარდნის რისკმაც. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება აღნიშნულ ჩავარდნებთან ბრძოლის გზების ძიება და მათი განხორციელება. სტატიის მიზანია, მოკლედ მიმოიხილოს ფინანსური განათლების, როგორც მომხმარებელთა დაცვის შემადგენელი ძირითადი ნაწილის კუთხით არსებული პრობლემები და ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლო გზები. სტატიის პირველ ნაწილში განხილულია ის პრობლემები, რომლებსაც თანამედროვე მომხმარებელი ეჯახება ფინანსური პროდუქტების გამოყენების დროს. აღნიშნული მოიცავს პროდუქტების გამჭვირვალობისა და ფინანსური განათლების დაბალ დონეს. სტატიაში ასევე განხილულია ფინანსური პირამიდის თაღლითური სქემა, რომელიც პირველ რიგში ფინანსური განათლების დაბალი დონის მქონე მომხმარებლებს აზარალებს. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემები პირდაპირ აისახება მომხმარებელთა ფინანსურ კეთილდღეობაზე.

ფინანსური განათლების დაბალი დონის ნეგატიური გავლენა მომხმარებლების ფინანსურ მდგომარეობაზე

დღეისათვის ფინანსური განათლების მაღალი დონე მთელს მსოფლიოში მიჩნეულია ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობისა და განვითარების მნიშვნელოვან ელემენტად. გარდა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისისა, არის რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ზურგს უმაგრებენ ფინანსური განათლებისადმი მზარდ გლობალურ ინტერესს:

- მზარდი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა\_ბაზარსა და ზოგადად

ეკონომიკაში ცვლილებების კვალდაკვალ იზრდება მომხმარებელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა და, შესაბამისად, მათ მიერ ინდივიდუალურ დონეზე აღებული პასუხისმგებლობა (OECD, 2012). აღნიშნულის გამოწვევი ფაქტორები სიცოცხლის მზარდი ხანგრძლივობაა, პირადი და ოჯახის სამედიცინო ხარჯების დაფინანსება, მზარდი ხარჯები განათლებისთვის, ფინანსური პროდუქტების გამოყენება და ა.შ. ფინანსური განათლების მაღალი დონე აუცილებელია ინფორმირებული და, შესაბამისად, პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

• ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების მზარდი ფართო არჩევანი – ფინანსური შუამავლების მიერ სხვადასხვა არხით შეთავაზებული უამრავი პროდუქტი, რომლებიც უფროდაუფრო კომპლექსური ხდება, აიძულებს მომხმარებლებს არჩევანის გასაკეთებლად ერთმანეთს შეადარონ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა საკომისიო, საპროცენტო განაკვეთი, ვადა და რისკის დონე. მათ ასევე უწევთ უშუალოდ მომწოდებლებიდან მათთვის ყველაზე ხელსაყრელის არჩევა. ტექნოლოგიების განვითარება ფინანსურ პროდუქტებს უფრო ხელმისაწვდომს ხდის და აუმჯობესებს ფინანსურ ჩართულობას.

• მზარდი მოთხოვნა ფინანსურ პროდუქტებსა დამომსახურებაზე – ეკონომიკურმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ მასობრივი ცვლილებები გამოიწვია კომუნიკაციასა და ფინანსურ ტრანზაქციებში. შესაბამისად, სოციალურ ურთიერთობებსა და მომხმარებლის ქცევაში. მომხმარებლები სულ უფრო ხშირად იყენებენ ფინანსურ მომსახურებას ელექტრონული არხებით ხელფასის მისაღებად, გადარიცხვებისათვის, კომუნალური გადასახდელების გადასახდელად, ონლაინ ტრანზაქციებისთვის და ა.შ. ვისაც ხელი არ მიუწვდება მსგავს მომსახურებაზე, მას უფრო მეტის გადახდა უწევს ფულად ოპერაციებში. ზემოხსენებული ტენდენციების გათვალისწინებით პასუხისმგებლობა ძირითად ფინანსურ გადაწყვეტილებებზე მომხმარებლებზე გადადის. ამასთანავე, იზრდება შეთავაზებების რაოდენობა და მათი კომპლექსურობა. შესაბამისად, მომხმარებლები უნდა იყვნენ ფინანსურად უფრო განათლებულები, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები და ფინანსური კეთილდღეობა. ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის დაბალი დონე ნეგატიურ გავლენას ახდენს მომხმარებელთა, განსაკუთრებით კი გამოუცდელ



მომხმარებელთა ფინანსურ კეთილდღეობაზე. კერძოდ, იზრდება მომხმარებლების მიერ საკუთარ თავზე ისეთი ვალდებულებების აღების რისკი, რომლის შესრულებაც გართულებულია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც.

აღნიშნულის გარდა, ფინანსური ინსტიტუტების შესაძლო არაკეთილსინდისიერი და პროდუქტების გაყიდვაზე ორიენტირებული ქცევის პირობებში იზრდება მომხმარებლების გადატვირთვა პროდუქტებით. ფინანსური ინსტიტუტები ხშირად იყენებენ ე.წ. პაკეტურ შეთავაზებებს, რაც გულისხმობს მომხმარებლისთვის ერთზე მეტი პროდუქტის შეთავაზებას სპეციალურ ფასად – რამდენიმე პროდუქტის ერთდროულად შეძენის შემთხვევაში მომხმარებელი იხდის იმაზე ნაკლებ საკომისიოს, ვიდრე გადაიხდიდა აღნიშნული პროდუქტების ცალ-ცალკე შეძენისას.

თუმცა, საყურადღებოა, რომ მსგავსი შეთავაზებისას, უმეტესწილად, ფასს განსაზღვრავს პროდუქტების რაოდენობა და მათი შეძენის, და არა სარგებლობის ფაქტი. შესაბამისად, „ნაკლები ფასით“ მოზიდული მომხმარებელი ყიდულობს რამდენიმე პროდუქტს, რომელთაგან შესაძლოა რეალურად მხოლოდ ერთი სჭირდებოდეს. აღნიშნულის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაყიდული პროდუქტების რაოდენობაზე ორიენტირებული თანამშრომელთა წახალისების სისტემა. მართალია ხშირ შემთხვევაში, პაკეტური შეთავაზების დროს ფინანსური ინსტიტუტი ყიდის საბაზისო პროდუქტებს, რომელთა ფასი შედარებით დაბალია და, შესაძლოა, არამატერიალური იყოს. თუმცა, დროთა განმავლობაში დაგროვებული საკომისიოს გადახდა, შესაძლოა, მომხმარებლისათვის გართულდეს. მომხმარებელთა ფინანსური განათლებისა და პროდუქტების გამჭვირვალობის დაბალი დონე, შესაძლოა ე.წ. დეფოლტის, იგივე მომხმარებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზიც გახდეს. აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს როგორც ფინანსური ინსტიტუტის ფინანსურ მდგომარეობაზე ვადაგადაცილებული და/ან უმოქმედო სესხების მზარდი წილით მთლიან საკრედიტო პორტფელში, ასევე, უშუალოდ მომხმარებლის ფინანსურ კეთილდღეობაზე. ფინანსური განათლების დაბალი დონის პირობებში არსებობს სხვადასხვა სახის თაღლითური სქემების წარმოშობის საფრთხე.

2013 წლის დასაწყისში ბაზარზე გამოჩნდა ორგანიზაცია, რომელიც კომპანიაში გაწევრიანებისა და შესაბამისი ინვესტიციის ჩადების მსურველ მოსახლეობას მოკლე დროში შეუსაბამოდ მაღალი – წლიური რამდენიმე ასეული ათასი პროცენტის – სარგებლის მიღებას სთავაზობდა. აღნიშნული სარგებლის მისაღებად მომხმარებელს კიდევ ოთხი ადამიანი უნდა „გაეწევრიანებინა“ ორგანიზაციაში. ფირმის წარმომადგენელთა განცხადებით, მათ ჰქონდათ ქსელური მარკეტინგის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემოტანას და ამონაგები ფულით მოსახლეობის დახმარებას (ყურნალი „ლიბერალი“, 2013; საინფორმაციო სააგენტო მედიანიუსი, 2013). შესაძლოა, ამ ისტორიამ მკითხველს 90-იან წლებში მრავლად არსებული მსგავსი კომპანიები გაახსენოს – „აჩი“, „ოქროს თასი“, „სპექტრი“, „საქართველო“ და სხვა. მაშინ საქართველოს მოსახლეობამ საკმაოდ დიდი ონდენობის თანხა დაკარგა, ხოლო კომპანიის მფლობელებმა კი დიდი შემოსავალი მიიღეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2013 წლის თებერვალში ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა შესაბამისი განცხადება, რომელიც მოუწოდებდა მომხმარებლებს სიფრთხილე გამოეჩინათ მსგავს კომპანიებში თანხის დაბანდებისაგან და წინასწარ მოეძიათ ინფორმაცია.

ანალოგიური სიტუაცია განმეორდა საფინანსო კომპანია „საქართველოსთან“ მიმართებაში. არაოფიციალური ინფორმაციით კომპანიის 8000-მა მენაბრემ ვერც პროცენტი და ვერც ძირითადი თანხა ვერ მიიღო.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ 2016 წლის 20 სექტემბერს შეზღუდვები და აკრძალვები დაუწესა. კომპანიას აკრძალა სახსრების მოზიდვა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის სარეკლამო კამპანიის წარმოება.

პრობლემის გადაწყვეტის გზები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩო მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობისა და მომხმარებელთა ფინანსური განათლების დონის ამაღლების უზრუნველყოფასა და რეგულირებას. ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ

პროდუქტის მახასიათებლებისა და შესაბამისად მასთან ასოცირებული რისკების გაანალიზებას, ასევე სხვადასხვა ფინანსური მომსახურების მიწოდებლების მიერ შეთავაზებული მსგავსი პროდუქტების შედარებას, რაც ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი, ასევე მომხმარებლისთვის ფინანსურად მაქსიმალურად ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა. თუმცა, ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის პირობებშიც კი შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების არქონის გამო, მომხმარებელმა შესაძლოა ვერ შეძლოს რისკების იდენტიფიცირება და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფითად აისახება მის ფინანსურ კეთილდღეობაზე. შესაბამისად, ფინანსური განათლების დონის ამაღლების გარეშე პროდუქტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფამ, შესაძლოა, სასურველი შედეგი ვერ გამოიღოს. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ორივე კომპონენტის უზრუნველყოფის პირობებშიც კი მომხმარებელმა, შესაძლოა, ვერ გაითვალისწინოს მეორადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგებზე. მაგალითად, პროდუქტით სარგებლობასთან დაკავშირებული დამატებითი საკომისიოები, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის და/ან წინასწარ შეწყვეტისათვის გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები და პირგასამტეხლოები, ხელშეკრულების პირობების ფინანსური შუამავლის მიერ ცალმხრივად ცვლილების შესაძლებლობა და ასეთი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში დამატებითი ტვირთი და ა.შ. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საცალო ფინანსური ბაზრისათვის, სადაც მომხმარებლის მიერ მცირე ზომის პროდუქტის დეტალური შესწავლა ხარჯების გამო არ არის ეფექტიანი. შესაბამისად, მომხმარებლის ქცევა არ არის ოპტიმალური, რადგან მის მიერ შიძლება უგულვებელყოფილ იქნას ისეთი ფაქტორები, რომელთა რეალიზაციის ალბათობა დაბალია. ფინანსური ინსტიტუტებისათვის ინდივიდუალურად ოპტიმალური ქცევაა მოახდინონ ამ ფაქტორებზე მაქსიმალურად მათთვის ხელსაყრელი პირობების დადგენა. აღნიშნული მოვლენის დადგომისას მომხმარებელი მარტო რჩება ფინანსური ინსტიტუტის წინაშე, სადაც სამართლიანი საბაზრო პრინციპების გამოყენება ვერ ხერხდება. შედეგად, ბაზარი ვერ აღწევს რესურსების ეფექტიან განაწილებას, ეს შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც რეგულირების რაციონალიზაციის წინაპირობა. რეგულირებას შეუძლია მოახდინოს

აღნიშნული ხარჯების შემცირება მეორადი ფაქტორების სტანდარტიზირებისა და დაბალი ალბათობების მქონე მოვლენის დადგომის დროს, ფინანსური ინსტიტუტის უფრო სამართლიანი ქცევის წახალისებით.

დასკვნა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი პრიორიტეტულია ფინანსური მარეგულირებლებისა და საზედამხედველო ორგანოების დღის წესრიგში. ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს პარალელურად, მომხმარებელთა და ზოგადად საზოგადოების ფინანსური განათლების დონის ამაღლება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითადი კომპონენტია. აღნიშნული მომხმარებელთა ფინანსური კეთილდღეობის, ინოვაციისა და ზოგადად ფინანსური ბაზრის განვითარების წინაპირობაა. შესაბამისად, მომხმარებელთა დაცვისა და ფინანსური განათლების დონის ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს მასშტაბით. ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. თუმცა, ამჟამად არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და ფინანსური განათლების ამაღლებისაკენ გადადგმული ნაბიჯები არ იძლევა ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა მაქსიმალური დაცვის საშუალებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, შექმნილი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო ძირითადად მიმართულია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე. თუმცა, შესაბამისი და სათანადო ინფორმაციის ფლობის პირობებშიც კი არ არსებობს იმის გარანტია, რომ აღნიშნულ ინფორმაციას მომხმარებელი სწორად გამოიყენებს და მიიღებს ეფექტიანი ფინანსურ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ქვეყანაში უნდა გაძლიერდეს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლებისაკენ მიმართული ქმედითი ნაბიჯები. უნდა შემუშავდეს და შემდგომში განხორციელდეს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია. სწორედ განათლება, მათ შორის ფინანსური, ის უმთავრესი იარაღია, რომელიც ინოვაციებისა და სწრაფი ცვლილებების ეპოქაში ადამიანებს საშუალებას მისცემს მიიღონ ეფექტიანი და მათი ფინანსური კეთილდღეობის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებები.





გამოყენებული ლიტერატურა:

1. [www.agoraconsulting.ge](http://www.agoraconsulting.ge)
2. [www.agh.ge](http://www.agh.ge)
3. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
4. [www.global-economic-symposium.org](http://www.global-economic-symposium.org)
5. [www.mindtreasure.com](http://www.mindtreasure.com)
6. [www.moneycrashers.com](http://www.moneycrashers.com)
7. [www.operationhope.org](http://www.operationhope.org)
8. [www.practicalmoneyskills.com](http://www.practicalmoneyskills.com)
9. [www.equityfirstfoundation.org](http://www.equityfirstfoundation.org)
10. [www.gpn.ge](http://www.gpn.ge)

Meaning of financial education for protecting consumers' rights in relation with Financial Institutes

Giorgi Avaliani

Doctorate of Georgian Technical University

The question of raising the financial education of the population in many countries is considered as one of the component part of the wider problem of consumers' right protection of financial services. Out of the actuality of the problem, many countries have taken concrete steps in this regard, including Georgia.

The aim of the article is short review of the problems of financial education, as the main component part of consumers' protection and possible ways of solving these problems. In the first part of the article is discussed the problems, faced by the modern consumers' during the use of financial products. In the article is also discussed the fraud scheme of pyramid, which harms the consumers with low level of financial education at the first time. Accordingly, the mentioned problem directly reflects on consumers' financial well-being. Education, including financial education is the main weapon, which gives people the opportunity to make effective and financial well-being decision in epoch of innovation and fast changes.

## საინფორმაციო სააგენტოსა და სპეცსამსახურების მუშაობის საერთო თავისებურებანი



ქეთევან ბოხუა  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი  
Email: keti.bokhua@yahoo.com

*საინფორმაციო სააგენტოსა და სპეცსამსახურების სამუშაო პროცესებში ინფორმაციის მოპოვების პრინციპი ერთი და იგივეა მათი საქმიანობის პირველ – ინფორმაციის მოპოვების ნაწილში, რასაც ვერ ვიტყვით მათი სამიანობის ფინალურ ეტაპზე. მათ მიერ იდენტიური ხერხებითა და მეთოდებით მოპოვებული ერთი და იმავე პროდუქტის – ინფორმაციის რეალიზების ფორმები რადიკალურად განსხვავებულია და ეს სხვაობა ასევე რადიკალურად აშორებს მათ ფუნქციონირების ძირითადი არსის ნაწილშიც.*

ახალი ეპოქისთვის THE NEW ECONOMIST

საინფორმაციო სააგენტოების მუშაობის მთავარი მიზანი ინფორმაციის მოპოვება, გადამუშავება და მისი გავრცელებაა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად არის აგებული მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ძალიან ჰგავს სპეცსამსახურების მუშაობას. მათი მსგავსება საინფორმაციო სააგენტოების მუშაობის მხოლოდ პირველ – ინფორმაციის მოპოვების პროცესში ვლინდება, რასაც ვერ ვიტყვით სააგენტოს მუშაობის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციაზე – ინფორმაციის გავრცელებაზე, რასაც მკაფიოდ გვაჩვენებს მათი „შეპირისპირებითი“ ანალიზი. საინფორმაციო სააგენტო ინფორმაციის მოსაპოვებლად სპეცსამსახურების მსგავსად, წარმატებით იყენებს დოკუმენტურ წყაროებს, ფოტო–ვიდეო და აუდიო ღია თუ ფარულ ჩანაწერებს; მასალის მოსაპოვებლად იყენებს დაკვირვებასა და გასაუბრების მეთოდებსა და მეთოდოლოგიას. ორივესტრუქტურას ჰგავს თავისი აგენტურული ქსელი, ოღონდ საინფორმაციო სააგენტოებში მათ საკორესპონდენტო ქსელს, ბიუროებს და ე.წ. სტრინგერებს უწოდებენ. ორივე ცდილობს ყველა სტრუქტურაში იყოლოს ფარული აგენტები (საინფორმაციო წყაროები), რომელთა ვინაობას საინფორმაციო სააგენტოს შემთხვევაში სასამართლოშიც კი არ ასახელებენ, ხოლო სპეცსამსახურების შემთხვევაში, უფლება არ აქვთ დაასახელონ. ორივე სტრუქტურა ფლობს გასაიდუმლოებულ აგენტურულ ქსელს, ფასიან აგენტებს (როცა

ინფორმაციის სანაცვლოდ გარკვეულ საფასურს იღებენ) და იდეურ აგენტებს (როცა ინფორმაციის წყარო იდეის, სინდისის, მენტალიტეტისა და მსოფლმხედველობის კარნახით მოქმედებს). ორივე სტრუქტურისთვის თანაბრად ძვირფასია ფასიანი თუ იდეური საინფორმაციო წყარო, რადგან მათი ინფორმირების გარეშე, საინფორმაციო სააგენტოს ვერ ექნება ექსკლუზიური და რეზონანს-სული თემები და შესაბამისად, ტყუპისცალივით დაემსგავსება მხოლოდ პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების ამარა დარჩენილ კონკურენტ სააგენტოებს. ეს კი ნიშნავს, რომ სააგენტო ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. სპეცსამსახურების შემთხვევაში, საკუთარი აგენტურული ქსელის გარეშე, სამსახური ვერ იქნება ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არსებული რეალური ვითარების საქმის კურსში, რამაც სახელმწიფოს უსაფრთხოება შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს. ორივე სტრუქტურის მუშაობის მეორე ეტაპზე იწყება პრინციპული განსხვავება მათ საქმიანობაში. საინფორმაციო სააგენტო, სპეცსამსახურისგან განსხვავებით, მედიასაშუალებაა და მის მთავარ ფუნქციას საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს. ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახური კი მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას გადამუშავების და გაანალიზების შემდეგ ან შემდგომი ოპერატიული მოქმედებისთვის იყენებს, ან რომელიმე გასაიდუმლოებულ საქადალდეში ინახავს გარკვეული დროით... ყველა შემთხვევაში, მის რეალიზებას მხოლოდ სახელმწიფო

პოლიტიკის გათვალისწინებით ახდენს.

გარდა ამისა, სპეცსამსახურებისა და სააგენტოების მსგავსება ნათლად იკვეთება ჟურნალისტური საქმიანობის ყოველდღიურობაში. ახალი ამბის მოპოვებისას მან უნდა შეძლოს მისთვის საინტერესო სფეროში ჩანერგვა, ახალი „ნიღბის“ მორგება, მეტის გასაგებად და დასანახად არ უნდა გაუჭირდეს საკუთარი სინდისის და ჩვევების საწინააღმდეგო მოჩვენებითი ნაბიჯის გადადგმა. ასეთ დროს ჩაწერის და გადაღების ყველა საშუალებაზე უარის თქმა და მხოლოდ საკუთარი მხედველობის და მეხსიერების ამოქმედება ჭრის; არ უნდა შეიმჩნიოს უხეშობა და არ აფრიალოს სამსახურეობრივი პირადობის მოწმობა, რომელიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ჟურნალისტის გაშიფრვის დროს, შეიძლება წარადგინოს. ჟურნალისტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის იმ „ექსპერიმენტის“ მონაწილეა, რომელმაც რთულად მოსაპოვებელი ახალი ამბავი უნდა გამოიტანოს ამა თუ სიტუაციიდან. ასეთ ვითარებაში უნდა ახსოვდეს, რომ არ გაამჟღავნოს თავი და გაშიფროს

პროფესიული ინტერესი. საინფორმაციო ჟანრის ჟურნალისტებისთვის ლ.ვასილევას გაცემული რეკომენდაციები მართლაც ძალიან ჰგავს მზვერავის სამსახურეობრივ საქმიანობას. იმისათვის, რომ ახალი ამბავი არ დაემსგავსოს ყველა სხვა სააგენტოს პროდუქტს და ორიგინალურად იყოს გადათამაშებული, არა თუ შეიძლება, აუცილებელია „ჩანერგვა“ სხვადასხვა ბიზნესში, რათა უტყუარი ფაქტებით გაიგოს რა არის საბაზრო მაფია, დააპიროს ბინის ყიდვა მაკლერების და უძრავი ქონების სააგენტოების მეშვეობით, რათა იქ არსებული აფერული სქემები გაამჟღავნოს. ამგვარი „ექსპერიმენტები“ სავალდებულოა, რათა ახალი ამბების „სამქრო“ ასცდეს ერთფეროვნებასა და ბანალურობას. ქართულ საინფორმაციო სააგენტოებს ამ მხრივ ნამდვილად დაეწუნებათ კრეატიულობა, რადგან მათი პროდუქტი ხშირად ერთი და იმავე შინაარსისაა და ყოველდღიური სიახლეების დღის წესრიგს მხოლოდ სახელმწიფო სამსახურები ან პოლიტიკური პარტიები ქმნიან.

Peculiarities characteristics of special forces and informational agencies

Ketevan Bokhua

PHD Doctorate of Georgian Technical Universty

Faculty of engeneergin economic,mediatechnology and science

The above-mentioned indicates that the principle of obtaining information in information agencies and special services processes is the same as in the first part of their activities, obtaining information, which we cannot say about the final stage of their integrity. They have one and the same product - information obtained by identical methods, but the realization forms are radically different and this difference also radically separates them in the main part of function.

**უმუშევრობა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი  
შემაფერხებელი ფაქტორი**

ნატო ჩიკვილაძე  
სტუ-ის პროფესორი.

ნინო ანანიაშვილი  
სტუ-ის დოქტორანტი  
ელ.ფოსტა: ananiashvili.nina@gmail.com  
ტელ.: 577507051

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა განისაზღვრება ეკონომიკური ზრდით. თავის მხრივ, ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი ბევრია, მაგალითად, წარმოება, მოსახლეობა, სამუშაო ადგილები ... და სწორედ, რომ უმუშევრობა არის ძირითადი ინდიკატორი, რომლის მაღალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ ნეგატიურ მდგომარეობასთან.

უმუშევარ ადამიანს, როგორც საზოგადოების ნაწილს, ასევე ცალკე მდგომ ინდივიდს, უჩნდება სოციალური პრობლემები, როდესაც მისი მოთხოვნები თანხვედრაში არაა მის შესაძლებლობებთან, იქმნება ფსიქოლოგიური პრობლემები, საზოგადოებაში გავლენის და ღირსების დაკარგვა თუ სტრესი, რასაც საბოლოოდ ჯანმრთელობის გაუარესებამდე მიყვავართ და ხშირ შემთხვევაში თვითმკვლელობასაც მიმართავენ. განქორწინების ერთ-ერთ მიზეზადაც სახელდება უმუშევრობა, რადგან ოჯახი ვერ უმკლავდება ფინანსურ პრობლემებს, ასევე კრიმინალის ზრდაც პირდაპირ კავშირშია სამუშაოს არქონასთან, და რაც ყველაზე საინტერესოა, იმის გამო, რომ ხალხს არ გააჩნია შემოსავალი, ისინი უარს აცხადებენ გარკვეულ მომსახურებაზე თუ პროდუქციაზე, რაც ზიანს აყენებს დასაქმებულ ადამიანს, რადგან მისი სამუშაოს მოთხოვნა მცირდება.

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა; დასაქმება; სამსახური; ეკონომიკური ზრდა; საზოგადოება.

უმუშევრობა პრობლემაა როგორც ცალკე ინდივიდის, ასევე საზოგადოებისა და სახელმწიფოსი, რადგან მისგან გამოწვეულ შედეგთან გამკლავება, როგორცაა ნარკომანია, სტრესი, კრიმინალი, სწორედ, რომ უმუშევრობას შორის, დაგვეხმარება საქართველოს უწევს გამკლავება, რაც დამატებით მატერიალურ რესურსს მოითხოვს. იმისთვის, რომ ზოგადი გრაფიკული სურათი მივიღოთ არსებულ სამუშაო ძალასა და უმუშევრობას შორის, დაგვეხმარება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

	2016	2015	2014	2013	2012
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	1998.3	2021.5	1991.1	2003.9	2029.1
დასაქმებული	1763.3	1779.9	1745.2	1712.1	1724.0
უმუშევარი	235.1	241.6	246.0	291.8	305.1
უმუშევრობის დონე, %	11.8	12.0	12.4	14.6	15.0

იმისთვის, რომ ყველა ქვეყანას ჰქონდეს უმუშევრობის თანაბარი შეფასების მაჩვენებელი, საერთაშორისო ორგანიზაციები შეთანხმდნენ მის განმარტებაზე. „საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია“-სა (International Organization of Labor – ILO) და „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“-ს (Organization for Economic Co-operation and Development – OECD) მიხედვით, უმუშევარია ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია სამუშაო, რომელიც მზადაა დაიწყოს მუშაობა და ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში ეძებს სამუშაოს ან მოეწყოს, მაგრამ ჯერ არ დაუწყია მუშაობა.

უმუშევრობის უარყოფითი გავლენა ნათლად ჩანს მოსახლეობაზე. კერძოდ, მიგრაცია იმატებს მიგრანტის იმ იმედით, რომ ქვეყნიდან გასული ადამიანი სხვა ქვეყანაში იშოვნის სამსახურს. საქართველო ემიგრაციის დონით მოწინავე ადგილას არის, რადგან ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაწყებული მიგრაცია დღემდე გრძელდება; ხოლო 2015 წლის მონაცემებით, რომელიც დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამოაქვეყნა, მსოფლიო 43 ქვეყანაში 2.847.621 ადამიანია ემიგრირებული.

გარდა იმისა, რომ სამუშაო ძალა გადის ქვეყნიდან, ემიგრაციის თანმდევი შედეგია იმიგრაცია, რაც გულისხმობს საშობლოში დაბრუნებულ პირებს. ცალკე პრობლემად ისახება მათი დასაქმება, ამიტომ, მათი უმრავლესობა ცხოვრობს დანაზოგით, რომელიც ჩამოიტანა უცხო ქვეყნიდან, ხოლო სეზონის დასასრულს კვლავ უბრუნდება უცხოეთს, მიზეზად კი ასახელებენ იმას, რომ საკუთარ ქვეყანაში გამომუშავების ნაკლები შესაძლებლობაა.

უმუშევრობის დონის ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს რეცესია, როდესაც ეკონომიკური აქტივობა იწყებს კლებას, რაც გულისხმობს, რომ საწარმო პროდუქციის მაჩვენებელი იკლებს, რის ხარჯზეც ხდება თანამშრომლების ხელფასების შემცირება ან მათი განთავისუფლება, პროდუქციაზე იწყება ფასების კლება, რათა დაგროვილი მარაგის გახარჯვა რაც შეიძლება მალე მოხდეს.

ლოგიკურია, რომ რეცესიის დასრულების შემდეგ იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა, თუმცა ეს პროცესი დროში ძალიან გაწელილია, რადგან ადამიანების განთავისუფლება სამუშაო ადგილად ბევრად უფრო მარტივი და სწრაფი პროცესია, ვიდრე მათი მოძიება და დასაქმება. ორგანიზაცია, რომელიც რეცესიის გამო განთავისუფლებს მუშა ხელს, რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ეცდებიან ალტერნატიული სამუშაოს

მოძებნას და არ დაელოდებიან უმუშევრად ფირმის მათ უკან გამოთხოვას, როგორც თანამშრომლის. ასეთ დროს, ორგანიზაცია იწყებს ახალი სამუშაო ძალის მოძებნას, გადარჩევას, აყვანას და გადამზადებას, რაც არც თუ ისე სწრაფი პროცესია. ხშირად, ფირმები გარკვეული დროით განაგრძობენ მცირე სამუშაო ძალით ფუნქციონირებას, რათა დარწმუნდნენ, რომ რეცესია ნამდვილად დასრულდა და არ არის სარისკო ახალი მუშა ხელის ანაზღაურებად შტატზე აყვანა, რასაც თავი მხრივ, მოჰყვება არსებულ შტატზე მომუშავე თანამშრომლების შრომის გაზრდა.

ეკონომიკური აღმავლობა, მიუხედავად იმისა, რომ დადებითი მოვლენაა, ზოგიერთი ფირმისთვის უარყოფით კონტექსტში გვევლინება, რადგან ხდება „ზედმეტი“ თანამშრომლების დაქირავება, რაც შეუძლებელია რეცესიის დროს, როდესაც ხელმძღვანელობა ერიდება ხარჯებს და ცდილობს, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს არსებული რესურსები.

- უმუშევრობის სამ ძირითად მიზეზს გამოყოფენ:
- სამსახურიდან განთავისუფლება;
  - ნებაყოფლობითი წამოსვლა სამუშაო ადგილიდან;
  - შრომის ბაზარზე პირველად გამოჩენა.

პირველი ორი მიზეზი ფრიქციულ უმუშევრობას მიეკუთვნება, როდესაც დასაქმებული ადამიანი ტოვებს სამსახურს ადმინისტრაციის ბრძანებით ან საკუთარი ნებით. ისინი განეკუთვნებიან იმ ადამიანების რიგს, რომლებიც ეძებენ ახალ სამსახურს, შესაფერისს მათ სოციალურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან. მოცემულობით, ახალი სამსახურის ძებნის პერიოდი არ უნდა იყოს გრძელვადიანი და მას ეწოდება ფრიქციული ანუ მიმდინარე, რადგან ეს მუდმივი პროცესია სხვადასხვა ადამიანებით მონაწილეობით.

გარდა ზემოთ ნახსენები ძირითადი მიზეზებისა, არსებობს დამატებითი ფაქტორებიც, რაც იწვევს უმუშევრობას:

- ახალი პროფესიების გამოჩენა, რაც საჭიროს აღარ ხდის ძველი უნარების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე მუშა ხელის დაქირავებას;
- ანაზღაურების დაბალი კოეფიციენტი, რომელიც დასასაქმებელ კანდიდატს უბიძგებს უარი თქვას ვაკანტურ ადგილზე, რაც საბოლოოდ იწვევს დასაქმებულთა მცირე რიცხვს და ხელს უწყობს უმუშევრობას;
- პროფესიული ინტერესების ცვლა, რაც მარტივად შესაძლებელია თანამედროვეობაში

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამო;

- სამუშაო ძალის ჩანაცვლება თანამედროვე ტექნიკით, როდესაც ადამიანურ რესურსს ანაცვლებს კომპიუტერული სისტემა;
- სეზონური უმუშევრობა, რაც დამახასიათებელია მაგ: მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში ...
- მოსახლეობის ზრდა, რაც პირდაპირპროპორციულია სამუშაო ადგილების შემცირებასთან;
- მინიმალური ხელფასის ინდექსის ზრდა იწვევს წარმოებისა და მიმოქცევის ზრდას, რაც ამცირებს სამუშაო ძალის მოთხოვნას;
- ახალი ეტაპები ადამიანის ცხოვრებაში: სწავლა, ოჯახი, გარემოს ცვლილება ...

როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას და მოსახლეობაც, თავის მხრივ, ნებაყოფლობით ტოვებს სამსახურს ან არ თანხმდება შემოთავაზებულ სამუშაო ადგილს. მთლიანობაში, უმუშევრობას აქვს უარყოფით გავლენას საზოგადოებაზე, როგორცაა სწავლების გაუფასურება, წარმოების შემცირება, ზოგიერთ ქვეყანაში უმუშევართა დახმარება, ცხოვრების დონის დავარდნა, შემოსავლების გადამხდელთა შემცირება, კრიმინალის ზრდა, სოციალური დამაბულობა, ფსიქო-სოციალური პრობლემების მატება, სამუშაო აქტივობის ვარდნა ... ყოველივე ჩამოთვლილი მიზეზი სახელმწიფოს დამატებითი ეკონომიკური რესურსის ხარჯებთანაა კავშირში დამოუკიდებელი მოსახლეობის რიცხვის უკუპროპორციულად.

დასკვნა

უმუშევრობა არის ორმხრივი პროცესი,

გამოყენებული ლიტერატურა:  
(ბოლოს გადამოწმებულია - 05.25.2019)

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>
2. „უმუშევრობა - ტვირთი, რომელიც ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს“  
<http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=397&lang=geo>
3. Unemployment Rate  
[https://www.ilo.org/ilostat-files/Documents/description\\_UR\\_EN.pdf](https://www.ilo.org/ilostat-files/Documents/description_UR_EN.pdf)
4. Labor Force Framework: Concepts, Definitions, Issues and Classifications  
[https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---americas/---ro-lima/---sro-port\\_of\\_spain/documents/presentation/wcms\\_304686.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---americas/---ro-lima/---sro-port_of_spain/documents/presentation/wcms_304686.pdf)
5. International Labor Organizations/O.E.C.D. definitions  
<https://www.oecd.org/statistics/data-collection/Population%20and%20Labour%20Force%20Definitions-Eng.pdf>
6. შრომა, შრომის საზოგადოება და სოციალური სახელმწიფო  
<http://european.ge/shroma-shromis-sazogadoeba-da-socialuri-saxelmtsipo-interviu-claus-o/>
7. უმუშევრობის პრობლემა  
<http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problema>
8. Безработица. Причины и виды безработицы. Последствия безработицы  
<http://www.ereport.ru/articles/macro/macro12.htm>



---

## Unemployment as a main barrier for economic development of the country

Chikviladze Nato  
Prof. of GTU,  
Ananiashvili Nino  
Ph.D. student of GTU,

The economic well-being of the country is determined by economic growth. On the other hand, there are many different factors that define economic development, such as manufacturing, population, jobs ... Unemployment is the main indicator, the high rate of which is directly related to the social and economic negative condition of the population.

Unemployed person as part of a community as well as a separate individual, has social problems when his or her requirements are not in harmony with possibilities one owns and overall it raises psychological complications, loss of influence and dignity in society and stress that leads to health problems and suicide. One of the reasons for divorce is unemployment because the family cannot cope with financial problems and the crime is directly related to the absence of work. Just because that people have no income they refuse to enjoy the services employed people are busy with and the consequence is that job demand is reduced.

Keywords: unemployment; employment; jobs; economic growth; society.

კომპანიების ანგარიშვალდებულება - ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი



თამარ გოდერძიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
დოქტორანტი  
ელ.ფოსტა: tamargo\_com@yahoo.com  
ტელ.: 599 58 88 60

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატიის მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ ანგარიშვალდებულები საწარმოების (კომპანიების) ინფორმაციული გახსნილობის ზეგავლენა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პროცესზე, ანგარიშვალდებულები საწარმოს ცნების ტრანსფორმაცია საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მათი შედეგები ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე; ასევე კომპანიათა ინფორმაციული გახსნილობის, როგორც კომპანიათა საიმედოობის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საბაზრო პრინციპებით ფუნქციონირებადი ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშემწყობის გარეშე, ამ ბაზრის განვითარება კი - ბაზრის მონაწილეების სიმრავლის, მრავალფეროვნების, მიმზიდველობისა და ტრანსფარენტულობის გარეშე ძნელად მიღწევადია.

საკვანძო სიტყვები: ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ანგარიშვალდებულები საწარმო, გამჭვირვალობა, კორპორაციული შესაბამისობა.

შესავალი

მაკროეკონომიკის ზრდა და განვითარება, ნებისმიერ ქვეყანაში, დამოკიდებულია კორპორაციული კაპიტალის ფუნქციონირებაზე, მსხვილი სამეწარმეო სუბიექტების შედარებით წვრილ სამეურნეო ერთეულებთან თანამშრომლობის ხარისხზე. დიდი, ხშირად ტრანსნაციონალურად ორგანიზებული კორპორაციები ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში ქმნიან სამეწარმეო სფეროთა შორის კაპიტალის თავისუფალი გადაადინების შესაძლებლობებს და აყალიბებენ ქვეყნისათვის განმსაზღვრელ ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმებს. ამიტომ კორპორაციების ფუნქციონირებისა და მართვის პრობლემების, კომპანიების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის, მათ შორის ინვესტორთათვის ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ფაქტორების შესწავლა ჩვენს ქვეყანაში უაღრესად აქტუალურია.

კომპანიის სანდოობისა და საინვესტიციოდ მიმზიდველობის განმაპირობებელი ფაქტორები

კორპორაციული მართვისა და ანგარიშვალდებულობის საკითხებისადმი ჯეროვანი ყურადღების დათმობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი წარმოადგენს შესაბამისი საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად ინვესტორთათვის ბიძგის მიმცემ ფაქტორს. მოწინავე გამოცდილების ქვეყნებში მსხვილი წარმატებული კომპანიები, როგორც წესი, თავიანთ ინტერნეტ-გვერდებზე და სხვა სარეკლამო გამოცემებში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ე.წ. კორპორაციული შესაბამისობის (Corporate Compliance) ველს ანუ იმ საზოგადოებრივ სემინტს, რომელსაც მოიაზრებენ თავიანთ პოტენციურ და რეალურ ინვესტორებად, კორპორაციები აცნობენ საკუთარი მოქმედების არეალში თავიანთ საქმიანობას. ამ თვალსაზრისით, კორპორაციები საკუთარ ეთიკის კოდექსთან ერთად საზოგადოების განსჯის საგანად ხდიან მათ დამოკიდებულებას ანტიკორუფციულ



პოლიტიკასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისადმი, სახელმწიფო პოლიტიკისა და საერთაშორისო ნორმებისადმი მხარდაჭერას და ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშს უდგენენ საზოგადოებას. ამგვარი პოლიტიკით კომპანიები დაინტერესებული პირების ყურადღებას ამახვილებენ კომპანიის კანონმორჩილებისა და სამართლიანობისაკენ სწრაფვაზე, მდგრად განვითარებაზე, რაც ინვესტორთა შორის ქმნის წარმოდგენას კომპანიაზე, როგორც საიმედო და მიმზიდველ ბიზნეს ერთეულზე.

კორპორაციული მართვის თავისებურებები უკავშირდება ამ სამეწარმეო ერთეულთა ჩამოყალიბების, განვითარების გენეზისს და მისი ადგილმდებარეობის ქვეყანაში არსებულ კულტურულ-ისტორიულ უნიკალურობას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კორპორაციული კაპიტალის ფუნქციონირების ხასიათი მკაფიოდ გვიჩვენებს სახელმწიფო, მისი ეკონომიკური პოლიტიკის, კორპორაციის მესაკუთრეებსა და მმართველ ჯგუფს შორის არსებულ ერთიანობას და წინააღმდეგობებსაც. კომპანიის მართვის პრინციპები პირდაპირ გამომდინარეობს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კომპანიის მესაკუთრეები ინტერესთა ურთიერთმეთანხმების ამოცანებიდან. ამიტომ მოცემულ ქვეყანაში კორპორაციული მართვის სისტემის სრულყოფას მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ქვეყანაში მიღებული ტრადიციები და ადამიანებს შორის საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებული პრაქტიკა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ხელისუფლების დამოკიდებულებას კორპორაციებთან, რადგან სახელმწიფოს მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა, სამართლებრივი სისტემა და მოსახლეობის საერთო განვითარების დონე დიდად განსაზღვრავს არა მარტო კორპორირებული კაპიტალის, არამედ, ყოველგვარი სამეწარმეო ერთეულის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

იმის გამო, რომ კორპორაციებში კონცენტრირებული, მრავალ მესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული კაპიტალის მართვა დამოკიდებული ხდება სხვადასხვა, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულ ინტერესებსა და ფაქტორებზე, კორპორაციული მართვა ხდება რთული და მრავალმხრივი პროცესი. შესაბამისად, ასეთი სირთულიდან გამომდინარე კორპორაციის მართვის სისტემის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული გაგება დღეისათვის მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს. გაეროსა

და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემა კორპორაციულ საწარმოებს განიხილავს, როგორც გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული სამეწარმეო ერთეულს, როგორც ერთი მიზნით ასოცირებული ადამიანების გაერთიანებული კაპიტალის ფუნქციონალურ ფორმას, სადაც მესაკუთრეთა სიმრავლის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო ერთეული გამოდის ბაზარზე, როგორც იურიდიული სუბიექტი, ერთიანი ფინანსური და სამეწარმეო მენეჯმენტით. იგი ერთგვარი „ინკორპორე“ პერსონაა, რომლიც საკუთარი სახელით, - მაგრამ მრავალი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, - ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

კომპანიათა ანგარიშვალდებულების გავლენა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე

კორპორაციული კაპიტალის განვითარებისა და თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკაში კორპორაციების მნიშვნელობის ზრდის მთავარ სტიმულატორს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომლის განვითარების გარეშეც საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული ეკონომიკა წარმოდგენილი გახდა. ამასთან, კორპორაციათა საქმიანობის ამსახველი ინფორმაციის გახსნილობა, გამჭვირვალობა, ტრანსპარენტულობა (transparency) და ანგარიშვალდებულება სწორედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობით არის ხოლმე დადგენილი, რადგან სწორედ ფასიანი ქაღალდების მეშვეობით ხდება ინვესტორების მიერ კორპორაციული კაპიტალის მართვაში მონაწილეობა.

როდესაც ინვესტორი იწყებს თავისი კაპიტალის დაბანდების სივრცის ძიებას, იგი ეძებს მისთვის მისაღებ და ცხად სამეწარმეო სივრცეს. საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად ინვესტორს ესაჭიროება მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი კომპანია როგორი შედეგებით ამთავრებს სამეურნეო წელს, შესაბამისად, ფინანსური შედეგებითა და სამომავლო პერსპექტივებით რომელი კომპანიაა მიმზიდველი საინვესტიციოდ. ასეთ ინფორმაციას კი ყველაზე ზუსტად იძლევა ფასიანი ქაღალდების ბაზარი. აქციების ფასების ცვლილებები ბაზარზე იწვევს ინვესტორთა მყისიერ რეაქციას და მათი კაპიტალის გადინებას უფრო მომგებიან სამეურნეო ერთეულებში. ამ საკითხებზე ბევრმა სპეციალისტმა იმსჯელა, მაგრამ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფორმაციულობის

ამსახველ მაჩვენებლებზე უკეთესი, უფრო გასაგები და სანდო ინფორმაციული საშუალებები ჯერ-ჯერობით შექმნილი არ არის. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სადაც განვითარებულია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, იქ კორპორაციებს საინვესტიციო პრობლემები არ უჩნდებათ და განვითარების ფინანსურ პრობლემებს შედარებით იოლად წყვეტენ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება კორპორაციათა აქტივობის შედეგობრივი მახასიათებელია. კორპორაცია ფასიანი ქაღალდების მეშვეობით იზიდავს დამატებით საჭირო კაპიტალს და შესაბამისად, ვალდებულია ინვესტირებს, მომავალ აქციონერებს, მის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების მყიდველებს სრულად, ზუსტად და უტყუარად მიაწოდოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, ინფორმაციის გახსნილობა კორპორაციებისათვის მეტად მნიშვნელოვანია და მისი ფინანსური მენეჯმენტის ნაწილია. ფასიანი ქაღალდების ბაზარი კი ამ შემთხვევაში ის ინდიკატორია, რომელიც ინფორმაციის საიმედოებასა და კომპანიასთან თანამშრომლობის მიმზიდველობას განსაზღვრავს.

საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გავლენა ინფორმაციის გახსნილობაზე

საქართველოში კომპანიათა მომგებიანობასა და ფინანსურ მდგრადობასთან ერთად, აქტუალობას იძენს კომპანიათა ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის საკითხები, რადგან ისინი უზრუნველყოფს აქციონერთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. ამ უკანასკნელს კი დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიათა საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისა და მთლიანად, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვისათვის. ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, საქართველომ უნდა უზრუნველყოს კორპორაციული მართვის პრინციპების, კომპანიათა ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის პროცედურების დაახლოება ევროკავშირის მიდგომებთან.

სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში არსებული სამეწარმეო ურთიერთობებში ჯერ კიდევ არასათანადოდაა დანერგილი და დამკვიდრებული კორპორაციული შესაბამისობა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, მთელ რიგ კომპანიებში კვლავ დაბალია კორპორაციული

მართვის კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ „კაპიტალის ბაზრის რეფორმის“ ფარგლებში, მოწინავე ქვეყნებიდან მოწვეული ექსპერტების დახმარებით, ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლოს სამეწარმეო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობაში ასახული იქნა რიგი მოთხოვნებისა, რომლითაც კორპორაციული მართვის საკითხებისადმი, ანგარიშგებისა და ინფორმაციის განსაჯაროებისადმი ყურადღება იქნა გამახვილებული, თუმცა ბოლო ათწლეულში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში - „კანონი“) შეტანილი ცვლილებების შედეგად, სააქციო საზოგადოებათა საქმიანობის გამჭვირვალობის მაჩვენებლები გაუმჯობესებისა და ზრდის ნაცვლად შემცირდა. ასე, მაგალითად, თუკი ქვეყანაში 1999 წლისათვის დაახლოებით 2000-მდე სააქციო საზოგადოება იყო რეგისტრირებული, კანონის საწყისი (28.12.1998წ.) რედაქციით განსაზღვრული კრიტერიუმებით „ანგარიშვალდებულ საწარმოდ“ მიჩნეული 500-მდე საწარმოდან საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული იქნა 248 საწარმო, რაც განაპირობებდა, რომ მათ უნდა უზრუნველყოთ კომპანიის წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშების, ასევე მათი მმართველი ორგანოს ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ, ხოლო აქციონერების მიერ - მნიშვნელოვანი შენაძენის (აქციათა 5 და მეტი პროცენტის) შეტყობინების მომზადება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადებში წარდგენა/განსაჯაროება. მოგვიანებით (2003წ) კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ანგარიშვალდებულად ჩაითვალა სააქციო საზოგადოებად რეგისტრირებული ყველა (დაახლოებით 2000-დან 2200-მდე) კომპანია. აღნიშნულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაართულა როგორც კომპანიათა, ისე ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს მდგომარეობა, რადგან ერთი მხრივ, გაკოტრების პირას მისული კომპანიებს მოეთხოვებოდათ საანგარიშგებო მოთხოვნის დაცვა, რაც დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული და დამატებით ტვირთად აწებოდა უფუნქციოდ დარჩენილ კომპანიებს, მეორე მხრივ, საზედამხედველო-მარეგულირებელი ორგანო ვალდებული იყო საანგარიშგებო მოთხოვნების დარღვევაზე მოეხდინა რეაგირება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესით, რაც ასევე სირთულეს წარმოადგენდა უფუნქციოდ დარჩენილი კომპანიების პირობებში. აღნიშნული



ცვლილებების მომდევნო ეტაპზე (2007 წ. და შემდგომ წლებში) „ლიბერალიზაციის“ ეგიდით კანონში შეტანილი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებებიდან არსებითი ცვლილებები შეეხო „ანგარიშვალდებული საწარმოს“ დეფინიციასაც, რის შედეგადაც ანგარიშვალდებულების სურათმა შემდეგი სახე მიიღო: 2014 წელს, ადრე სააქციო საზოგადოებად რეგისტრირებულთაგან 675 აქტიური სააქციო საზოგადოებიდან მხოლოდ 258 ექცეოდა „ანგარიშვალდებული საწარმო“ კატეგორიაში, რომელთაგან 207 სარგებლობდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული გამონაკლისით, რაც მათ ათავისუფლებდა საანგარიშგებო მოთხოვნებისგან და შედეგად, მხოლოდ 51 სააქციო საზოგადოება ახდენდა წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშების წარდგენა-განსაჯაროებას<sup>1</sup>.

ცხადია, „ანგარიშვალდებულების“ ამგვარად დავიწროებული წრე, კომპანიის ტრანსპარენტულობისაგან თავის არიდების შესაძლებლობა, საქმიანობის ამსახველი ინფორმაციის განსაჯაროებისაგან თავის დაღწევა და ინფორმაციის გამჭვირვალობის არასახარბიელო მასშტაბები უარყოფით გავლენას ახდენს როგორც თვით ამ კომპანიათა იმიჯზე, ისე ამგვარი კომპანიებით ინვესტორთა ჯანსაღ დაინტერესებაზე, რაც უარყოფითად აისახება ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზეც.

როგორც ცნობილია, ამგვარი გარემო და რეგულაციები ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოტანილ იქნეს აუდიტორული კომპანიის PricewaterhouseCoopers (PwC) 2007 წელს კომპანიებში ჩატარებული კვლევა ეკონომიკური დანაშაულის შესახებ, რომლის ფარგლებშიც გამოკითხული იქნა 5428 კომპანია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. გამოკითხვით დადგინდა, რომ მსოფლიოს მასშტაბით კომპანიების 43% ადასტურებდა 2005-2006 წლის განმავლობაში მინიმუმ ერთი ინდუსტრიული და ეკონომიკური შპიონაჟის, კორუფციისა და მოსყიდვის, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაჟონვის ან სხვა მსგავსი შემთხვევის არსებობას<sup>2</sup>. ამავე კვლევაში მოყვანილი შეფასებით, 2005-2006 წლებში ეკონომიკური დანაშაულით გერმანული ეკონომიკისათვის მიყენებული დათვლადი ზარალი წელიწადში 6,05 მილიარდ ევროს შეადგენდა<sup>3</sup>. ახლო წარსულის ცნობილი „ეკონომიკური სკანდალების“ შემდეგ (მაგ., აშშ-ში: ENRON, WorldCom, გერმანიაში Sie-

mens და სხვ.), როდესაც ცალკეული მმართველი პირების კანონშეუსაბამო ქმედება დრამატულად აისახა კომპანიების ფინანსურ მდგომარეობასა და პერსპექტივაზე, ნათლად გამოჩნდა არსებული ხარვეზები და მკვეთრად გაიზარდა ნდობის დეფიციტი.

საკითხის აქტუალობა განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე პირობებში, რადგან კომპანიებში გამართული, სრულფასოვანი კორპორაციული მართვა, კომპანიის ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის სათანადო ხარისხი მათი წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი ხდება. ფაქტობრივად, აღნიშნულზე და მოკიდებული ის, თუ როგორი იქნება სააქციო საზოგადოებებში კორპორაციული მართვის პრინციპების სპეციფიკა. კომპანიათა ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის მიღწეული ხარისხი ინვესტორს წარმოადგენს უქმნის კომპანიაში კორპორაციული მართვის მდგომარეობაზე, ამ უკანასკნელზე დამყარებული შეფასებები კი ზრდის ობიექტიურობას და მიუკერძოებლობას გადაწყვეტილებათა მიღებისას. ამასთან, ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი, როგორც კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობის საფუძველი, ხელს უწყობს კომპანიის საიმედოობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

დასკვნა

ანგარიშვალდებულების და საანგარიშგებო მოთხოვნების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შეიზღუდა საწარმოები, რომელთაც მოეთხოვებოდა ანგარიშების განსაჯაროება დადგენილი წესით. ამგვარი ცვლილებები კი უარყოფითად აისახება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რაც აღინიშნა კიდევ კაპიტალის ბაზრის კვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებულ „საქართველოს კაპიტალის ბაზრის დიაგნოსტიკური შესწავლის“<sup>1</sup> შედეგებში. სამუშაო ჯგუფის შეფასებები მნიშვნელოვანი, რიგ შემთხვევაში კი საგანგაშო და ყურადსაღებია. მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის ფრაგმენტის გაჟღერებაც კი საკმარისია არსებული სისტემური პრობლემების წარმოსაჩენად. მაგ.:

„22. 2007 წლის ცვლილებებმა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში ასევე მნიშვნელოვნად შეამცირა იმ სააქციო საზოგადოებების რაოდენობა, რომელთაც მოეთხოვებოდათ ანგარიშგებების წარდგენა

საჯაროდ. “ანგარიშვალდებული საწარმოს” განმარტების მდგენელი - “ნებისმიერი ემიტენტი, რომელსაც ყავს 100-ზე მეტი აქციონერი” - ამოღებულ იქნა განმარტებიდან. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეასუსტა ინვესტორთა დაცვის ასპექტები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში....“

პრობლემის დაძლევის გზები

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და დროულად მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს

კომპანიებში კორპორაციული პასუხისმგებლობის ამაღლებას, კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვასა და დაცვას, ანგარიშვალდებულების პრინციპის ფართოდ დამკვიდრებას, რაც კომპანიების მიმართ ნდობის ამაღლების, საინვესტიციოდ მათი მიმზიდველობის გაზრდის, კაპიტალის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის, ბაზარზე სამართლიანი ვაჭრობის წესების დამკვიდრების, ინვესტორთა ინტერესების დაცვისა და შედეგად, ეროვნული ბაზრის ფასიანი ქაღალდების გლობალური ბაზრის მსოფლიო ცენტრებთან ორგანული ინტეგრირებისკენ იქნება მიმართული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს კაპიტალის ბაზრის დიაგნოსტიკური შესწავლა და რეკომენდაციები“, კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი. ტექნიკური მხარდაჭერის N8716 პროექტის „შიდა რესურსების მობილიზების გაუმჯობესება“ ფარგლებში განხორციელებული საქართველოს კაპიტალის ბაზრის დიაგნოსტიკა. [http://www.economy.ge/uploads/meniu\\_publicaciebi/ouer/CMWG\\_Diagnostic\\_Report\\_12\\_May\\_2015.\\_GEO.pdf](http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/CMWG_Diagnostic_Report_12_May_2015._GEO.pdf)
2. PwC-Studie 2007, ილუსტრ. 1.1.b.
3. PwC-Studie 2007, გვ. 19
4. PwC 2013, გვ.26
5. Ames, Glenn J. The Globe Encompassed: The Age of European Discovery, 1500-1700. Pearson Prentice Hall, 2008.
6. Blussé, L. et al., eds. The Deshima Dagregisters: Their Original Tables of Content. Leiden, 1995-2001.
7. „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში, 14 მარტი, 2013 - ვრცლად <http://forbes.ge/news/149/korporaciuli-socialuri-pasuxismgebloba-saqarTveloSi>
8. ვრცლად Strothmeyer 2010
9. Strothmeyer 2010, გვ. 15

Accountability of Companies - a Factor Contributing to The Development of Securities Market

Tamar Goderdzishvili

Doctorate of Georgian Technical Universty

The aim of the article is to briefly analyze the effectiveness of information openness of accountable enterprises (companies) on the development of securities market, the transformation of the statement of the accountable enterprise at various stages of Georgia’s securities market development, their results on information opening and on securities market structure; The company’s openness - as the factor of promoting as the growth of companies’ reliability and attracting investments and development the securities market. It is important to draw attention to this issue as the development of a functioning economy with market principles is unimaginable without promoting the development of securities market, and this market development is hardly achieved without the abundance of market participants, without an attractiveness, diversity and transparency.

Keywords: Securities Market, Reporting Company, Transparency, Corporate Governance.



## ორიგინალური ისტორიით გამორჩეული ქართული საინფორმაციო სააგენტოები



ქეთევან ბოხუა  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო  
ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი  
Email: keti.bokhua@yahoo.com

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

„ინფო 9“ ჯერჯერობით ერთადერთი საინფორმაციო სააგენტოა, რომელმაც თავისი არსებობის პირველ, პოლიტიკურ ნაწილში იმდენი თანამშრომლითა და ფინანსური რესურსით იმუშავა, რაც წლების მანძილზე ათეულობით ტიპურ ქართულ საინფორმაციო სააგენტოს ფინანსურ უზრუნველყოფას ეყოფოდა. „ინფო 9“ ერთადერთი საინფორმაციო სააგენტო იყო, რომელიც დეკლარირებული, კონკრეტული პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და ამდენად, გარკვეული ვადით შეიქმნა. მასშტაბური და შთამბეჭდავი გამოდგა მიზნები და ამოცანები, რომლის შესრულებაც მას მოუხდა. ეს იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ ირგვლივ შექმნილი საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევა და ქართული საზოგადოებისა და უცხოური დაინტერესებული წრეებისთვის წინა ხელისუფლების რეალური სახის ჩვენება. სააგენტომ, რამდენიმე მედიასაშუალებასთან ერთად შეძლო იმ „მოკადრებული საინფორმაციო წრის“ გარღვევა, რომელიც წინა ხელისუფლებამ ცნობილი „ალისტრახო როზვადის საინფორმაციო ჯგუფის“, „რეალტივისა“ და წინა ხელისუფლების მიერ სხვა კარგად ორგანიზებული მედიასაშუალებების („რუსთავი 2“, ტელეკომპანია „ალანია“, ვებპორტალი „დრონიჯი“ და სხვა.) სახით შექმნა. „ინფო 9“ – ის მაგალითზე ცხადი ხდება, თუ როგორი ხანმოკლე და ეპიზოდური შეიძლება გამოდგეს პოლიტიკურ მიზნებზე მიბმული, გაცხადებული თუ ფარული, მცირე თუ გრანდიოზული პოლიტიკური ინტერესების სამსახურში ჩამდგარი მედიასაშუალების სიცოცხლის ხანგრძლივობა. სააგენტო „ინფო 9“-ის საქმიანობის ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ პოლიტიკურ და პარტოკრატულ კონიუნქტურაზე აგებული ნებისმიერი მედიასაშუალების საქმიანობა კონიუნქტურის ამოწურვისთანავე სრულდება.

რაც შეეხება „სპუტნიკ-საქართველო“-ს, ის პირველი მედიაპროექტია, რომელსაც რუსული მედია თავისუფალ საქართველოში ოფიციალურად ახორციელებს.

„გარდიანის“ მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მისი სახით ცნობილი უცხოური ბრენდის სახელწოდებით მოკლევადიანი, მაგრამ მაინც მარკეტინგული ხრიკის განხორციელება, ჯერჯერობით პირველი შემთხვევაა ქართულ მედიაბაზარზე. საგულისხმოა, რომ ქართულ მედიაბაზარზე ცნობილი ბრიტანული ბრენდით პირველად გათამაშებული მოკლევადიანი მარკეტინგული ხერხი ფეხბედნიერი და სასარგებლო გამოდგა ქართული სააგენტოსთვის. დღეს მისი პროფესიული განვითარების ტენდენცია და ტემპები იმედის მომცემია და სააგენტო გაფართოების შემთხვევაში, არა მარტო შეინარჩუნებს მეორე ჯგუფის საპატიო სტატუსს, არამედ პირველი ჯგუფის სააგენტოთა რიცხვსაც შეუერთდება.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ს ([www.info9.ge](http://www.info9.ge)) სხვა სააგენტოებისგან განსხვავებული და ყველაზე ორიგინალური ისტორია აქვს. იგი 2012 წლის მაისში ბიძინა ივანიშვილის ოჯახმა დაარსა. მისი ოფიციალური სახელწოდება იყო „მე-9 არხი ინფო“. ოფიციალური მისამართი კი - „tv-მეცხრე არხი“. თავდაპირველად „ინფო9“-ის ვებპორტალი შეიქმნა, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ობიექტური გაშუქებისთვის 6 თვიან

პროექტად იყო ჩაფიქრებული. დაუფარავი პოლიტიკური მიზნებით, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით და ივანიშვილის ოჯახის დაფინანსებით დაარსებული სააგენტო „ინფო 9“ განსაკუთრებული აქტიურობით რეგიონებში გამოირჩეოდა. ქართული საინფორმაციო სივრცისთვის უჩვეულო იყო სააგენტოს სტრუქტურა, მასშტაბები და მუშაობის

მანამდე არარსებული ოპერატიული სტილი. თავდაპირველად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საკორესპონდენტო პუნქტები შეიქმნა, მოგვიანებით – დედაქალაქის. სააგენტოში 250-დე ჯგუფი მუშაობდა. თითო ჯგუფში შედიოდა: კორესპონდენტი, ოპერატორი და მძღოლი, რომლებიც სააგენტოს სლოგანის „სიტყვის თავისუფლება – ჩვენი უფლება“, წარწერებიანი მაისურებით გადაადგილდებოდნენ. ყველა რეგიონულ ოფისს ჰქონდა სამონტაჟო ტექნიკა, საიდანაც მოპოვებული ვიდეო-მასალა თბილისის ოფისში იგზავნებოდა დასამონტაჟებლად და ვებგვერდზე ასატვირთად. რეგიონებში მოპოვებული მასალების გარდა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას და რეგიონის სოციალურ მდგომარეობას ასახავდა, „ინფო 9“-ის საიტზე პირდაპირი ეთერით – „ლაივსტრიმით“ გადიოდა „ქართული ოცნების“ აქციები, წინასწარჩევნო მიტინგები და შეხვედრები მოსახლეობასთან. სააგენტოს მასალებს, ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გარდა, აქტიურად იყენებდნენ ქვეყნის სხვა ტელეკომპანიები, სააგენტოები და უცხოური მედიასაშუალებები.

არჩევნების შემდეგ, 2012წ. ოქტომბრიდან, რეგიონებში თანდათან შემცირდა სამუშაო ჯგუფების რაოდენობა და გაძლიერება იწყო თბილისის ჯგუფებმა. ამ პერიოდს ემთხვევა ვებპორტალის გარდაქმნა ტიპურ საინფორმაციო სააგენტოდ, რომელმაც ძველი მფლობელის ხელში მხოლოდ თვენახევარი იარსება.

არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, საარჩევნო კამპანიის კონცეფციით შექმნილმა „ინფო 9“-მ პირნათლად ამოწურა თავისი თავდაპირველი ფუნქცია და თანდათან პრემიერ ივანიშვილისთვის უხერხულობის მომტანი ხდებოდა. შესაბამისად, „tv მე-9არხის“ მსგავსად სააგენტოსაც დახურვა დაემუქრა, თუმცა სააგენტოს 5 კაციაანმა მენეჯმენტმა დამფუძნებლებს სააგენტოს ლოგოს, მცირე მატერიალური ბაზისა და არქივის გამოყენების უფლების თხოვნით მიმართა. მათი თხოვნა დაკმაყოფილდა და 2013 წლის შემოდგომაზე სააგენტოს ხუთმა თანამშრომელმა დაარეგისტრირა საინფორმაციო სააგენტო „ინფო9“, რომელიც უსახსრობის გამო ძლივს ამუშავებდა ვებგვერს და ძველი დიდებიდან მხოლოდ სახელწოდება ჰქონდა შერჩენილი.

2014 წელს სააგენტო გაიყიდა. დღეს „ინფო9“ აღარ არის გამოკვეთილად ვინმეს ან რომელიმე პოლი-ტიკური ძალის ინტერესების გამტარებელი,

იგი თანაბარი ინტერესით, მაგრამ მნიშვნელოვნად ნაკლები ოპერატიულობით აშუქებს როგორც ხელი-სუფ-ლების, ისე ოპოზიციური ძალებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველ ახალ ამბებს. თავისი პროფესიონალიზმითა და ოპერატიულობით იგი მართალია, ვერ იკავებს მოწინავე პოზიციებს, მაგრამ ვებგვერდით, მცირერიცხოვანი ჟურნალისტებითა და შეს-რუ-ლებული სამუშაოს მოცულობით, იგი ქართული საინფორმაციო სააგენტოების „ახალი თაობის“ საშუალო რიგის ჯგუფს მიეკუთვნება.

ვებგვერდის რებრენდინგის შემდეგ აირია ძველი ლინ-კები და მდიდარი საარქივო მასალა ვეღარ იძებნება. ზოგიერთი მხოლოდ „იუთუბზე“ – ([www.youtube.com](http://www.youtube.com)) შეიძლება იყოს შემორჩენილი.

სკანდალური ბედი ხვდა წილად ასევე ქართული სააგენტოების „ახალი თაობის“ საშუალო – მეორე ჯგუფის საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკ-საქართველოს“ ([www.sputnik-georgia.com](http://www.sputnik-georgia.com)). იგი რუსული საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „რამა თუდეის“ პროექტია და მას „რამა თუდეის“ დაკვეთით, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსჯორჯია“ 2014 წლიდან ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსული პროექტი ქართული სააგენტოს მიერ ხორციელდება, პროექტის რუსულმა წარმომავლობამ საზოგადოებაში იმდენად არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რომ ამავე სააგენტოს რადიო, მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე თვეში დაიხურა. სკანდალი, რუსული მედიის საქართველოში შემოსვლამ და „რბილი ძალის“ სახით რუსული პროპაგანდის გაშლის საშიშროებამ განაპირობა. „სპუტნიკ-საქართველოს“ ახალი ამბების ვებგვერდი ყოველდღიური ახალი ამბების გვერდით აქვეყნებს ინტერვიუს, ნარკვევებსა და ანალიტიკურ მასალას. როგორც ანალიზმა აჩვენა, სააგენტოს ახალი ამბები დღემდე ქართული საზოგადოებისთვის საჭირობოტო და სასარგებლო თემატიკით არის დატვირთული და პრორუსული პროპაგანდა ჯერჯერობით არ შეინიშნება. პროექტი „სპუტნიკი“ მსოფლიოს 72 ქვეყანაში, მათ შორის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ხორციელდება.

2014 წელს დაარსებული ქართული საინფორმაციო სააგენტო „გარდიანი“ – ([www.guardian.ge](http://www.guardian.ge)) ცნობილი ბრიტანული მედიაბრენდის – ჟურნალ „the guardian“-ის მოსახელეა. თავდაპირველად მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ

საქართველოში ცნობილი ბრიტანული ბრენდის ქართული სამსახური, ან შვილობილი ორგანიზაცია შეიქმნა სააგენტოს სახით. რეალურად, მას საერთო არაფერი აქვს ბრიტანულ ჟურნალ „გარდიანთან“. სახელწოდების მსგავსება მოდის სიტყვიდან „მეურვე“, რაც ინგლისურად „გარდიანს“ ნიშნავს. საინფორმაციო სააგენტო „გარდიანი“ ქართულმა შპს „მეურვემ“ დააფუძნა. „მეურვეს“ დამფუძნებლებმა კარგად იცოდნენ ცნობილი ბრენდის არსებობა და არ არის გამორიცხული, ცნობილ და გავლენიან ჟურნალთან სახელის დამთხვევა, ერთგვარი პროფესიული ხრიკი იყოს მომხმარებლის ყურადღების მისაქცევად. ამ

ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ დაარსებიდან ერთი წლის მანძილზე სააგენტო მხოლოდ უცხოურ სიახლეებს აქვეყნებდა. 2015 წლიდან „გარდიანმა“ საინფორმაციო სააგენტოს ყოველდღიური, ტრადიციული საინფორმაციო ფორმატით განაგრძო მუშაობა. სააგენტოს 8 კაციანმა გუნდმა უხმაუროდ იპოვა თავისი ადგილი ადგილობრივ მედიაბაზარზე და დღეს „გარდიანი“ საინფორმაციო სააგენტოების „ახალი თაობის“ საშუალო ჯგუფს მიეკუთვნება. მისთვის მთავარია სააგენტოს ინფორმაციის სანდოობა არავისში იწვევდეს ეჭვს და დაცული იყოს რესპონდენტი მცდარი ახალი ამბისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართული საინფორმაციო სააგენტოების პირადი არქივი.

Georgian informational agencies well known with it's smart history

Ketevan Bokhua

PHD Doctorate of Georgian Technical Universty


Faculty of engeneerign economic,mediatechnology and science

“Info9” is the only agency yet, which worked via many employees and financial resources in the first part of its existence - in political part, that would be enough for dozens of typical Georgian information agencies, to be provided with financial resources for several years. “Info9” was the only information agency, which had been created for implementation of avowed, specific political goals, for specific period of time. Goals and tasks, which it had performed, were great and impressive. It was frustration, which breached information vacuum around the coalition “Georgian Dream” and showed real face of the previous government to Georgian society and foreign societies interested in this case. The agency, with several media channels managed to breach that “fascinated information circle”, which was created by the previous authority via famous “Alistrakho Rokhvadze information group”, “RealTV” and other media channels (“Rustavi2”, TV-company “Alania”, web-portal “Droni.ge”, etc.), organized by the previous authority. The case of “Info9” showed how short and episodic may be the duration of existence of media channels, which serve to open or secret, small or great political interests. Activity analysis of “Info9” brightly revealed, that activity of any media channel, which is based on political and party-oriented conjuncture, ends immediately after the conjuncture is exhausted.

And “Sputnik-Georgia” is the first media-project, which is run by Russian media in Georgia, officially.

The example of “Guardian” let’s us say that is the first case of foreign and famous brand, implementing short and marketing trick in Georgian media market yet. It is salient, that short-term marketing trick, made via famous British brand in Georgian media market, became lucky and useful for Georgian agency. Nowadays tendency and speed of its professional development is hopeful and in case of its widening, the agency will be able to maintain honorable status of the second group, as well as becomes the agency of the first group.

DCFTA-ს ეფექტები - ანალიზი და პერსპექტივები



ნათია სურმანიძე  
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი  
ტელ: 571138338  
Mail: natias308@gmail.com

ანოტაცია

საქართველო ევროპის სრულუფლებიანი ნაწილია და მან თავისი გეზი ევროპასთან ღრმა ინტეგრაციაზე ჯერ კიდევ სულხან-საბას დროს აიღო, თუ უფრო ადრე არა. ამჟამად ეს პროცესები გარკვეულ ფასაზიამესული, კერძოდ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და ვიზალიბერალიზაცია, არის ამ ეპოქის დიდი მონაპოვარი ქართველტათვის და ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე ეს პროცესები ევროკავშირში ინტეგრაციით დაგვირგვინდება. ვაჭრობის სფერო ჩვენის აზრით არის მნიშვნელოვანი საზომი ერთეული, იმისა თუ რამდენად ჯანსაღად მიმდინარეობს ინტეგრაციული პროცესები და ამ სფეროს სტატისტიკური თუ შეფასებითი ანალიზის საფუძველზე შეგვძლია ობიექტური სურათის დანახვა, რომ გავერკვეთ საკუთარ პერსპექტივებში. ევროკავშირთან დაახლოება ქართველ მეწარმეებს მეტ პერსპექტივებს ჰპირდება, რადგან ყველა ის სიკეთე, რაც ევროკავშირის ბაზარზე გასვლას თან ახლავს. ევროკავშირის ბაზარი თუ გაიხსნა ბარიერულად საქონელმიმოცვლის გზით, სტანდარტების კუთხით შეზღუდულია და მოითხოვს ხარისხის და წარმოების პროცესის უმაღლეს დონეს, რაც მეწარმეებს აიძულებს მაღალტექნოლოგიური წარმოების პროცესის განხორციელებას.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, სავაჭრო კავშირი, ევროპის ბაზარი, ვიზალიბერალიზაცია


შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ღმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შემდგომ არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა, მაინც მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ მის ეფექტებსა და პერსპექტივებს. ამ პროცესის შესწავლა მნიშვნელოვანია ორი მიმართულებით პირველი ის თუ რა ეფექტი მოგვცა აღნიშნულმა შეთანხმებამ იმ კონკრეტულ ექსპორტიორებზე, რომელთაც 2014 წლამდეც ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირის ქვეყნებთან და მეორე ის თუ რომელია ის პროდუქტები, რომელთა წარმოება გაიზარდა და მოდერნიზდა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

სავაჭრო ბარიერების გაუქმების სიკეთეები. ქართული ღვინის კომპანიები გავიდნენ ევროპის ბაზრებზე. ღვინო ის პროდუქტია, რომელიც GPS+ დაბეგვრის სისტემით არ სარგებლობდა და მასზე ხორციელდებოდა რაოდენობრივი კონტროლი (1 მლნ ბოთლი წლიურად, დანარჩენზე სტანდარტული ტარიფი მოქმედებს). ნულოვანი ტარიფის ამოქმედებისთანავე ღვინის კომპანიების შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც პირდაპირპროპორციულია ევროკავშირის ბაზარზე ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდასთან. ღვინის ეროვნულ სააგენტოზე დაყრდნობით ქართული ღვინის ძირითადი ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან ხორციელდება ბალტიისპირეთში და პოლონეთში, ასევე ბრიტანეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში. ბუნებრივია რეალურია, რომ გაყიდვების უმეტესობა მოდის პოსტ-საბჭოთა სივრცეზე, მინიმუმ ცნობადობის კუთხით, თუმცა ქართველი მეღვინეები თავდაუზოგავად შრომობენ, რომ უფრო მეტად მოახერხონ ევროკავშირის ბაზრის ათვისება და იქ დამკვიდრება.

ქართული პროდუქცია ევროპის დახლებზე პირველ რიგში თუნდაც ქვეყნის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ღვინის ბაზარს შეეტყო ყველაზე თვალნათლივ






წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

2015 წელი გამონაკლისია რადგან ამ პერიოდში რუსეთსა და უკრაინის ბაზრებზე კრიზისი იყო და სწორედ ამიტომ მკვეთრად შემცირდა ექსპორტი, რადგან როგორც ვთქვით ძირითად ექსპორტიორს მაინც დსთ-ს ქვეყნები წარმოადგენენ.

მომდევნო პროდუქტი არის თხილი და ძალზეც საინტერესოა მისი ბაზრის შესწავლა. გამომდინარე იქედან, რომ წარსულში თხილის ფასი საკმაოდ დაბალი იყო, ევროპის ბაზართან შედარებით. ქარული თხილი იმ პირობებში, როგორშიც წინათ ხდებოდა გადამუშავება, თურქულ თხილს კონკურენციას ვერ გაუწევდა და ასევე გლეხისთვისაც ნაკლებად მომგებიანი იყო მისი ექსპორტი, რადგან ფასის საკმაოდ დაბალი გახლდათ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საბაზრო კავშირის შედეგად საქართველომ შესაძლებელი გახდა EBRD-ის და REAP-ის დაფინანსებები მიეღოთ და დანერგილიყო BRC სტანდარტი. BRC გახლავთ საერთაშორისო სტანდარტი საკვების უსაფრთხოების კუთხით, რომელიც ამჟამად საქართველოში ყველაზე მაღალ სტანდარტად

ითვლება კვების პროდუქტების ბაზრაზე. ამან მთლიანად ბიზნეს სექტორზე იმოქმედა, რადგან ევროკავშირის სტანდარტით, თუ კომპანია BRC სტანდარტის მქონდეა, აუცილებელია, რომ მისი მომწოდებლებიც ფლობდნენ იმავე სტანდარტს და მათაც უნდა გაიარონ სერთიფიცირება. ამის შედეგად თხილის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა, გლეხებმა ისწავლეს თხილის მოვლა, გადარჩევა და ახლა უკვე ყველანაირი თხილის გაყიდვა შეუძლიათ შესაბამის ფასად და ამან შესაბამისად ქართული თხილის ფასი უფრო დაახლოვა თურქული თხილის ფასთან. თუმცა რასაკვირველია თურქული თხილის ფასი უფრო მაღალია რადგან მათ უკვე გააჩნიათ ლოიალობა ბაზარზე და ქართული თხილი ახალფეხმოკიდებულია. შესაბამისად სჭირდება მომხმარებლის ნდობის მოპოვება და ეს ყველაფერი ვერ მოხდება თუ არა მაღალი ხარისხი და წარმოების თანამედროვე სტანდარტები. აქაც კიდევ ერთხელ გამოიხატა DCFTA-ს დადებითი ეფექტი ბიზნეს სექტორის სტიმულირებაში.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 და 2018 წლების მაჩვენებელი საგანგაშოა, თუმცა ამას თავისი სუბიექტური მიზეზები აქვს, რაც დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოში აზიური ფაროსანას გამრავლებასთან, რამაც თხილის მოსავალი მკვეთრად შეამცირა. თუმცა თუ განვიხილავთ სავაჭრო კავშირის ეფექტს წმინდად და უგულვებელყოფთ სხვა გარე ფაქტორებს, ამ შემთხვევაში ეფექტი საკმაოდ მაღალია და ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში თხილის ბიზნესის განვითარება დიდ შედეგებს გამოიღებს. რაც შეეხება ფაროსანასთან ბრძოლას, ამ შემთხვევაში ვიმედოვნებთ, რომ ევროკავშირი, როგორც საიმედო პარტნიორი დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს ეპიდემიასთან ბრძოლის კუთხით.

როდესაც ვსაუბრობთ თავისუფალი სავაჭრო კავშირის ეფექტებზე, აუცილებელია ვიზალიბერალიზაციის როლიც განვიხილოთ. ამ ფაქტის უდიდეს მნიშვნელობაზე საუბარი უდავოა, თუმცა ბიზნესის სექტორის წარმომადგენელთათვის ეს პროცესი ცალსახად საკეთილდღეოა, რადგან თავისუფალი მიმოსვლა უფრო მეტად შეუწყობს ხელს ბიზნეს კონტაქტების დამყარებას, ასევე კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა ტრენინგებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე დასწრება. გარდა ამისა საერთაშორისო გამოფენებზე დასწრების კუთხით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისათვის, სავიზო

ლიბერალიზაცია ბიზნესის სექტორს აძლევს საშუალებას აიმაღლოს კონკურენტუნარიანობა და ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე. ბიზნესისათვის ბიუროკრატიული საზღვრების შემცირება და ლიბერალიზაცია საბოლოო ჯამში ბევრ გვერდით ეფექტზე აისახება, რაც საბოლოოდ სწორად გამოყენების შემთხვევაში უამრავ დადებით ეფექტს.

დასკვნა

ევროკავშირი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია მხარს უჭერს საქართველოში გატარებულ რეფორმებს და გვევლინება სტაბილურ პარტნიორად, რომელსაც სურს საქართველო დააყენოს ეკონომიკური აღმავლობის გზაზე და მოახდინოს ცხოვრების დონის, წარმოების სტანდარტების, კადრების კვალიფიციურობისა და სხვა მრავალი ფაქტორის გაუმჯობესება და ამაღლება. DCFTA-ს საშუალებით ქართველ მეწარმეებს საშუალება მიეცათ გასულიყვნენ 500 მილიონიან ბაზარზე და შედეგები სულ მალე დადგება, ეს მცირე პერიოდი არაა საკმარისი იმისათვის, რომ ჯეროვნად შევაფასოთ შედეგები და ასეთ მოკლე პერიოდში რაიმე სერიოზულ ნაბიჯებს ველოდეთ, თუმცა ყოველივე ის, რასაც ქართული კომპანიები ახორციელებენ ცნობადობის ზრდის კუთხით, მართლაც შთამბეჭდავია. სწორედ ამ მოვლენებმა ღვინის ეროვნული სააგენტო ჩამოაყალიბა ინსტიტუციად, რომელიც ეხმარება ღვინის კომპანიებს ახალი ბაზრების ათვისებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი <http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/>
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან <http://www.dcfta.gov.ge/ge/home>

The Effects of DCFTA: Analysis and Perspectives

Natia Surmanidze  
 PHD Candidate in Economics  
 Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Annotation

Georgia is a full-fledged part of the EU and it began its deep integration to the EU even in the time of Sulkhani-Saba, if not earlier. Currently these processes are under the specific phase, namely agreement concerning deep and all covering free trading space and visa liberalization, is the great achievement of Georgian people and we hope that these processes will be finished with integration into the EU soon. The free trading space is the important measuring unit according to our opinion, concerning that, how are the integration processes going on and based on the statistic and assessment analyzes we can see objective picture, in order to become aware of our own perspectives. Having closer relationship with the EU, promises additional perspectives to Georgian entrepreneurs, which means all those benefits which are accompanied with entering into the EU market. If the EU market opens, it is limited according to the standards and requires highest level of quality and production process, which will make the entrepreneurs to implement high quality entrepreneurial processes.

Key words: EU, Georgia, Free trade with EU, EU market, Visa liberalization



სალომე სილაგაძე  
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი  
ელ. ფოსტა: ssilagadze@hotmail.com  
მობ.: 599 22 76 79

ანოტაცია

ქალთა მიგრაცია 90-იანი წლების დასაწყისიდან იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესს. მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ ქალბატონების ეკონომიკური დამოუკიდებლობის სურვილი წინაპირობაა მათი მიგრაციისა.

აქტუალურ თემაზე დაფუძნებული მეცნიერული ნაშრომი განიხილავს იმ ეკონომიკურ და ფინანსურ ასპექტებს, რომელიც უბიძგებს სუსტი სქესის წარმომადგენლების ევროპასა და საქართველოში მიგრაციისკენ. ავტორი სტატიაში წარმოადგენს არამხოლოდ პრობლემების ანალიზს არამედ, გვთავაზობს მიგრაციის შესამცირებელ ზოგიერთ რეკომენდაციასაც, რომლებიც დასაბუთებულია სანდო სტატისტიკური ინფორმაციით.

საკვანძო სიტყვები: ქალთა მიგრაცია, გენდერული თანასწორობა, საერთაშორისო ეკონომიკა.

შესავალი

მსოფლიო ბანკის უახლესი მონაცემებით ქალბატონების შემოსავალი პირდაპირ დამოკიდებულია მათი მიგრაციის ალბათობასთან. სტატისტიკური ინფორმაცია გვაჩვენებს, რომ 2000-2017 წლების განმავლობაში ქალთა მიგრაცია მაღალ შემოსავლიან სახელმწიფოებში შემცირდა 49.1%-იდან 43.2%-მდე. თუმცა, აღნიშნული ინდექსი გაიზარდა მცირე შემოსავლიან ქვეყნებში 49.2%-იდან 50.2%-მდე [Rubiano- Matulevich, Beegle, 2018].

ემიგრაციის მზარდი ტენდენცია არის ასევე, საქართველოშიც, რომელიც განეკუთვნება ქვედა საშუალო შემოსავლის ქვეყნებს [მსოფლიო ბანკი, 2019]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით 2002 წლიდან 2018 წლამდე ქალი ემიგრანტების რაოდენობა დაახლოებით 44%-ით გაიზარდა [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019].

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე მოცემული ნაშრომში შედარებული არის ევროპაში და საქართველოში უმუშევრობის და ანაზღაურების არათანაბარი დონეები, ფაქტორები რომელიც სახელდება მდებდრობითი სქესის

მიგრაციის მთავარ ხელშემწყობ მიზეზებად. ასევე, განხილული არის რამოდენიმე რეკომენდაცია, რომელიც გრძელვადიან პერიოდში შეამცირებს ემიგრანტი ქალების რაოდენობას.

მსჯელობის დროს გაანალიზებული იქნება ევრო კავშირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების სტატისტიკური მონაცემები.

ქალთა დასაქმების პერსპექტივები ევროპასა და საქართველოში


მიუხედავად ლიბერალური კულტურისა, გენდერული დისბალანსი დასაქმებულთა შორის ნათლად ჩანს ევროკავშირში. 2018 წელს ევროკავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ მამაკაცთა 78% იყო დასაქმებული. აღნიშნული ინდექსი ქალბატონებისთვის კი მხოლოდ 67%-ის ტოლი იყო.

დასაქმებასთან ერთად გენდერული უთანასწორობა თვალსაჩინოა ანაზღაურების კუთხითაც. ევროპის მასშტაბით ქალები 16.6%-ით ნაკლებ ხელფასს იღებდნენ, ვიდრე იგივე პოზიციაზე მყოფი მამაკაცები. ფინანსური დისკრიმინაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი

ახალი ეპოქისთვის THE NEW ECONOMIST

ევროპის მასშტაბით დაფიქსირდა ისეთ ყოფილ მონაცემები კი დაფიქსირდა რუმინეთში (4.5%), საბჭოთა ქვეყნებში, როგორც არის: ესტონეთი ლუქსემბურგში (5.4%) და იტალიაში (6.1%) [Eurostat, 2019].

ნახაზი 1: დასაქმების დონე და გენდერული უთანასწორობის ინდექსი ევროპაში, 2017 [Eurostat, 2019];



Source: Eurostat (online data code: lfsi\_emo\_a)


წყარო: Eurostat. (2019, February). Gender statistics. Retrieved from [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Gender\\_statistics#Labour\\_market](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Gender_statistics#Labour_market)

გენდერული უთანასწორობის განხილვისას აღსანიშნავია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური Gender Gap ინდექსი, რომელიც აფასებს გენდერულ უთანასწორობას სახელმწიფოებში. აღნიშნული კვლევის მიხედვით 2017 წელს ყველაზე ნაკლები გენდერული დისკრიმინაცია ისლანდიაში დაფიქსირდა. თუმცა, მიუხედავად ლიდერობის განსხვავებაა ისლანდიაში ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურების განსხვავება დიდია და 20%-ს უდრის.

რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების მეცნიერული ნამუშევრები ამტკიცებენ, რომ საქართველოში არ არის დიდი განსხვავება ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურების შორის [სურმანიძე, 1998], სტატისტიკა საპირისპირო მონაცემებს გვაჩვენებს.

2016 წლის მონაცემებით მამაკაცის თითოეულ გამომუშავებულ ლარზე, ქალბატონები 34.5%-ით ნაკლებს ანუ, 65.5 თეთრს იღებდნენ [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017].

ნახაზი 2: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასების სქესის მიხედვით (ლარი), 2001-2018 წ. [საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019];




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). დასაქმება, ხელფასები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi>

ჩვენ სამშობლოში ისევე, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, მამაკაცთა დასაქმების დონე უსწრებს ქალბატონთა მონაცემებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით 2018 წელს მამაკაცთა დასაქმების ინდექსმა გაუსწრო 2003 წლის მაქსიმუმს და გაუტოლდა

63.4%-ს. ამავდროულად, ქალების დასაქმების დონე კი მხოლოდ 49.3%-ს უდრიდა.

დაუსაქმებლობის დონე კაცებისათვის 2018 წელს 13.9%-ს გაუტოლდა, ხოლო ქალებისთვის 11.2% შეადგინა.

ნახაზი 3: უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში (პროცენტებში) , 2006- 2018 წ [სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019];



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). დასაქმება, ხელფასები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi>

**რეკომენდაციები**

იმისათვის, რომ შევაჩეროთ ქალთა გადინება სახელმწიფოებიდან აუცილებელია მათი გააქტიურება ადგილობრივ ეკონომიკურ ბაზარზე. აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველმა კრისტინ ლაგარდმაც საქართველოში ვიზიტის დროს.

ქალების ემიგრაციაზე მსჯელობისას გაერო ყურადღებას ამახვილებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იბრძოლოს ნაადრევი ქორწინებების და პროსტიტუციის წინააღმდეგ. სიტუაციის შესასწავლად და გასაუმჯობესებლად აუცილებელია საზოგადოებაში გენდერული განათლების დონის გაზრდა და ინფორმაციული შეხვედრების ჩატარება.

აუცილებელია მხარდაჭერა იმ ქალებისა, რომლებსაც სურთ მიიღონ პროფესიული განათლება და/ან დაიწყონ მუშაობა. 2014 წელს კორეის სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნა პროფესიული გადამზადების ცენტრი: “რესტარტი”. ცენტრების მეშვეობით 1.03 მილიონმა ქალმა

სამსახური იპოვა, მაშინ როდესაც 2.1 მილიონმა დასაქმების პრეტენდენტმა მიმართა გადამზადების ცენტრებს.

ასევე, მთავრობამ უნდა მოუწოდოს კერძო კომპანიებს რომ გაატარონ ორგანიზაციებში გენდერული მრავალფეროვნების პოლიტიკა, დაისახონ კონკრეტული მიზნები და აკონტროლონ გეგმების შესრულება.

**დასკვნა**

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის მიხედვით დღეის არსებული მდგომარეობით მსოფლიოს 217 წელი მაინც დასჭირდება, რომ გენდერული უთანასწორობის პრობლემა აღმოფხვრას.

ქალბატონებისთვის, რომლებსაც აქვთ გარკვეული მოლოდინი/წარმოდგენა მათ სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მომავალზე, გენდერული უთანასწორობა მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორია. ამის ნათელი მაგალითია ირანის რევოლუცია და განათლებულ ქალ მიგრანტთა ნაკადი, რომელმაც დატოვა ქვეყანა რათა თავი აეცილებინათ ქვეყანაში დაწყებულ რელიგიურ და იდეოლოგიურ დევნას.

[Chaichian, 2011].

სახელმწიფოების თანამშრომლობით საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სწორი პოლიტიკის გატარებით, ქალბატონებს მიეცემათ საშუალება, რომ გააქტიურდნენ სამუშაო ბაზარზე თავიანთსამშობლოში. პროფესიული განვითარების

შედეგად გაიზრდება თვითრეალიზების შერწყმება (რომელიც მასლოუს ფსიქოლოგიური მოთხოვნების იერარქიაში უმაღლეს მწვერვალზეა) და შესაბამისად ნაკლებ ქალს გაუჩნდება სურვილი რომ დატოვოს სამშობლო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. OECD, Women's Empowerment, as Recommended by the UN High Level Panel on the Post-2015 (2015): n. pag. Web. <<https://www.oecd.org/dac/gender-development/POST-2015%20Gender.pdf>>.
2. Zentgraf, K. M. (2002). Immigration and women's empowerment: Salvadorans in Los Angeles. *Gender and Society*, vol. 15, No. 5.
3. Eurostat. (2019, February). Gender statistics. Retrieved from [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Gender\\_statistics#Labour\\_market](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Gender_statistics#Labour_market)
4. Rubiano-Matulevich, E., & Beegle, K. (2018, December 19). Women and migration: Exploring the data [Web log post]. Retrieved from <https://blogs.worldbank.org/opendata/women-and-migration-exploring-data>
5. Eurostat. (2019, May). Employment statistics. Retrieved from [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Employment\\_statistics#Employment\\_rates\\_by\\_sex.2C\\_age\\_and\\_educational\\_attainment\\_level](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Employment_statistics#Employment_rates_by_sex.2C_age_and_educational_attainment_level)
6. STATE COMMISSION ON MIGRATION ISSUES. (2017). 2017 MIGRATION PROFILE OF GEORGIA. Retrieved from [http://migration.commission.ge/files/migration\\_profile\\_2017\\_eng\\_final.pdf](http://migration.commission.ge/files/migration_profile_2017_eng_final.pdf)
7. World Economic Forum. (n.d.). The Global Gender Gap Report 2018 (Rep.). doi:13: 978-2-940631-00-1
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). დასაქმება, ხელფასები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi>
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2018). მიგრაცია. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>
10. Chaichian, M. A. (2011). The new phase of globalization and brain drain Migration of educated and skilled Iranians to the United States. *International Journal of Social Economics*,
11. <http://dx.doi.org/10.1108/03068291211188857>

Aspects of Women's Migration and Gender Inequality

Salome Silagadze

PhD Candidate, Ivane Javakhishvili State University

Email: [ssilagadze@hotmail.com](mailto:ssilagadze@hotmail.com)

Mob: 599 22 76 79


Annotation

Women's economic emancipation and emigration have been becoming a subject of interest of various international organizations since the beginning of 90's. Although, Georgia is cooperating with European Union on various development strategies, the causes of women's migration is not a regular topic of the dialogue.

The theoretical assessments of the European Union's gender employment gap enables to underline the current the obstacles that the Georgian women are faced with. The analyzes presented in the work are based on noteworthy statistical data and studies that are being increasingly conducted by various acclaimed international organizations. Additionally, the article studies various solutions that could help decrease the number of emigrant women.

Keywords: Women's migration, gender equality, international economics.

საწარმოთა ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტები საქართველოში



ეკატერინე გიგოლაშვილი  
სტუ-ს მე-2 კურსის დოქტორანტი

რეზიუმე

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა დინამიურად მზარდი ტენდენციებით ხასიათდება. იზრდება წარმოება, ექსპორტი და ქვეყანა უკვე გარე ბაზრებზე კონკურირებს. მაღალია გახსნილობა სავაჭრო პარტნიორების მიმართ. ქვეყნის წარმატებისა და წინსვლის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ განვითარებას, სიღარიბის დამლევას, თითოეული ოჯახის შემოსავლების ზრდას. ჩატარებული კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა საქართველოში საწარმოთა (კომპანიების) დაბალანსებული, ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორები, გამოწვევები და მათი ოპტიმალური გადაჭრის გზები.

რესპონდენტებმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების თვალსაზრისით პრიორიტეტულად მიიჩნიეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. მომდევნო სამი პრიორიტეტია, ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობა, ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მოტივირებულობის ამაღლება და მისი მიღების დაჩქარება, ეკონომიკის ლიბერალიზაციის დაჩქარება. შემდეგი პრიორიტეტებია: საქართველოს მეწარმე სუბიექტებისთვის კონკურენციის სამართლიანი პირობების დაცვის უზრუნველსაყოფად საზღვარგარეთ დაწესებული სავაჭრო, ან ტექნიკური ბარიერებისგან დასაცავად სახელმწიფოს მხარდაჭერა; მიწის პრივატიზაციის და იჯარის დაჩქარება; გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ტრანზიტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაჩქარება; ანტიკორუფციული პოლიტიკის, შიდა კონტროლის, აუდიტის და მონიტორინგის სამსახურების გაძლიერება; ენერჯეტიკის (ჰიდრო, ელექტროგენერაციის და სხვ.) სწრაფი განვითარება.

საქართველოში საწარმოთა ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის ყველაზე პრიორიტეტულ რეზერვებად გამოიკვეთა: საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაცია (ლიბერალიზაცია); საკადრო ცვლილებები, პროფესიონალიზმის ამაღლება; იაფ ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობა; შრომის სტიმულების გაუმჯობესება; მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება; შრომის მწარმოებლურობის ამაღლება. შემდეგ, დაახლოებით თანაბარ პრიორიტეტებადაა მიჩნეული: საინვესტიციო იმიჯის ამაღლება; მართვის ციფრულ ტექნოლოგიებზე სწრაფი გადასვლა; აღრიცხვიანობის ხარისხის გაუმჯობესება; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე სრულყოფილი გადასვლა; კომპანიის (საწარმოს) მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის სრულყოფა; სამომხმარებლო ფასების დონის ოპტიმიზაცია; შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვა. მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის დაჩქარებული ჰარმონიზება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.

საკვანძო სიტყვები: საწარმოთა ოპტიმალური ეკონომიკური ზრდა, ინკლუზიურ განვითარება, ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტები.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება. ეკონომიკა დინამიურად იზრდება და ვითარდება. შეიქმნასაბაზისო-სასიცოცხლოინფრასტრუქტურა, აშენდა მაგისტრალური გზები, გაყვანილია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, თითქმის მთელი საქართველო მოცულია გაზიფიკაციის ქსელით, ფიქსირებული ინტერნეტით, საქართველო ჩამოყალიბდა და პოზიციონირებს როგორც რეგიონული ლოგისტიკური და ეკონომიკური ჰაბი. ქვეყნის ექსპორტი იზრდება და უკვე გარე ბაზრებზე კონკურირებს. ძალიან მაღალია გახსნილობა სავაჭრო პარტნიორების მიმართ.

საქართველოში დინამიურად იზრდება წარმოება. შეიქმნა სოფლის მეურნეობის მრავალი, თანამედროვე გადამამუშავებელი მცირე და საშუალო საწარმო. მათთვის საკონკურსო პირობებით ხელმისაწვდომი გახდა შედარებით იაფი ფულადი სახრები. ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას ხელს უწყობს მცირე გრანტების და სხვადასხვა სუბსიდიების ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები. ფუნქციონირებს თანადაფინანსებისა და საინვესტიციო ფონდები. წარმატებულად ხორციელდება პროექტი „წარმოე საქართველოში“. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასურსათო პროდუქციის წარმოება. აქტიურად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები.


ქვეყნის წარმატებისა და წინსვლის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ეკონომიკური

ზრდის ტემპის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ განვითარებას, სიღარიბის დაძლევას, თითოეული ოჯახის შემოსავლების ზრდას.

საქართველოს ეკონომიკის, მისი მეწარმე სუბიექტების (კომპანიების) ზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას, მისი მეწარმე სუბიექტების - კომპანიების (საწარმოების) შემოსავლების პერმანენტულ ზრდას. არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით ჩვენს მიერ შემუშავებულია კითხვარი და ჩატარდა კვლევა. კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა საქართველოში საწარმოთა (კომპანიების) დაბალანსებული, ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორები, გამოწვევები და მათი ოპტიმალური გადაჭრის გზები.


ჩატარებული კვლევის მონაწილეთა ასაკობრივი შემადგენლობა მოცემულია დიაგრამაზე 1. გამოკითხულთა შორის არიან 15-დან 85 წლამდე და 85 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტები. გამოკითხულთაგან, ასაკის მიხედვით ყველაზე მცირე რაოდენობით აღმოჩნდნენ 15-19, 70-74, 75-79, 80-84 და 85 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეები. დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფები საერთო გამოკითხულების 9 – 16 პროცენტის ფარგლებში არიან. გამოკითხულ ქალთა ხვედრითი წილი 54,5 პოცენტს, კაცების კი - 45,5პოცენტს შეადგენს.

დიაგრამა 1  
კვლევის მონაწილეთა ასაკობრივი შემადგენლობა



დიაგრამა 2

რესპონდენტთა განაწილება საქმიანობის სექტორების მიხედვით



ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST


გამოკითხულები დასაქმებულნი არიან ეკონომიკის შემდეგ დარგებში: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა; მრეწველობა; პროდუქტების გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ; მშენებლობა; ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; სასტუმროები და რესტორნები; ტრანსპორტი; კავშირგაბმულობა; საფინანსო საქმიანობა; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა; სახელმწიფო მმართველობა; ჯანმრთელობის

დაცვა და სოციალური დახმარება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა; შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება; ფინანსური შუამავლობის მომსახურება; განათლება.

რესპონდენტთა განათლების ცენზის შესახებ მონაცემები ასახულია დიაგრამაზე 3. გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან მაგისტრია 38%, უმაღლესი განათლებითაა (ბაკალავრი) 30,6%, მეცნიერებათა დოქტორია 26,4%, დანარჩენი, ანუ 5% ბაკალავრიატის სტუდენტია.

დიაგრამა 3

გამოკითხულთა შემადგენლობა განათლების მიხედვით





საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მიღებული კვლევის შედეგები მთლიანად საქართველოს ეკონომიკის და ცალკეული კომპანიების ზრდისა და განვითარებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირების თვალსაზრისით არის რეპრეზენტატიული და რელევანტული.

ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც რესპონდენტებმა მიიჩნიეს პრიორიტეტულად საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების თვალსაზრისით, ასახულია ცხრილში 1. თხუთმეტი ასეთი ღონისძიება პრიორიტეტულობის კლების მიხედვითაა დალაგებული. ყველა ჩამოთვლილი პრიორიტეტი მნიშვნელოვანია, მაგამ უმთავრესია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა. სწორედ ეს მიაჩნიათ რესპონდენტებს უპირველეს პრიორიტეტად. მასთან ერთად ყველაზე მთავარია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. დაახლოებით თანაბარი პოზიციებით ხასიათდება მომდევნო სამი პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობა; ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მოტივირებულობის ამაღლება და მისი მიღების დაჩქარება; ეკონომიკის ლიბერალიზაციის დაჩქარება.

პრიორიტეტულობის თვალსაზრისით მესამე ღონის ძონისძიებებად გამოყოფილია:

საქართველოს მეწარმე სუბიექტებისთვის კონკურენციის სამართლიანი პირობების დაცვის უზრუნველსაყოფად საზღვარგარეთ დაწესებული სავაჭრო ან ტექნიკური ბარიერებისგან დასაცავად სახელმწიფოს მხარდაჭერა; მიწის პრივატიზაციის და იჯარის დაჩქარება; გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ტრანზიტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაჩქარება; ანტიკორუფციული პოლიტიკის, შიდა კონტროლის, აუდიტის და მონიტორინგის სამსახურების გაძლიერება; ენერგეტიკის (ჰიდრო, ელექტროგენერაციის და სხვ.) სწრაფი განვითარება. შემდეგ მოდის დარჩენილი ხუთი პრიორიტეტი.

ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც რესპონდენტებმა მიიჩნიეს პრიორიტეტულად კომპანიების დონეზე, ასახულია ცხრილში 2. როგორც რესპონდენტებს მიაჩნიათ, საქართველოში საწარმოთა ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით პირველი ექვსი პრიორიტეტი ასეთია: საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაცია(ლიბერალიზაცია); საკადრო ცვლილებები, პროფესიონალიზმის ამაღლება; იაფ ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობა ; შრომის სტიმულების გაუმჯობესება; მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება; შრომის მწარმოებლურობის ამაღლება.

ცხრილი 1

ღონისძიებები, რომლებიც რესპონდენტებმა მიიჩნიეს პრიორიტეტულად საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების თვალსაზრისით (%-ულად, გამოკითხულთა რიცხვიდან)

№	პრიორიტეტების დასახელება	პასუხები, %
1	ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა	58,6
2	კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება	32
3	ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობა	20,3
4	ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მოტივირებულობის ამაღლება და მისი მიღების დაჩქარება	19,5
5	ეკონომიკის ლიბერალიზაციის დაჩქარება	18,8
6	საქართველოს მეწარმე სუბიექტებისთვის კონკურენციის სამართლიანი პირობების დაცვის უზრუნველსაყოფად საზღვარგარეთ დაწესებული სავაჭრო ან ტექნიკური ბარიერებისგან დასაცავად სახელმწიფოს მხარდაჭერა	16,4
7	მიწის პრივატიზაციის და იჯარის დაჩქარება	14,1
8	გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ტრანზიტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაჩქარება	14,1
9	ანტიკორუფციული პოლიტიკის, შიდა კონტროლის, აუდიტის და მონიტორინგის სამსახურების გაძლიერება	14,1
10	ენერგეტიკის (ჰიდრო, ელექტროგენერაციის და სხვ.) სწრაფი განვითარება	11,7
11	ინვესტორთა მხარდაჭერის მიზნით მათთან მუშაობის ერთი ფანჯრის პრინციპის დამუშავება	9,4
12	ევროპული ტიპის მწვანე ენერგეტიკული ბაზის შექმნა	8,6
13	სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება, მათი ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის ზრდა	7,8
14	ინვესტორებისთვის ალტერნატიული პროექტების არჩევანის შეთავაზება	7
15	ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება	6,3

შემდეგ, დაახლოებით თანაბარ სტანდარტებზე სრულყოფილი გადასვლა; პრიორიტეტებადაა მიჩნეული: საინვესტიციო კომპანიის (საწარმოს) მოკლე, საშუალო იმიჯის ამაღლება; მართვის ციფრულ და გრძელვადიანი დაგეგმვის სრულყოფა; ტექნოლოგიებზე სწრაფი გადასვლა; სამომხმარებლო ფასების დონის ოპტიმიზაცია; აღრიცხვიანობის ხარისხის გაუმჯობესება; შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო


ცხრილი 2

რეზერვები, რომლებსაც რესპონდენტები პრიორიტეტულად თვლიან საქართველოში საწარმოთა ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით (%-ულად, გამოკითხულთა პასუხებიდან)

№	პრიორიტეტების დასახელება	პასუხები, %
1	საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაცია(ლიბერალიზაცია)	29,7
2	საკადრო ცვლილებები, პროფესიონალიზმის ამაღლება	27,3
3	იაფ ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობა	24,2
4	შრომის სტიმულების გაუმჯობესება	22,7
5	მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება	21,9
6	შრომის მწარმოებლურობის ამაღლება	20,3
7	საინვესტიციო იმიჯის ამაღლება	17,2
8	მართვის ციფრულ ტექნოლოგიებზე სწრაფი გადასვლა	14,1
9	აღრიცხვიანობის ხარისხის გაუმჯობესება	13,3
10	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე სრულყოფილი გადასვლა	13,3
11	კომპანიის (საწარმოს) მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის სრულყოფა	11,7
12	სამომხმარებლო ფასების დონის ოპტიმიზაცია	10,2
13	შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვა	9,4
14	ძირითადი საშუალებების ნაწილის (პასიური ნაწილის) რეალიზაცია; ძირითადი საშუალებების განახლება	7,8
15	ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება	7,8
16	ძირითადი კაპიტალის მართვის გაუმჯობესება	7
17	გამოუყენებელი ობიექტების არენდით გადაცემა	7
18	მოწინავე მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენება	6,3
19	აქციონერული კაპიტალის სტრუქტურის სრულყოფა	6,3
20	კომპანიის (საწარმოს) ქონების დაზღვევა	6,3
21	გაკოტრების პროცედურების გამოყენება კომპანიის (საწარმოს) გაჯანსაღების მიზნით	5,5
22	დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხორციელება	5,5
23	დებიტორული დავალიანების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა	5,5
24	ინვენტარიზაცია	4,7
25	რესტრუქტურისაცია	4,7
26	სასაქონლო ასორტიმენტის(შეკვეთების პორთფელის) ცვლილება	3,1
27	ლიზინგი	2,3

რესპონდენტებმა შეაფასეს, საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები. მათი საერთო შეფასებები ასახულია დიაგრამაზე 4.

გამოკითხულთა პასუხები კითხვაზე: თქვენი აზრით, უწყობს თუ არა ხელს საქართველოს კანონმდებლობა მეწარმე სუბიექტებს და აქვთ თუ არა მათ რაიმე ხარვეზი?



საქალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

რესპონდენტებმა აღნიშნეს, საქართველოს კანონმდებლობამ მეწარმე სუბიექტებს უფრო მეტად რომ შეუწყოს ხელი თავიანთი მიზნების მიღწევაში, საჭიროა მათი სრულყოფა. აღნიშნულ კანონებს აქვთ ხარვეზები. გამოკითხულთა 33,9% მიიჩნევს, რომ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა მეწარმე სუბიექტებს ძირითადად უწყობს ხელს, აქვთ მხოლოდ არაარსებითი ხასიათის უმნიშვნელო ხარვეზები. 57,9%-ის აზრით, მხოლოდ ნაწილობრივ უწყობს ხელს, გააჩნია ხარვეზები. 8,3% კი თვლის, რომ არ უწყობს ხელს, გააჩნია არსებითი ხასიათის ხარვეზები. ამიტომ, შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფა ქვეყნის მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს.

კვლევის პროცესში გამოითქვა ფასეული მოსაზრებები შესაბამისი კანონების კონკრეტული ხარვეზების და მათი სრულყოფის მიმართულებების შესახებ.

კვლევის შედეგებში აღნიშნულია, რომ კანონი მეწარმეთა შესახებ თეზისურია და პრაქტიკული მხარეები დაუხვეწავია; იურიდიული პირებისათვის რთულია გაკოტრების საქმის ბოლომდე მიყვანა; მეწარმეთა კანონი უნდა გამარტივდეს და საქართველოს სინამდვილეს მოერგოს.

შრომის კოდექსი დაიხვეწა, დასაქმებულთა უფლებები ახლა უკეთ არის დაცული, თუმცა მისი ზოგიერთი მნიშვნელოვანი პუნქტის რეალიზება პრაქტიკაში თითქმის არ ხდება; არასწორადაა მიჩნეული დასაქმებულთა სამუშაო საათების რაოდენობის განსაზღვრის წესი, ვინაიდან კანონის

მიუხედავად ინდივიდუალური კონტრაქტებით მაინც უწევს ადამიანს 48 საათი იმუშავოს კვირაში. ასევე, ღამის საათებისა და არასამუშაო დღეების ანაზღაურების იგივე ნორმის არსებობა, როგორც სამუშაო დღის საათებშია. ზეგანაკვეთური საათების საკითხიც დასარეგულირებელი და გადასახედა. და, რაც მთავარია, მირფესვიანადაა აღმოსაფხვრელი “თუ არ მოგწონს-წადი” პოლიტიკა, რაც სამწუხაროდ დღევანდელ შრომის ბაზარზე საკმაოდ ხშირ შემთხვევებში ვლინდება; უნდა აიკრძალოს დაუსაბუთებლად სამსახურიდან განთავისუფლება (მაგ. საპენსიო ასაკის) გამო; აუცილებელია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და სხვა მრავალი.

საქართველოს კანონი შესყიდვების შესახებ, NAT ტენდერების არსებობა, რომელიც გულისხმობს ელექტრონულ ვაჭრობას დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე სპობს კონკურენციას და ზრდის შესყიდვების სააგენტოს შესაბამის დანაყოფებთან კორუფციულ გარიგებებში შესვლის ალბათობას. ხარვეზადაა მიჩნეული სატენდერო ზღვარის განსაზღვრა (5000 ლარი). შესყიდვის დროს უპირატესობას ანიჭებენ იმ მომწოდებელს, რომელიც ყველაზე დაბალ ფასს დააფიქსირებს, ამ შემთხვევაში დაბალი ფასით მომსახურებისას ეცემა შესრულებული მომსახურების ხარისხი, რესპოდენტთა მოსაზრებით შერჩევისას მხოლოდ ფასს არ უნდა ექცეოდეს მთავარი ყურადღება, გათვალისწინებული უნდა იქნეს მომწოდებლის კვალიფიკაცია, ბაზარზე ყოფნის დრო, მისი პროფესიული გამოცდილება.

სახელმწიფო სტრუქტურებისთვის კანონი უნდა გახდეს ნაკლებად ლიბერალური შესყიდვების კანონმდებლობაში უნდა გაუქმდეს ეგრეთწოდებული თეთრი და შავი სიები.

საგადასახადო კოდექსის შესახებ აღნიშნულია, რომ საჭიროა კანონის ლიბერალიზაცია, ტექსტის დახვეწა ისე, რომ მარტივად იყოს გასაგები ფიზიკური პირისთვისაც კი.

რესპონდენტებმა აღნიშნავენ, რომ საჭიროა არაპირდაპირი მეთოდით შემოწმებისას მტკიცების ტვირთის ზრდა შემოწმებელი ორგანიზაციისათვის; ამასთან, მიზანშეწონილია გამარტივდეს კანონის ფორმულირება ე.წ. „ვორდინგი“, რომ ყველასთვის გასაგები იყოს; ეკონომიკის ინოვაციურ სფეროებში უნდა იყოს დაბალი გადასახადები; საგადასახადო კოდექსი უფრო გასაგებად უნდა იყოს შედგენილი, უნდა იყოს უფრო ლოიალური გადამხდელების მიმართ; ზოგიერთი მუხლი იკითხება ორაზროვნად და ახასიათებს ხარვეზები: აღქმის სირთულე და დებულებების ორაზროვნება, თანამედროვე გამოწვევებზე ჩამორჩენა (მაგ., ბიტკოინების თემა); საგადასახადო კოდექსში ბუნდოვანია დღგ-ს განთავისუფლების თაობაზე საკითხი ზოგიერთი მიმართულებით - როგორც გადასახადის განაკვეთები, ისე მათი ადმინისტრირების ნორმები ემსახურება საზოგადოების გადარიბებას და არ შეესაბამება დასავლური დემოკრატიების ქვეყნებში გამოყენებულ საუკეთესო პრაქტიკას; საგადასახადო კოდექსის წაკითხვა არ უნდა იძლეოდეს ინტერპრეტირების საშუალებას, უნდა იკითხებოდეს გასაგებად; ადმინისტრირება არის გასამარტივებელი. მტკიცების ტვირთი ეკისრება გადასახადის გადამხდელს, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს მას სახელმწიფოს წინაშე; უნდა გაუქმდეს დღგ-ს შეღავათები - მაგ., საკუთარი ძალებით აშენებულ ძირითად საშუალებას დღგ ერიცხება, მათ შორის განათლების სფეროშიც, ვფიქრობთ უნდა განთავისუფლდეს განათლება ამ გადასახადისგან; დღგ და პროპორციული საშემოსავლო გადასახადი ძალიან მაღალია და არასამართლიანი. საშემოსავლო გადასახადი პროგრესული უნდა იყოს. არ ხდება სრულად გაქირავებული ქონების, რეპეტიტორების შემოსავლების აღრიცხვა და მათი დაბეგვრა. ამიტომ ვფიქრობთ, ეს კეთილსინდისიერ გადამხდელს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ გამოკითხვაში აღნიშნულია, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია არ უნდა ექცეოდეს

კაბალურ პირობებში, ექსპორტის ხელშესაწყობად შესატანია ცვლილებები; მეგობარ ქვეყნებთან სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმებები უნდა მოერგოს ქვეყნის ინტერესებსაც.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს: ტურისტული სექტორისათვის ქონების გადასახადი უნდა იანგარიშებოდეს სეზონურობიდან და არა მთელი წლიდან გამომდინარე; უნდა წახალისდეს ინვესტიციები „მაღალშემოსავლიან“ ტურიზმში - ეკო, ღვინის, გასტრო, სანადირო და ა.შ; კონკრეტულ გადასახადებზე უნდა იყოს უფრო მეტი შეღავათები, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში.

ტრანსპორტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობაში ესპანეთის მსგავსად მიზანშეწონილიადაა მიჩნეული ისეთი რეგულაციების შემოღება, რომ ქალაქი განიტვირთოს დიდი სატრანსპორტო საშუალებებისგან. მაგ.: მოტოციკლეტების და მოპედების გამოყენების წახალისება; აღნიშნული კანონმდებლობის თანახმად, ტრანსპორტის სფეროში ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. მაგრამ ის რეგულაციები, რომლებიც მოქმედებს ევროკავშირის ქვეყნებში, და გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ არის მიმართული, საქართველოს კანონმდებლობაში ან არ არის ასახული, ან საერთოდ არ სრულდება; უნდა გაუქმდეს მარცვლეულის ტრანსპორტირებაში რკინიგზის ექსკლუზიური როლი.

რესპონდენტთა აზრით, საჭიროა საქართველოს კანონში ინოვაციების შესახებ გამოიყოს წამყვანი საინოვაციო დარგები საინვესტიციო შეღავათების მისანიჭებლად.

ერთობ მნიშვნელოვანია საქართველოს კანონი პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ. რესპონდენტების აზრით, აუცილებელია ევროკავშირის სტანდარტებთან უფრო მეტი დაახლოება და ჰარმონიზაცია; სოფლის მეურნეობის პროდუქციის სერტიფიცირების ორგანოების შექმნა ყველა პროდუქტისთვის.

საქართველოს საბანკო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემად არის მიჩნეული საფონდო ბირჟის რეგულირების წესი, მისი მოქმედების არეალის შეზღუდვა. ის არ უნდა განიხილებოდეს ეკონომიკური სუბიექტებისთვის ფინანსური რესურსების მიწოდების

ალტერნატივად. ამასთან, აუცილებელია საბანკო სფეროსათვის არაპროფილური საქმიანობის შეზღუდვა.

ზოგადად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საჭიროა ყველა დასახელებული კანონის ადეკვატური სრულყოფა, მათი დაჩქარებული ჰარმონიზება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კანონებში, ევროპული კანონების უმთავრესი პრინციპები, ნორმები უცვლელად უნდა გადმოვიტანოთ. ამ მიზნით მათი შინაარსი, დედააზრი არ უნდა დავარღვიოთ. შემდეგ, აუცილებელია „ადგილობრივი წვრილმანების“ უეჭველი გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. თბ., ოქტომბერი 2008.
2. samxreT kavkasiis qveynebis mdgradi energetikis politika: ganviTarebis SesaZleblobebi da arCevani ძირითადი ავტორი: პეტრაოპიცი, DIW Econ თანაავტორები: არტემ ხარაზიანი, სომხეთი ასტლინე პასოიანი, სომხეთი მურმან მარგველაშვილი, საქართველო მუსლუმ გურბანოვი, აზერბაიჯანი თბილისი, 2015
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020. file:///C:/Users/comp/Downloads/Strategy24%2012%2013%20(2).pdf
4. გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ (ღია მმართველობის პარტნიორობის გზამკვლევის სპეციალური გამოშვება). <https://idfi.ge/public/upload/Meri/OGP-Geo.PDF>
